"ბურჯანაძის გუნდი საპარლამენტო უმრავლესობას დატოვებს" A2

ენერგოსექტორის მონიტორინგი A8

დაპირებული „ოქტომბრის სიურპრიზი" ბინ ლადენის მიმართვა აღმოჩნდა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 1 ნოემბერი, 2004 წელი. №259 (808) ფასი 50 თეთრი

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები

პრორუსული ლიდერის ათწლიანი მმართველობის შემდეგ სამომავლო ორიენტაციის განსაზღვრის უკრაინული მცდელობა

ნიკა თარაშვილი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეოთხე საპრეზიდენტო არჩევნები თავად მოქმედი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას შეფასებით, "განსაკუთრებული" იქნებოდა. "ამჟამინდელი საარჩევნო კამპანიის დრამატიზმი იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინელ ხალხს სახელმწიფოს ახალი მეთაურის არჩევა უხდება," - ასე განმარტავს კუჩმა 31 ოქტომბრის არჩევნების მნიშვნელობას. მართლაც, პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი ხელისუფლების ცვლის მტკივნეული პროცესი, მით უმეტეს იმ პირობებში, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მხარეების სრული რადიკალიზაცია მოხდა, თავიდანვე მიანიშნებდა, რომ არჩევნები უხმაუროდ არ ჩაივლიდა.

ყველაზე "ბინძური" საარჩევნო კამპანია - მოწამლული დემოკრატი და კვერცხით წაქცეული "გოლიათი"

ამჟამინდელ საარჩევნო კამპანიას უკრაინის ისტორიაში ყველაზე "ბინძურსა" და ცინიკურს უწოდებდნენ. წინასაარჩევნო პროცესი მოიცავდა ყველა სახის ბრძოლასა და ერთმანეთის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს. ამ არჩევნებს ძალიან ბევრი მიმომხილველი უკრაინის გზა-გასაყარადაც აღიქვამდა – რუსეთის ან დასავლეთის მიმართულებით.

დაძაბულობა არჩევნების თარიღის მოახლოების პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა, მანამდე კი იყო იუშენკოს ბურუსით მოცული ავადმყოფობა (სერიოზული ეჭვები გამოითქვა, რომ იგი მოწამლეს) და წინასაარჩევნო

გაგრძელება A5 გვერდზე

ოჯახის პორტრეტი ექსტერიერში

შეყვარებული ახალგაზრდების პაემანი და ახლო ურთიერთობა ჭერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან ოჯახის შესაქმნელად.

ნანო ბესელია, ფოტო

სოფიო თოდუა

"ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყოველი უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია". ტოლსტოის ეს სიტყვები იმიტომ არ გაგვიხსენებია, რომ ბედნიერ ოჯახებზე ლაპარაკი მოსაწყენად მიგვაჩნია. პირიქით, მათზე წერა ერთი სიამოვნებაა. მაგრამ პრობლემები, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს ბედნიერ წყვილს უბედურად აქცევს, მხოლოდ ოჯახიდან არ იწყება და, სამწუხაროდ, იქვე არ მთავრდება. ყველა საკითხს, რომელიც ოჯახს უკავშირდება, ცხადია, ვერ შევეხებით, თუმცა ვეცდებით, საოჯახო პრობლემებზე მსჯელობა გაზეთის ფურცლებიდან საინტერესო გავხადოთ. მაშ, ასე: ქორწინება ადრეულ ასაკში.

მოდი, ციფრებით ვილაპარაკოთ

2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა ოთხ მილიონზე მეტია (4371535). ეს არცთუ სახარბიელო მაჩვენებელი, ბუნებრივია, ქორწინებისა და მრავალშვილიანობის პროპაგანდისკენ გიბიძგებს კაცს. თეორიულად ყველა ქართველი ასეთი ოჯახების გუ-

ლშემატკივარია, მაგრამ პრაქტიკულად, როცა მრავალშვილიანმა დედებმა ერთხელაც გაბედეს და მერიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს, ჯერ ყოჩაღი პოლიციელები დაერივნენ, დესერტად კი გადაპრანჭული ქალების რისხვა დაიმსახურეს: აბა, რა გეგონათ, ამდენ შვილებს რომ აჩენდითო.

გაგრძელება A3 გვერდზე

მთავრობის და კახელების ფესტივალი



ზვიად რუაძის ფოტო

გაერთეთ, ჭამეთ და სვით, - მოუწოდებდა კახა ბენდუქიძე რუს ბიზნესმენებს.

სერგეი ბაღაფში ინაუგურაციისთვის ემზადება

ექსკლუზიური სატელეფონო ინტერვიუ

ნინო გომართელი

აფხაზური ოპოზიციის ლიდერს სერგეი ბაღაფშს არ სურს ჯერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის, შემდგომ კი აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მიერ მისი გაპრეზიდენტების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დათმობა. სახელისუფლებო კანდიდატი და რუსეთის ფავორიტი რაულ ხაჯიმბა კი ხალხის არჩევანს ვერა და ვერ შეეგუა. იგი ხელმეორე არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, თანაც ძალისმიერი მეთოდებით.

"24 საათი" ტელეფონით დაუკავშირდა "ჩერნომორენერგოს" ყოფილ გენერალურ დირექტორს სერგეი ბაღაფშს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მშვიდი ვითარებაა და რესპუბლიკას უკვე ჰყავს ახალი პრეზიდენტი.

- ბოლო დღეების განმავლობაში სოხუმში ვითარება სერიოზულად დაიძაბა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს?

- ამჟამად სიმშვიდეა. ვითარება ნორმალური და სტაბილურია.

- რაც შეეხება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო არჩევნების ხელახლა ჩატარებაზე, თუ ეთანხმება მოსახლეობა მას და თქვენ რას აპირებთ?

- არანაირი არჩევნები აღარ იქნება. 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მე გავიმარჯვე. ამას ადასტურებს უმაღლესი სასამართლოც.

- მაგრამ აფხაზეთის უმაღლესმა სასამართლომ მას შემდეგ, რაც კანონიერად აღიარა ცესკო-ს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენ გაიმარჯვეთ, განაჩენი შეცვალა, არჩევნების შედეგები გააუქმა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეკომენდაცია მისცა, ორი თვის მანძილზე ხელახალი არჩევნები ჩაატაროს.

- არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მე გავიმარჯვე. იმას, რაც შემდეგ მოხდა, მნიშვნელობა არ აქვს. უმაღლესი სასამართლო აიძულეს, შეეცვალა გადაწყვეტილება, შეიჭრნენ შენობაში და ადგილი ჰქონდა ძალადობას.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოხტუნავე კერი და არაკომუნიკაბელური ბუში

ირაკლი არეშიძე

ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე ცოტა დრო რჩება. ზოგიერთი ცნობის მიუხედავად, რომ თითქოს კერი წინ გაიჭრა, პრეზიდენტს გამარჯვების ათიდან შვიდი შანსი გააჩნია, ხოლო მასაჩუსეთელ სენატორს სამი. ბუში ამჟამად წინაა, თუმცა, ეს არაა კომფორტული ლიდერობა. ამასთან, ეს ისეთი საარჩევნო რბოლაა, რომლის შედეგიც, პრეზიდენტის გადარჩევის შემთხვევაში, უფრო ბუშის მარცხად უნდა მოინათლოს, ვიდრე კერის გამარჯვებად. კერი, მეტწილად, "ანტი-ბუშ" არგუმენტების რეკლამირებით, ანუ ანტი-კამპანიით იყო დაკავებული.

ფაქტია, რომ ბუში, რიგ მიზეზთა გამო, არ არის ძლიერი საპრეზიდენტო კანდიდატი. იგი არაა კარგი "კომუნიკატორი." თანაც, ერაყიდან მომდინარე ნეგატიური ამბები, პრეზიდენტის თავდაცვით ტაქტიკას განაპირობებენ. ამასთან ერთად, მედია მიზანმიმართულად ცდილობს პრეზიდენტის იმიჯის გაფუჭებას და მისი არმომგებიანი კუთხით ჩვენებას.

გაგრძელება B6 გვერდზე

პოლიტიკა

ეუთოს მისია პანკისში

ამ დღეებში გაყინული კონფლიქტების ჯგუფის წარმომადგენლებმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან ერთად, სასაზღვრო ზოლი კიდევ ერთხელ დაათვალიერს.

A2

ეკონომიკა

ტექბიუროების გაუქმების პროცესი ფერხდება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სისტემაში რეფორმებს ატარებს. უკვე მზადაა კანონპროექტი უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის შესახებ, რომლის პარლამენტში შეტანასაც უახლოეს მომავალში გეგმავენ. ამასთან, გასულ კვირას სააგენტოში ინფორმაციის მართვის ცენტრი შეიქმნა და, ახალი კადრების შერჩევის მიზნით, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება გადაწყდა.

A4

საზოგადოება

მილიონი, მილიონი, მილიონი

"საქაერონავიგაციაში" შევარდნაძის ეპოქის დროინდელ დარღვევებზე საუბარს უკვე ვეღარ აუდიან. საწარმოს ახალი ხელმძღვანელის გიორგი კარბელაშვილის წერილებს პროკურატურასა და სპეც-სამსახურებში, ღამის, ყოველ დღე იღებენ. ამჯერად საუბარია სამ სხვადასხვა თანხაზე - მილიონებზე.

A6

სამართალი

პატრული დაიჭრა, დამნაშავე ლიკვიდირებულია

გუშინ თბილისში კიდევ ერთი საპატრულო პოლიციელი დაიჭრა. მის ვინაობას სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არ ახმაურებენ, სამაგიეროდ, დასახელდა დამნაშავეებსა და პატრულის თანამშრომლებს შორის მომხდარი ორმხრივი სროლის შედეგად გარდაცვლილი, "კომანდოს" ბატალიონის წევრის გვარი.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	1/11	2/11
თბილისი	21	19
ქუთაისი	24	21
ბათუმი	24	21
სოხუმი	22	19
ფოთი	24	21
თელავი	21	18
გორი	18	16
ახმეტა	21	18
ჭიათურა	21	18
სამტრედია	24	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8275
ევრო	2.3310
გირვანქა სტერლ.	3.3489
რუბლი	0.0635

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მონიტორინგი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მერიდიანი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

სერგეი ბაღაფში ინაუგურაციისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

- ანუ თქვენ ახალი პრეზიდენტი ხართ? ინაუგურაცია როდის გექნებათ?

- დიახ, პრეზიდენტი ვარ. ჩემმა გუნდმა გაიმარჯვა. ინაუგურაცია ისე ჩატარდება, როგორც წესია, 7 ან 8 დეკემბერს. ახლა გვეყო საუბარი, დანარჩენ შეკითხვებზე სხვა დროს გაგცემთ პასუხს, მაშინ, როდესაც ყველაფერი დამშვიდდება.

■ ■ ■

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თვითგამოცხადებული ოფიციალური პირები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, დანიშნოს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც ამას ადგილობრივი კონსტიტუცია განსაზღვრავს.

როგორც სოხუმში ჩატარებულ ბრიფინგზე თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ ჟურნალისტებს განუმარტა, 29 ოქტომბერს პრეზიდენტმა არძინბამ აფხაზეთში განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი, რადგან ცესკო-ს მიერ 6 და 11 ოქტომბერს ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები გამოქვეყნდა.

"აფხაზეთში სასამართლო ხელისუფლება პარალიზებულია, პარლამენტს არ შეუძლია ამ სამართლებრივი ვაკუუმის შევსება და მხოლოდ პრეზიდენტია ის პირი, რომელიც ქვეყანაში კონსტიტუციის გარანტად რჩება," -აღნიშნა მან.

პარალელურად ოფიციალური სოხუმი საქართველოს ფაქტორზე აქტიურად ალაპარაკდა.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ აფხაზეთის სამხედრო ძალების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის ბრძანება გასცა.

როგორც ეშბამ ჟურნალისტებს აქვს მონაცემები დასავლეთ საქართველოს რაიონებში ქართული ჯარის კონცენტრაციის შესახებ, რომელთა მიზანი აფხაზეთში შეჭრა და სახელმწიფოებრიობის განადგურებაა.

"აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო სერიოზულადაა შეშფოთებული ბოლო დღეებში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციით - საქართველოს ხელისუფლება სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციით - საქართველოს ხელისუფლება არ ამბობს უარს რევანშისტულ გეგმებზე და ცდილობს, აფხაზეთში არსებული განხეთქილება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, - აღნიშნა მან, - **აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ყველა მცდელობა, აფხაზეთში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობის საქართველოს ინტერესებში გამოსაყენებლად, აღკვეთილი იქნება - ქვეყნის შეიარაღებული ძალები, აფხაზ ხალხთან ერთად, საკადრის პასუხს გასცემენ აგრესორს. რეალური საფრთხის მომენტში ყველა შიდა წინააღმდეგობა შეწყდება და ხალხი გაერთიანდება."**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ ამ განცხადების საპასუხოდ აღნიშნა, რომ თავდაცვის მინისტრის გამონათქვამები **"სრული აბსურდია"** და ქართული მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე შეჭრას არ აპირებს. **"თბილისი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან არსებული კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი გზით დარეგულირების მომხრეა. თბილისი არ აღიარებდა და არც აღიარებს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობას, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, თუ ვის აირჩევდა თავის ლიდერად აფხაზი ხალხი. სწორედ ამის გამო, საქართველოს ხელისუფლება არ ჩარეულა და არც აპირებს ჩარევას აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში,"** -დასძინა სახელმწიფო მინისტრმა.

ეუთოს მისია პანკისში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ზვიად რუაძის ფოტო

სალომე ზურაბიშვილმა ჭოყოლოში ურმით გასეირნებაც მოახერხა.

საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო არენაზე არერთხელ მოუწია იმის მტკიცება, რომ პანკისის ხეობა მსოფლიოსთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთო-ს მისია მაინც განაგრძობს მონიტორინგს. ამ დღეებში გაყინული კონფლიქტების ჯგუფის წარმომადგენლებმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან ერთად, სასაზღვრო ზოლი კიდევ ერთხელ დაათვალიერეს, შემდეგ კი პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს შეხვდნენ. სალომე ზურაბიშვილმა ცოტა ხანს სამსახური დაივიწყა - ჯერ ქისტ ქალებთან ერთად ხინკალი შეახვია, შემდეგ კი ცხენითაც გაისეირნა.

რუსეთის აზრით, ხეობა დღემდე ტერორისტების ბუდედ ითვლება. სიმართლის დასამტკიცებლად ქართველ სამართალდამცველებს არერთხელ მოუწიათ ხეობაში თვით რუსი ჩინოვნიკების და მედიის წარმომადგენლების ჩაყვანა.

სწორედ გაუთავებელი ბრალდებების გამო, საქართველო აუცილებლად მიიჩნევს რუსეთთან სასზღვარზე მონიტორინგის განხორციელება-გაფართოებას.

"ეუთო-ს ოპერაცია, საზღვრის მონიტორინგთან დაკავშირებით, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, რათა სიტუაცია დარეგულირდეს და საქართველომ ყოველგვარი პროვოკაცია აირიდოს თავიდან. ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობა ბევრად აქტიური უნდა იყოს ამ რეგიონში," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ჯორჯ მარშალის ფონდის პრეზიდენტმა კრეინგ კენედიმ.

ეუთო-ს დელეგაციამ სასაზღვრო ზოლის დათვალიერება მთათუშეთიდან დაიწყო. ახლა ამ მონაკვეთზე სასაზღვრო დეპარტამენტის ქვედანაყოფი და თვით ეუთო-ს მისიაც დგას. როგორც საზღვრის დამცველები აცხადებენ, საქართველოს საზღვარი ამ ბოლო დროს არავის დაურღვევია.

სალომე ზურაბიშვილმა ეუთო-ს დამკვირვებლები პანკისის ხეობის სოფლებშიც ჩაიყვანა. უცხოელი დამკვირვებლები ლტოლვილების ყოფით პირობებსაც გაეცნენ, შემდეგ კი ქისტების მიერ აშენებული ქართული სალოცავიც მოინახულეს. ევროპელების ერთდღიან ვიოაჟს ქართული ტრადიციული სუფრაც ახლდა, სადაც სალომე ზურაბიშვილმა უცხოელი სტუმრები გააკვირვა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ქისტ ქალებს აჯობა ხინკლის ამოხვევაში. შემდეგ კი მან სოფელი ჯოყოლო ურმით შემოიარა და ცხენითაც იჯირითა. ამასობაში უშიშროების მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია კმაყოფილებით ესაუბრებოდა სტუმრებს ნატო-ს მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე. **"ეს საქართველოსთვის უდიდესი მიღწევაა. აღნიშნული გეგმა ჩვენ საშუალებას მოგვცემს, სულ სხვა დონეზე იყოს განხილული საქართველოს საკითხი, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილისა,"** - აღნიშნა ბათუ ქუთელიამ.

ეუთო-ს დამკვირვებლებისთვის პანკისში სტუმრობა ინფორმაციით დატვირთული აღმოჩნდა. როგორც ჯორჯ მარშალის ფონდის პრეზიდენტმა კერინგ კერენდიმ აღნიშნა, **"იმის გარდა, რომ ხშირად ქართველების მიმართ პროვოკაციები ისმის და ამის გამო ბევრის მოთმენა გიწევთ, სხვა მხრივაც გამძლეები ყოფილხართ. ამის თქმის საფუძველს კი თქვენი ყოფითი ეკონომიკური მდგომარეობა მაძლევს."**

"ბურჯანაძის გუნდი საპარლამენტო უმრავლესობას დატოვებს"

როგორც წესი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებენ პრესაში გამოქვეყნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც მათ რიგებში არსებულ პრობლემებს ეხება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სახელისუფლებო გუნდში ყველაფერი წესრიგში არ არის და პრეზიდენტის საპარლამენტო საყრდენი ძალა სულაც არ არის ერთიანი და მონოლითური.

როგორც ამბობენ, პრეზიდენტი საკმაოდ კატეგორიული ტონით ითხოვს ფრაქციის ლიდერებისაგან, რომ მათ რიგებში არსებული დაპირისპირება საზოგადოების სამსჯავროზე არ გამოვიდეს და "ლოკალური კონფლიქტები", რაც შეიძლება, უხმაუროდ მოგვარდეს.

ამის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობიდან ინფორმაცია ჟონავს. უმრავლესობის წევრები ჟურნალისტებთან საუბრისას არც მალავენ, რომ უთანხმოება გუნდებს შორის არსებობს. თანაც, ამ დაპირისპირებების უარყოფას აზრი არ აქვს, რადგან ახალი საგადასახადო კოდექსისა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტების განხილვებმა ცალსახად აჩვენა, რომ უმრავლესობის წევრთა ნაწილი უარს აცხადებდა ე.წ. "გამტარის" (ანუ სახელმწიფო კანცელარიიდან წამოსული დავალებების უპირობო შემსრულებლის) როლის შესრულებაზე.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ღიად შეუტია პრემიერ-მინისტრს და საქართველოს პრეზიდენტს აგრძნობინა, რომ ჟვანიას გუნდისაგან პარლამენტარებზე საკმაოდ სერიოზული "იერიში" მიმდინარეობს.

თუმცა მოგვიანებით, აქტიური კონსულტაციებისა თუ დახურული შეხვედრების შემდეგ, პარლამენტის უმრავლესობის ნაწილმა, ფაქტობრივად, უკან დაიხია. ამავე დროს, იგივე ნინო ბურჯანაძე არანაირად არ დათმობს პარლამენტში ნომერ პირველი პოლიტიკოსის როლს და ნამდვილად არ შეეგუება იმ ფაქტს, რომ მის გარეშე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებსა და პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის გარკვეული მოლაპარაკებები წარმოებდა.

აქედან გამომდინარე, საკმაოდ სიმპტომატურია ოპოზიციონერი დეპუტატის ლევან ბერძენიშვილის პროგნოზი, რომელიც საპარლამენტო ცხოვრების მომავალ პერიპეტიებს ეხება. იგი აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძის გუნდი საპარლამენტო უმრავლესობაში არაკომფორტულად გრძნობს თავს. **"მათ ეს დაძაბულობა და დრტვინვა სახეებზეც ეტყობათ. საპარლამენტო უმრავლესობის ერთიანობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან ვგრძნობ, რომ ბურჯანაძის გუნდს უმრავლესობაში ყოფნა აღარ შეუძლია,"** - აღნიშნა მან.

ბერძენიშვილის შეფასებით, საპარლამენტო უმრავლესობაში ბურჯანაძის გუნდი საკმაოდ კვალიფიციური პარლამენტარებით არის წარმოდგენილი და მათი უმრავლესობიდან გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტს არჩევანის გაკეთება მოუწევს. **"ყველაზე კარგი ვარიანტია, პრეზიდენტმა საპარალამენტო უმრავლესობა მის მხარდამჭერ რამდენიმე ფრაქციად დაშალოს. მაშინ ყველა დეპუტატი თავს კომფორტულად იგრძნობს,"** - აცხადებს ბერძენიშვილი.

24 საათი

კოკოითს საერთაშორისო ექსპერტებმა მკაცრი გაფრთხილება მისცეს

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გაყინული კონფლიქტების შემსწავლელ საერთაშორისო ექსპერტებთან შეხვედრით უკმაყოფილო დარჩა.

როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციის კომიტეტი იუწყება, კოკოითმა საქართველოს ხელისუფლება შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებაში დაადანაშაულა, თუმცა საერთაშორისო ექსპერტები ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ, ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ ეროვნული ასამბლეის წარმომადგენელმა, ფრანგმა პიერ ლელუშმა დე ფაქტო პრეზიდენტს შეახსენა, რომ სამხრეთ ოსეთი თვითაღიარებული რესპუბლიკაა. მისივე თქმით, ოსურმა მხარემ დროზე უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები საქართველოსთან, თორემ საერთაშორისო თანამეგობრობის მოთმინება უკვე ზღვარზეა მისული.

როგორც ე. წ. ინფორმაციის კომიტეტი აცხადებს, ცხინვალში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე კონსტრუქციულ დიალოგს ელოდნენ, თუმცა ექსპერტებმა ოსური მხარის არგუმენტების მოსმენაზე უარი თქვეს.

მედია-ნიუსი

კეხვის საბუშაგოსთან მგზავრებს საქართველოში შემოსვლის საშუალებას არ აძლევენ

დიდი ლიახვის ხეობაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. დილიდან კეხვის საგუშაგოსთან გაჩერებულია ხუთი ავტობუსი, რომელთა მგზავრები რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში შემოსვლას ცხინვალის გავლით აპირებდნენ. საქართველოს მთავრობა მათ ცხინვალის გავლით გადაადგილების საშუალებას არ აძლევს.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში მსგავსი ინციდენტი რამდენჯერმე დაფიქსირდა როგორც დიდი ლიახვის ხეობაში, ასევე ერგნეთის საგუშაგოსთან. საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ცხინვალის რეგიონში ოფიციალური საბაჟო გამშვები პუნქტი არ არსებობს და საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეებმა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა ლარსის საბაჟოს გავლით უნდა მოახდინონ.

საქართველოს მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება სერიოზულ პროტესტს იწვევს იმ მგზავრებში, რომლებიც გაჩერებულ ავტობუსებში იმყოფებიან. ცოტა ხანში დიდი ლიახვის ხეობაში მათთან შეხვედრას გეგმავს საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში იმყოფება და დიდი ლიახვის ხეობაში შემოვლითი გზით აპირებს გადასვლას.

ინტერ-პრესი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეები პარიზში მიიწვიეს

3 ნოემბერს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების - ნინო ბურჯანაძის, არტურ ბაღდასარიანისა და მურთუზ ალესკეროვის ერთობლივი ვიზიტი იგეგმება. სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეები პარიზში საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ კრისტიან პონსელემ მიიწვია.

მათ შეხვედრები ექნებათ იუნესკოს გენერალურ მდივანთან კოიტირო მაცურასთან, ფრანგული პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონფერენციაში, სახელწოდებით "ტერიზმის განვითარება და კულტურული მემკვიდრეობა".

მედია-ნიუსი

მთავრობის და კახელების ფესტივალი

ქვეყნის მთავარი ეკონომისტი კახა ბენდუქიძე, საქართველოში ღვინის ფესტივალზე ჩასულ რუს ბიზნესმენებს გართობას და ჭამას ურჩევს. ამის შესახებ ხმამაღალი, იუმორნარევი განცხადება მან შაბათს საღამოს, წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში, "ღვინის ფესტივალის" ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე გააკეთა. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია კი მიიჩნევს, რომ მოძმე ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ გარკვეული დაინტერესება უკვე გაჩნდა.

პირველი გვერდიდან

ზვიად რუაძე

საქართველოს მთავრობამ არაერთხელ სცადა რუსი ბიზნესმენების დაინტერესება. პირველი ნაბიჯი რამდენიმე თვის წინ გადაიდგა, როდესაც თბილისმა საქართველო-რუსეთის ბიზნეს-ფორუმს უმასპინძლა. ამას, თითქოს, გარკვეული წინსვლა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ რუსმა ბიზნესმენებმა აქტიური კაპიტალ-დაბანდება საქართველოში მაინც არ ისურვეს.

ნატალია სტაშენკო რუსეთში ერთ-ერთ წარმატებულ ბიზნესმენად ითვლება. მას და მის მეუღლეს მოსკოვში რამდენიმე სავაჭრო ცენტრი აქვთ გახსნილი. მისი ვიზიტი საქართველოში პირველი არ არის – იგი ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ სტუმრობდა. როგორც სტაშენკო ამბობს, მაშინ მას ქართველ ბიზნესმენებთან ურთიერთობის საშუალება არ მიეცა. ამჯერად კი იგი საქართველოსთან ბიზნესპარტნიორობას გეგმავს, **"თუმცა, ჯერ ვერ გეტყვით, საბოლოოდ როგორ გადაწყვეტილებას მივიღებ, რადგან მე და აქ მყოფ ჩვენს კოლეგებს ამ ეტაპზე გვსურს, სწორი შეფასება მივცეთ ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებს,"** - ამბობს ნატალია სტაშენკო.

რუს ბიზნესმენთა უმრავლესობას კი საქართველოსთან პარტნიორობა სარისკოდ მიაჩნია. ამ მხრივ პრობლემები განსაკუთრებით ბანკირებს აქვთ. მიუხედავად ამისა, ისინი ამ რეგიონის მიმართ ინტერესს მაინც იჩენენ. განსაკუთრებულ ყურადღებას კი მეღვინეობას აქცევენ. მოსკოვის "ნაციონალური სარეზერვო ბანკის" წარმომადგენელს დმიტრი სოლოვიოვს მიაჩნია, რომ საქართველოსთან ბიზნეს ურთიერთობების დამყარება სამომავლოდ მაინც მოხერხდება. **"მე ამის ნაკლებ გარანტიას ვიძლევი, თუმცა ჩვენი ბანკის ხელმძღვანელობას ამის დიდი სურვილი აქვს,"** - აცხადებს იგი.

თავად ქართულ მხარეს კი რუსი ბიზნესმენების საქართველოში სტუმრობამ დიდი იმედი ჩაუსახა. განსაკუთრებით ოპტიმისტურად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაა განწყობილი. ქვეყნის მთავარ ეკონომისტს კახა ბენდუქიძეს კი ამის ნაკლებად სჯერა. იგი რუსებს საქართველოში მხოლოდ ჭამას, სმას და გართობას ურჩევს. **"რაც შეეხება ღვინის ფესტივალს, ეს უბრალოდ გართობაა და მეტი არაფერი,"** – ასე შეაფასა კულტურის მინისტრის ღვაწლი კახა ბენდუქიძემ. გოკა გაბაშვილს კი მიაჩნია, რომ ამგვარი სანახაობები ბიზნეს-პარტნიორობას თუ არა, ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას მაინც შეუწყობს ხელს...

როგორც ყოველთვის, კახელი მეზვრის პრობლემა ამჯერადაც არავის გახსენებია. გრანდიოზული სანახაობები, რომელიც წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში და ღვინის ქარხანაში მხოლოდ ელიტარული საზოგადოებისთვის გაიმართა, თვით წინანდლელებმაც კი მხოლოდ ტელევიზიით იხილეს. და მაინც, ამ დღეებში კახელებიც განსაკუთრებით ზეიმობდნენ - ამ ორი დღის განმავლობაში არც მეცხრე ენერგობლოკი გამოსულა მწყობრიდან და არც "კავკასიონი" აუფეთქებიათ, რეგიონს ორი დღის განმავლობაში ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდებოდა.

მოკლედ

პრეზიდენტმა თავისივე ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოაცხადა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისივე ხელმოწერილი ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოაცხადა.

24 აგვისტოს ბრძანებულებით, სასამართლო სისტემაში რეფორმის ახალი ეტაპი 20 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოში არსებული 70 სასამართლო 24 რაიონულ სასამართლომდე უნდა შემცირებულიყო, შესაბამისად, შემცირდებოდა მოსამართლეთა რიცხვი, რომელიც დღეისთვის 300-ს აღემატება.

24 აგვისტოს ბრძანებულებით, ორი-სამი რაიონული სასამართლოდან შეიქმნებოდა ერთი, როგორც ეს რაიონული პროკურატურების გაერთიანებისას მოხდა.

იუსტიციის საბჭოში შემუშავებული იყო სასამართლო ხელისუფლებისა და სპროცესო კანონმდებლობის რეფორმის კონცეფცია, თუმცა ამ კონცეფციის განხორციელება საჭირო აღარ გახდა.

საქართველოს პრეზიდენტმა, იურიდიული საზოგადოების თხოვნით, ძალადაკარგულად გამოაცხადა 24 აგვისტოს ბრძანებულება რაიონული სასამართლოების გაერთიანების შესახებ.

მედია-ნიუსი

გიგა ბოკერია კანონში შესწორებას ითხოვს

პარლამენტარი გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანამდე აუცილებლად უნდა დაიხვეწოს.

გიგა ბოკერია მოითხოვს, რომ საგადასახადო და ქონებრივი ამნისტია გაემიჯნოს "თანამდებობის პირთა უკანონო ქონების შესახებ" უკვე მიღებულ კანონს, ისე, რომ "ამნისტიის შესახებ" კანონპროექტის მიღებით არ გაუქმდეს უკვე მიღებული კანონის ზოგიერთი მუხლი.

"თანამდებობის პირთა უკანონო ქონების შესახებ" კანონი პარლამენტმა საზოგადოების მოთხოვნით მიიღო. მე დღემდე ვერ მოვისმინე არგუმენტაცია, რატომ უნდა გაუქმდეს მისი რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლი," - აღნიშნა "ინტერ-პრესთან" საუბრისას ბოკერიამ.

მისი თქმით, კანონიდან ამოსაღებად გამზადებული მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ბრალის წაყენების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი თანამდებობის პირზე გადადის და მან უნდა ამტკიცოს, საიდან ჰქონდა ესა თუ ის ქონება.

"არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტის თანახმად, არც ერთი მაკონტროლებელი და სამართალდამცველი ორგანო აღარ განახორციელებს 2004 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შემოწმებას; არავის ექნება უფლება, მოახდინოს დეკლარირებული ქონების, მათ შორის ფინანსების წარმომავლობის შემოწმება. მოქალაქეებს კანონის ამოქმედების დღიდან 2005 წლის ბოლომდე მიეცემათ ვადა ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციების წარსადგენად, რაც მათ მიერ დეკლარირებული ქონების ლეგალიზაციის საფუძველი იქნება.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის აზრით, პარლამენტის მიერ "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის მიღებით უამრავ ადამიანს ეკონომიკური სტიმული მიეცემა და "საქართველოში ახალი ერა დაიწყება".

გოცირიძის პროგნოზით, მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში შესულ აღნიშნულ კანონპროექტს საპარლამენტო კომიტეტებში და პლენარულ სხდომაზე განხილვისას პრობლემები არ შეექმნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზუგდიდი. ორი წლის წინ ზუგდიდის მერად არჩეული ტარიელ ქანთარია საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ დღეს საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიგი უგულავამ განაცხადა.

უგულავას თქმით, სამეგრელოში ჩასვლისთანავე მას საუბარი ჰქონდა ზუგდიდის მერთან, რომელიც არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე და შესაბამისად, ხელისუფლებას მისი გადაყენების უფლება არ აქვს. "ტარიელ ქანთარიამ აღრევე გამოთქვა თანამდებობიდან წასვლის სურვილი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით. დღეს მისი განცხადება დაკმაყოფილდა და ტარიელ ქანთარია დაკავებული თანამდებობიდან გადადგა" - აღნიშნა უგულავამ.

მისივე თქმით, ასეთ შემთხვევაში გადაყენებას ექვემდებარებიან მერის მოადგილეებიც, რაც შეეხება ქალაქის გამგეობის აპარატს, დაინიშნება კონკურსი, რომლის საფუძველზე შერჩეული საჯარო მოხელეები შესაბამის თანამდებობებზე დაინიშნებიან.

უგულავას განცხადებით, ზუგდიდის ახალი მერის ვინაობა ხვალ გახდება ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატი – ქალაქის გამგებლობის ყოფილი კანდიდატი "ნაციონალური მოძრაობიდან" კახა არდია და "ნაციონალური მოძრაობის" სამეგრელოს ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ ცხადაია განიხილებიან. სავარაუდოდ, დღეს სწორედ კახა არდიას კანდიდატურა დასახელდება და იგი ქალაქის არჩეულ მერს შეცვლის. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ოჯახის პორტრეტი ექსტერიერში

მოდი, ციფრებით ვილაპარაკოთ

პირველი გვერდიდან

განქორწინების რა მოგახსენოთ, მაგრამ ქორწინების პროცედურა, წინა წლებთან შედარებით, გაიოლდა. ხელის მოწერა შესაძლებელია ყველა მმაჩის ბიუროში და 9 ლარის გადახდის შემდეგ, განცხადების შეტანიდან ერთი თვის თავზე ქალი და კაცი ცოლ-ქმრად ცხადდებიან. ბოლო დროს გახშირებული არარეგისტრირებული ქორწინებების გამო გართულდა ქორწინებისა და განქორწინების აღრიცხვა. არარეგისტრირებულ ქორწინებად ითვლება ჯვრისწერაც და ქორწინების ის ფორმაც, როცა ცოლს და ქმარს არც ხელი აქვთ მოწერილი და ჯვარიც არ დაუწერიათ, თუმცა მათ ცოლ-ქმრობას ყველა აღიარებს - მშობლები, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები. რაც შეეხება თანაცხოვრებას, ანუ როცა ქალი და მამაკაცი ერთად ცხოვრობს, მაგრამ მათ ურთიერთობას ცოლ-ქმრობად არავინ მიიჩნევს და იგივეს არც ასეთი წყვილი იჩემებს, ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე, არც ისე ხშირია. თუ ასე მაინც ხდება, ამგვარი ურთიერთობის აფიშირებას თითქმის ყველა ერიდება.

საყოველთაოდ მიღებული სტერეოტიპი, ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით, ერთი შეხედვით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირდება. ლოგიკა მარტივია: რაც უფრო ადრეულ ასაკში შექმნი ოჯახს, მით მეტია ალბათობა, რომ ბევრ შვილს იყოლიებ და ქვეყანაც გამრავლდება. მაგრამ არსებობს ერთი ანგარიშგასაწევი გარემოება: ადრე დაოჯახებულ წყვილებში განქორწინების რისკიც მატულობს, შესაბამისად, მცირდება პოტენციური ბავშვების რაოდენობაც. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან საქართველოში ხელახალი ქორწინების მაჩვენებელი ყოველთვის დაბალი იყო და დღემდე ასე რჩება. ეს კი ნიშნავს: თუ ქალი ადრეულ ასაკში გათხოვდა და განქორწინებამდე მხოლოდ ერთი ბავშვის გაჩენა მოასწრო, ის მეორეჯერ იშვიათად თხოვდება და მხოლოდ ერთი შვილის ამარა რჩება. პირველი ქორწინების მაჩვენებელი ადრეულ ასაკში ასეთია:

პირველი ქორწინება 16-19 წლის ასაკში

1990 წ. კაცი - 1759. ქალი - 9915.
1991 წ. კაცი - 3570. ქალი - 12761.
1992 წ. კაცი - 2476. ქალი - 9185.
2000 წ. კაცი - 742. ქალი - 2806.
2001 წ. კაცი - 734. ქალი - 2434.
2002 წ. კაცი - 645. ქალი - 2303.

ისტორიამ შემოგვინახა მაგალითები, როცა დედა შვილზე მხოლოდ 13 წლითაა უფროსი. დავით აღმაშენებლის დროს 12 წლის გოგონებს ჯვრისწერის უფლებას რთავდნენ. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ხშირად ქორწინება ადრეულ ასაკში ყოველთვის სქესობრივ ურთიერთობას არ გულისხმობდა - გოგოს ათხოვებდნენ, ის ქმრის ოჯახში იზრდებოდა და მხოლოდ მომწიფების შემდეგ ასრულებდა ცოლის მოვალეობას. დღეს კანონის თანახმად საქართველოში ქორწინება 17 წლის ასაკამდე დაუშვებელია. გამონაკლისის სახით, ანუ მშობლების თანხმობის შემთხვევაში, 16 წლის ასაკის ახალგაზრდებსაც აძლევენ რეგისტრაციის უფლებას. რაც შეეხება ჯვრისწერას, აქ ასაკობრივი ცენზი უფრო დაბალია და ისევ და ისევ მშობლების თანხმობის შემთხვევაში, ჯვარს 14 წლის ბავშვებსაც წერენ. დღევანდელი კანონმდებლობით, ქორწინებისა და სრულწლოვანების ასაკი (18 წელი) ერთმანეთს არ ემთხვევა. გამოდის, რომ 17 წლის ახალგაზრდას ოჯახის შექმნის უნარი გააჩნია, თუმცა ასეთ ახალგაზრდას სახელმწიფო პრეზიდენტის არჩევას ვერ ანდობს. არადა, ადრე გვიკიჟინებდნენ, სახელმწიფო ოჯახიდან იწყებაო.

როგორც დემოგრაფები აღნიშნავენ, ასაკობრივი ცენზის დაწესება ქორწინების შემთხვევაში ზედმეტია, რადგან ვინც ადრეულ ასაკში განიზრახავს დაოჯახებას, ის ამ ნაბიჯს ისედაც გადადგამს. საუკეთესო შემთხვევაში ქორწინებას მოგვიანებით გააფორმებს ან საერთოდაც არ გააფორმებს და სიცოცხლის ბოლომდე არარეგისტრირებული წყვილის სტატუსს დასჯერდება. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით თავად ახალგაზრდები და ითვალისწინებენ თუ არა მშობლების რჩევებს? დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მონაცემები ცხადყოფს, რომ გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, 18 წლის ქალის ქორწინების მომხრეა მხოლოდ 1,9 პროცენტი ქალი და 10,5 პროცენტი კაცი. რაც შეეხება მამაკაცებს, ქალების 0,6 პროცენტი მიიჩნევს, რომ 19 წლის მამაკაცის დაქორწინება მიზანშეწონილია, იგივე აზრს მამაკაცების 2,9 პროცენტი იზიარებს. როგორც ვხედავთ, ასაკობრივი ცენზის ქვედა ზღვარი ამ გამოკითხვის თანახმად 18-19 წლით შემოიფარგლა. მშობლების თანხმობა აუცილებელია ქალების 75 პროცენტისთვის, კაცების 46 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ოჯახის შესაქმნელად დედ-მამის აზრის გათვალისწინება სრულიად ზედმეტია.

საინტერესოა, მიენიჭება თუ არა ახლო მომავალში საეკლესიო ჯვრისწერის დამადასტურებელ საბუთს იურიდიული ძალა და რა მოხდება განქორწინების შემთხვევაში?

მას შემდეგ, რაც შარშან დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, "სახელმწიფომ აღიარა ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერა, ერთი პირობის გათვალისწინებით: იურიდიულ ურთიერთობებში გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ამგვარად, სახელმწიფომ დატოვა არსებული წესი, ანუ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია, მაგრამ, ასევე, ცნო ჯვრისწერა. ეს ცნობა, სავარაუდოდ, გამოიხატება იმაში, რომ ჯვარდაწერილ, მაგრამ რეგისტრაცია გაუვლელ ცოლ-ქმარს სახელმწიფო განარჩევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემთხვევითი წყვილებისაგან და, ამგვარად გამართლებულია ზნეობრივად. საინტერესოა, მიენიჭება თუ არა ახლო მომავალში საეკლესიო ჯვრისწერის დამადასტურებელ საბუთს იურიდიული ძალა და რა მოხდება განქორწინების შემთხვევაში? საქმე ისაა, რომ საეკლესიო განქორწინება, ანუ გვირგვინის ახსნა, მორალურადაც და პროცესუალურადაც გაცილებით ძნელია, ვიდრე მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ცოლ-ქმრის გაყრა. რახან სიტყვა გაყრაზე ჩამოვარდა, აქვე დავძენ, რომ იგი ქორწინებასთან შედარებით ძვირი ჯდება. თუ განქორწინება ერთობლივი განცხადების საფუძველზე ხდება, 30 ლარის გადახდის შემდეგ, ქორწინება უქმდება. რაც შეეხება სხვადასხვა ტიპის გართულებებს, როგორიცაა ერთი მხარის გაჯიუტება, დავა ბავშვების მეურვეობაზე ან ქონების გადანაწილება, საქმე სასამართლომდე მიდის და, შესაბამისად, გაყრა 50-დან 200 ლარამდე ჯდება.

რადგან დემოგრაფიაზე ლაპარაკი გვიწევს, ბუნებრივია, ვერ ავცდებით შობადობის კლების პრობლემასაც. იმის გამო, რომ დაბადების მოწმობის აღება ყველა ახალშობილისთვის აუცილებელია, იმისდა მიუხედავად, რეგისტრირებულნი არიან თუ არა მათი მშობლები, შობადობის ზუსტი მაჩვენებლის დადგენა შედარებით იოლია. როგორც მოსალოდნელი იყო, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში გაიზარდა, რაც არარეგისტრირებული ქორწინებების მატებითაა გამოწვეული.

შობადობა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე

1989 წ. - 16161.
1990 წ. - 16903.
1991 წ. - 16679.
2000 წ. - 20057.
2001 წ. - 21130.
2002 წ. - 21403.

2002 წელს ახალშობილთა 45 პროცენტი არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად გაჩნდა, მარტიოხელა დედებზე მხოლოდ 5 პროცენტი მოდის.

ისევ ასაკს თუ მივუბრუნდებით, ბოლო დროს ოც წლამდე ასაკის ქალები შვილების გაჩენისაგან თავს იკავებენ. 1980-1996 წლებში ამ ხნის ქალები ყოველწლიურად დაახლოებით 10 000-დან 12 000 ათასამდე ბავშვს აჩენდნენ. 2000-2002 წლებში კი, იმავე ასაკის ქალებში შობადობის მაჩვენებელი ასე მერყეობს: **7124, 5784, 5833.**

რაც შეეხება განქორწინებას, რეგისტრირებული ქორწინებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განქორწინებამ იკლო, თუმცა აქაც იგივე პრობლემის წინაშე ვდგავართ - არ არსებობს არარეგისტრირებული ქორწინების სტატისტიკა, მათ შორის იმ ოჯახებშიც, რომლებიც ეკლესიურად ცხოვრობენ.

განქორწინება 20 წლამდე ასაკში

1990 წ. კაცი - 15. ქალი - 66;
1991 წ. კაცი - 23. ქალი - 89;
1992 წ. კაცი - 44. ქალი - 149;
2000 წ. კაცი - 3. ქალი - 21;
2001 წ. კაცი - 5. ქალი - 8;
2002 წ. კაცი - 3. ქალი - 10;

სხვა ქვეყნებთან შედარებით განქორწინების მაჩვენებელი ჩვენთან არც ისე მაღალია, რამაც უნდა გვაფიქრებინოს, რომ ოჯახის ინსტიტუტი კვლავინდებურად მყარია. მაგრამ გულახდილები თუ ვიქნებით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო დროს გახშირდა ფიქტიური ოჯახების რაოდენობა. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ცოლ-ქმარი მატერიალური თუ მენტალური პრობლემების გამო (არ უნდათ შვილებს ატკინონ გული, ან, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე ცხოვრებას ვერ ახერხებენ) ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ. იქნებ ამიტომაც უკვირდა ქართველების კარგ მეგობარს, ცნობილ გერმანელ დრამატურგს ვედეკინგს ჩვენი ამბავი: ვერ გამიგია, საქართველოში ყველა ქალი პატიოსანია, მაგრამ ყველა კაცს საყვარელი ჰყავსო. რაც შეეხება ფიქტიურ განქორწინებას, ასეთი პრაქტიკა კომუნისტების დროს ზედმეტი საცხოვრებელი ფართის შენარჩუნებასთან დაკავშირებით დამკვიდრდა. თუ დღეს ჩვენი სახელმწიფო კომუნისტების კვალდაკვალ 100 კვადარტულ მეტრზე მეტ ფართზე გადასახადს დააწესებს, გაკულაკების შიშით ხვალ ფიქტიური განქორწინებები აუცილებლად გაიზრდება.

სასურველი და არა შემთხვევითი

ექიმები მიიჩნევენ, რომ ქორწინება და მშობიარობა ადრეულ ასაკში სახიფათოა. საკითხავია, რას სთავაზობენ ისინი არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი პოფესორი ჯენარო ქრისტესაშვილი ქორწინებას ადრეულ ასაკში იმით ხსნის, რომ ოჯახშიც და სკოლაშიც სქესობრივ პრობლემებზე ბავშვებს არავინ ელაპარაკება. რჩება თითქმის სრულიად გაუკონტროლებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

- ეს კითხვა ბოლო დროს ბევრჯერ დაისვა: მაინც, რა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სკოლაში?

- ყოველ შემთხვევაში, სექსოლოგია არ უნდა ვასწავლით, რადგან სექსოლოგია მედიცინის დარგია და მას სკოლაში, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ დანერგავ. ლაპარაკი იყო სქესობრივ განათლებაზე. რადგან საზოგადოებას ესეც ეხამუშება, მე "ჯანმრთელობის გაკვეთილებს" შემოვიღებდი. სხვების გამოცდილების გაზიარება აუცილებელია, თუმცა სხვა ქვეყნებისთვის დაწერილი სახელმძღვანელოებით სწავლება ჩვენს სკოლებში დაუშვებელია. მაგალითად, როცა ჩვენ ერთ-ერთ ბროშურას ვამზადებდით, ყდაზე ხელიხელგადახვეული წყვილი კი არ დაგვიხატავს, არამედ ბავშვის ფოტო შევარჩიეთ. ასეთი ნიუანსებიც გასათვალისწინებელია. სხვათა შორის, ჩვენ საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტები გვყავს. დარწმუნებული ვარ, სქესობრივ ცხოვრებაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ბავშვს ბიოლოგიის მორცხვი მასწავლებელი არ უნდა ელაპარაკებოდეს.

- რას ნიშნავს ქორწინება ადრეულ ასაკში?

- როცა გოგონები 14, 15 წლის ასაკში თხოვდებიან. რაც შეეხება ბიჭებს, ისინი შედარებით "გვიან" - 16-17 წლისანი ქორწინდებიან. შემაშფოთებელი ფაქტია. 15 წლამდე ორსულობის დროს რისკის ფაქტორი ოცდახუთჯერ მაღალია, ვიდრე ოცი წლის ზემოთ მშობიარობის შემთხვევაში. ეს ვიცით ჩვენ, ექიმებმა, მაგრამ იგივე მოზარდებსაც უნდა გავაგებინოთ. ამ ასკში ორგანიზმი სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ არის, გოგონა ფიზიკურადაც და მორალურადაც შვილის გაჩენისათვის მზად არ არის. როგორ ფიქრობთ, 15 წლის დედა სახლში დარჩება და ბავშვს გაზრდის? რა თქმა უნდა, არა, და ბავშვს, როგორც წესი, ბებიები ზრდიან. მე არა ვარ ასეთი გამრავლების მომხრე. დემოგრაფიული მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენ ხარისხობრივი და არა რიცხობრივი გამრავლება გვჭირდება.

- და ამ პრობლემას კონტრაცეფცია აგვარებს?

- რეპროდუქტოლოგიის პრინციპია - სასურველი და არა შემთხვევითი შვილი. კონტრაცეფცია სწორედ ამ პრინციპის დაცვას ემსახურება - ყველას აქვს იმის უფლება, იყოლიოს იმდენი შვილი და მაშინ, როცა მას უნდა. შემთხვევითი დაორსულების დროს კი, უმთავრესად, აბორტი კეთდება, რაც ადრეულ ასაკში მთელ რიგ გართულებებს იწვევს, განსაკუთრებით დიდია უნაყოფობის განვითარების საშიშროება. კონტრაცეფცია ამ საშიშროებას საგრძნობლად ამცირებს. სწორედ ამიტომაა საჭირო სკოლებში შესაბამისი საგნის დანერგვა, თორემ ჩვენ თავისუფალი სქესობრივი კავშირებისკენ არ მოვუწოდებთ. პირიქით, გვინდა მოზარდებს გავაგებინოთ, რომ შემთხვევითი სქესობრივი კავშირები სახიფათოა. პარტნიორის ერთგულება - აი, რა უნდა ჩავუნერგოთ ახალგაზრდებს. შიდსის პრობლემამ დასავლეთში ქალიშვილობის ინსტიტუტი წინა პლანზე წამოწია. იქნებ ჩვენ მაინც შევაჩეროთ სექსუალური რევოლუცია? კი, ბატონო, უყვარდეთ ერთმანეთი, აკოცონ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ არ არის აუცილებელი, პირველივე შემთხვევა სქესობრივი კავშირით დამთავრდეს. აკრძალვას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. 14 წლის გოგონა უნდა დაარწმუნო, რომ მისთვის ბავშვის გაჩენა ჯერ ნაადრევია. როგორც წესი, ქორწინება ადრეულ ასაკში იმ ქვეყნებშია ხშირი, სადაც განათლების დონეა დაბალი.

- და ყველაფრის მიუხედავად, აბორტების მაჩვენებელი ისევ მაღალია...

- სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მაღალია, თუმცა კონტრაცეპტივებს საგრძნობლად მეტი მომხმარებელი გაუჩნდა. სხვათა შორის, გინეკოლოგების ანონიმური გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ექიმი საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად ქალს არასასურველი ფეხმძიმობისაგან კონტრაცეპტივებით თავის დაცვას არ ურჩევს და აბორტის გაკეთებას სთავაზობს. ასეთი ექიმი, ბუნებრივია, აბორტის პროპაგანდას ეწევა.

ნახტომი სივარიელეში

წარმოიდგინეთ, რომ თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა ხართ და ახლახან შექმენით ოჯახი. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ერთხელაც სექსოლოგის ან ფსიქოთერაპევტის "კუშეტკაზე" აღმოჩნდით. ცხადია, ქორწინება ადრეულ ასაკში ყოველთვის ექიმის მისაღებში არ მთავრდება და არც ამ პროფილის სპეციალისტებთან კონსულტაცია მიანიშნებს პათოლოგიაზე. პირიქით, რაც მეტი წყვილი შეეცდება პრობლემების ერთად დაძლევას, მით უკეთესი მათთვის. ცუდი ისაა, რომ ბევრი ფსიქოთერაპევტსა და სექსოლოგს საერთოდ არ აკითხავს: ვინ უსახსრობის, ვინ კიდევ უცოდინრობის გამო. ამ კატეგორიის წყვილებს ვურჩევთ, ყურად იღონ სექსოლოგ ანდრო კანდელაკის რჩევები:

- იმისათვის, რომ წყვილმა ადრეულ ასაკში შექმნას ოჯახი, ბიჭმა უნდა იცოდეს, რომ "ბირჟაზე" დიდიხანს ვეღარ დადგება, გოგონა კიდევ საათობით ვერ ჩამოეკიდება ტელეფონს, ორივე ერთად კი უნდა შეეგუოს დედამთილ-მამამთილს, სიდედრ-სიმამრს, მაზლს, მულს და ა.შ. ეს ისე, სხვათა შორის, უფრო სერიოზულად კი - სანამ გოგო ცოლი, ბიჭი კი ქმარი გახდებიან, ისინი უნდა მომწიფდნენ ფიზიოლოგიურად, ფსიქოლოგიურად და სოციალურად. ჩვენთან ფიზიოლოგიური სიმწიფე ხშირად ქორწინების მზაობის ეკვივალენტი ხდება. როგორც კი ეს ჰარმონია ირღვევა (ასე კი, სამწუხაროდ, ხშირად ხდება, განსაკუთრებით სოციალური ფაქტორის გამო), დისჰარმონიას კონფლიქტი მოჰყვება, კონფლიქტს კი - დანგრეული ოჯახები.

არადა, ჩვენ სამხრეთის ქვეყანა ვართ და აქსელერაციის პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, მაგრამ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სიმწიფე ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ უკანასკნელის დეფიციტი ისედაც სახეზეა - სასათბურე პირობებში გამოზრდილი ინფანტილური ახალგაზრდები, მეტადრე ქალაქად. ფიზიოლოგიურად მომწიფებული ახალგაზრდა ახალი ნახტომისათვის ემზადება, ეს ნახტომი კი, სინამდვილეში, სიცარიელეში ნახტომია. თაფლობის თვე მთავრდება, ვნება ცხრება და რჩება ოჯახი, როგორც ფასადი, შიგნით კი ფუტურო ხესავითაა.

ასეც ხდება: 15 წლის გოგონა 20 წლის ვაჟზე თხოვდება, ორ შვილსაც აჩენს, მერე უცებ რაღაც ემართება, ნევროზი ჰგონიათ, მკურნალობენ, მაგრამ უშედეგოდ. ყველაფერი გაცილებით რთულადაა: ორი შვილის დედას ქმრის მიმართ ფიზიოლოგიური პრეტენზია გაუჩნდა - და ეს მას შემდეგ, რაც გოგონა ფსიქოლოგიურადაც მომწიფდა და უკვე ქალმა სხვა თვალით შეხედა ქმარს. ვინც მსგავსი პრობლემების ერთად და, რაც მთავარია, დროულად გადაწყვეტას ცდილობს, ისინი ოჯახებს ინარჩუნებენ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ურთიერთობა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის ჩიხში შედის. ასეთ დროს განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება - განქორწინება გარდაუვალია.

რკინიგზის სადგურების რემონტი გრძელდება

"ყველაზე ლამაზი სადგურები სამეგრელოშია", - განაცხადა "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა ხობისა და ზუგდიდის სადგურების საზეიმო გახსნაზე. ხობის სადგურის წითელი ლენტი სამეგრელოში სპეციალურად ჩასულმა საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა და პრეზიდენტის რწმუნებულმა სამგრელოსა და ზემო სვანეთში გიგი უგულავამ ამ ორი დღის წინ გადაჭრეს. ცერემონიალს ადგილობრივი სადგურების უფროსებიც ესწრებოდნენ.

სოფიკო ოხანაშვილი

ორი კაპიტალურად გარემონტებული სადგური, ქუთაისის დეპოში შეკეთებული ორი ელექტრომატარებელი, გასუფთავებული ლიანდაგები – ასეთი სურათი დახვდა დასავლეთ საქართველოში ჩასულ "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორს. **"სამეგრელოს სადგურები სამაგალითო უნდა გახდეს",** - განაცხადა ონოფრიშვილმა.

თბილისიდან დაძრული სპეციმატარებელი სამტრედიის სადგურში გაჩერდა. პირველი ღონისძიება სამტრედიის რეგიონული სამმართველოს ახალი უფროსის წარდგენა იყო. ამ პოსტზე ავთანდილ მარჯანიშვილმა შეცვალა კოტე ნინიძე, რომელმაც თვენახევრიანი საცდელი პერიოდი ისე წარმატებით გაიარა, რომ ამჟამად "საქართველოს რკინიგზის" ტექნიკური დირექტორია. სამტრედიიდან დელეგაციამ ქუთაისში გადაინაცვლა, სადაც დეპოში შეკეთებული ორი ძველთაძველი ელექტრომატარებელი მოინახულა, რომელთა შეკეთება ოც-ოცი ათასი ლარი დაჯდა. სპეციმატარებლის შემდეგი გაჩერება სენაკი იყო, სადაც მატარებლის შემადგენლობას სანდრა რულოვსი და გიგი უგულავა შემოუერთდნენ. პირველი ლედი ორივე სადგურის პრეზენტაციას დაესწრო.

ხობის სადგურის კაპიტალური შეკეთება "საქართველოს რკინიგზას" 29 ათასი, ხოლო ზუგდიდის სადგურის – 175 ათასი ლარი დაუჯდა. ხობის სადგური, რომელიც ექსპლუატაციაში 1954 წელს შევიდა, პირველად 1997 წელს შეკეთდა, ოღონდ ზერელედ, სადგურის დირექტორის თამაზ სოსელიას თქმით, ასეთი კაპიტალური რემონტი სადგურს აშენების შემდეგ პირველად ახლა ჩაუტარდა. ზუგდიდის სადგურის ხელმძღვანელის თემურ კუკავას განმარტებით, სადგური 1995 წლამდე მთლიანად გადამწვარი იყო. მას შემდეგ სადგურის ნელ-ნელა შეკეთება დაიწყეს, კაპიტალური შეკეთება კი მხოლოდ ახლაღა მოხერხდა. ონოფრიშილი ნანახით კმაყოფილი დარჩა. **"თუ ასეთი ტემპით გავაგრძელებთ მუშაობას ორ-სამ წელიწადში საქართველოში კეთილმოწყობილი სადგურები იქნება"**, - განაცხადა რკინიგზის შეფმა და ორიოდე სიტყვით რკინიგზის განვითარების პერსპექტივებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოს რკინიგზის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ფილიპ ლეფორმა. საფრანგეთი მზადაა "საქართველოს რკინიგზას" ტექნიკურად დაეხმაროს. დეტალების დასაზუსტებლად დეკემბერში თბილისში საფრანგეთის რკინიგზის ხელმძღვანელს ელოდებიან.

ტექბიუროების გაუქმების პროცესი ფერხდება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სისტემაში რეფორმებს ატარებს. უკვე მზადაა კანონპროექტი უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის შესახებ, რომლის პარლამენტში შეტანასაც უახლოეს მომავალში გეგმავენ. ამასთან, გასულ კვირას სააგენტოში ინფორმაციის მართვის ცენტრი შეიქმნა და, ახალი კადრების შერჩევის მიზნით, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება გადაწყდა.

დიანა ჩაჩუა

სააგენტომ ოთხთვიანი მოღვაწეობის პერიოდში პირველად მასმედიისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ლიკანში ორდღიანი გასვლითი სემინარი მოაწყო, რომელიც სააგენტოში არსებულ პრობლემებს, ინსტიტუციურ ცვლილებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს მიეძღვნა. როგორც სააგენტოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თეა დაბრუნდაშვილმა აღნიშნა, სააგენტოს რეფორმები თვითდაფინანსებაზე გადასვლას, სააგენტოს რესტრუქტურიზებას და საშტატო ოპტიმიზაციას გულისხმობს. როგორც სააგენტოს თავმჯდომარემ დავით ეგიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, ახალი კადრები ერთ თვეში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდების საფუძველზე შეირჩევა. **"ამჟამად ტესტების მომზადება მიმდინარეობს. გამოცდების ჩატარებაში იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრიც ჩაერთვება,"** - განმარტა ეგიაშვილმა. რაც შეეხება ინფორმაციის მართვის ახლადშექმნილ ცენტრს, **"ის უძრავ-მოძრავი ქონების რეგისტრაციას მოახდენს. თუმცა, აღნიშნული ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირება დაახლოებით ორ წელიწადში გახდება შესაძლებელი,"** - განაცხადა ცენტრის უფროსმა დავით ლაბაძემ.

როგორც სემინარზე აღინიშნა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო რეგისტრაციის პროცესს ამარტივებს. "უძრავი ქონების უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონპროექტის მიხედვით, იპოთეკის შემთხვევაში რეგისტრაციის ვადა, დღეს მოქმედი 10 დღის ნაცვლად, 3 დღემდე შემცირდება; ყიდვა-გაყიდვის შემთხვევაში - 5 დღემდე, ხოლო პირველადი რეგისტრაციის შემთხვევაში 10 დღით განისაზღვრება. რეგისტრატორის მიერ ვადის დარღვევის შემთხვევაში კი მოქალაქეს მოსაკრებელი უკან დაუბრუნდება.

გარდა ამისა, ყადაღის ცნობის გაცემაც სწორედ ამ სააგენტოს პრეროგატივა გახდება. ბეგიაშვილის განცხადებით, ყადაღის რეესტრის მაქსიმალური კორექტულობის მიზნით, სააგენტოში მისი ფორმულირების შექმნაზე მუშაობენ. **"იმ შემთხვევაში, თუ ოთხი ნოემბრისთვის თვითმართველობის ორგანოები რაიონულ ტექბიუროებს არ გაუქმებენ, ჩვენ ხუთი ნოემბრიდან სამართლებრივ ვაკუუმში აღმოვჩნდებით,"** - შიშობს ეგიაშვილი. თუმცა, როგორც გაირკვა, ტექბიუროების გაუქმების საბოლოო ვადამდე სულ რაღაც სამი დღით ადრე, ლიკვიდაციის პროცესი კვლავ ჭიანურდება. გამონაკლისი მხოლოდ რამდენიმე რაიონული მმართველობის ორგანოა, რომელიც ტექბიუროების ლიკვიდაციას ახორციელებს. ცნობისათვის: ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თვითმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

მოკლედ

მიკროსაფინანსო ინსტიტუტები ბანკებით ინტერესდებიან

მიკროსაფინანსო ინსტიტუტები ქართულ ბანკებთან თანამშრომლობას იწყებენ. პირველი ქართული ბანკი, რომელითაც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარე საქართველოს მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და განვითარების პროექტი დაინტერესდა, "სახალხო ბანკი" აღმოჩნდა. პროექტის დირექტორი ჯეფ ფერი შაბათს ყვარელში "სახალხო ბანკის" ახალი ფილიალის გახსნას დაესწრო, პირადი ანგარიშიც გახსნა და მისი ორგანიზაციის პოზიციაც დააფიქსირა – **"საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორები არა კონკურენტები, არამედ პარტნიორები უნდა იყვნენ".**

რაც შეეხება ახლადგახსნილ ფილიალს, იგი კახეთის რეგიონში "სახალხო ბანკის" მერვე ფილიალია და მოსახლეობის პენსიებისა თუ შემწეობების გაცემის გარდა, სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაფინანსების მისიაც დაეკისრება. "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის განცხადებით, **"კრედიტების გაცემა, საწარმოებისა და ორგანიზაციების გარდა, ინდივიდუალურ პირებზე, ანუ სოფლის მოსახლეობაზეც მოხდება, რომელთაც საკუთარი მეურნეობის მოვლისა თუ მოსავლის რეალიზაციისათვის ხელშეწყობა ესაჭიროებათ."** მისივე თქმით, აღნიშნული მიზნებისთვის ბანკს შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა, სადაც სადაზღვევო კომპანიებიც არიან ჩართულნი, რათა კრედიტის გამცემიც და მომხმარებელიც სრულად დაცულნი იყვნენ.

ნინო ნარჩემაშვილი

დევნილები 156 ტონა სასუქს უფასოდ მიიღებენ

წყალტუბოში განსახლებულ დევნილებს ამ დღეებში უფასოდ 156 ტონა კომბინირებული სასუქი ადგილზე დაურიგდებათ. სასუქის ტრანსპორტირებას, მომსახურებას და განაწილების გამჭირვალობას, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ATA - სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების ასოციაცია. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წელია, FAO (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) საქართველოს მთავრობასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან წარმატებულად თანამშრომლობს. აღმოსავლეთ საქართველოში გვალვისგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად განხორციელებულ პროგრამას კოორდინაციას სწორედ FAO უწევდა. პროგრამაში სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. გვალვით დაზარალებული რაიონებისთვის გათვალისწინებული დაფინანსებიდან მორჩენილი თანხით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ FAO-ს შესთავაზა, სასუქის შემოტანა მომხდარიყო. საერთაშორისო ორგანიზაციამ ქართული მხარის წინადადება გაიზიარა და საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში ჩინურმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელმაც საქართველოში 156 ტონა კომბინირებული სასუქი უკვე გამოაგზავნა. წყალტუბოში დახმარების შეტანა უახლოეს დღეებში დაიწყება.

24 საათი

მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შედეგები

შედეგები, რის გამოც დონორები საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის პროგრამის განხორციელებას წარმატებულად აფასებენ, ასეთია: ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში, წვერას მთაზე 300 ათასი კუბური მეტრის მოცულობის წყლის რეზერვუარის, აწყვიტაში კი - 32 კმ სიგრძის საირიგაციო არხის მშენებლობა უკვე დამთავრდა. ამბროლაურის რაიონის სოფელ შხივანში სასმელი წყლის მიწოდების სისტემის მშენებლობა დასრულდა. დუშეთის რაიონის ბარისახოს საკრებულოში, სოფელ როშკის ტერიტორიაზე კი მცირე, დაახლოებით 0,5 მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაც ამ წლის ბოლომდე დამთავრდება. ამ ჰესის მშენებლობაზე 200 ათას დოლარამდე დაიხარჯა, რაც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რა სარგებლობასაც ჰესი მოსახლეობას მოუტანს. კარგი შედეგი მოჰყვა კარტოფილის ზოგიერთი სადემონსტრაციო ჯიშის შემოტანას, რამაც ჰექტარზე 60-70 ტონა მოსავალი მოიყვანა. ამისთვის საქართველოში 6 ჯიში შემოიტანეს და გამოსცადეს. ამასთან, გათვალისწინებულია მთის თაფლის წარმოება და სერტიფიცირება; პროგრამის ფარგლებში საქართველოში, პირველად ახალციხის რაიონში, შეიქმნა 30 ათას ძირი ხილის სანერგე; ზემო აჭარაში, შუახევის რაიონში ეროზიის საწინააღმდეგო პროგრამა სამთო მევენახეობის შესაძლებლობებს გამოიყენებს, კერძოდ კი, უნიკალური ჯიშის - ჩხავერის 10 ათას ნერგს გააშენებს. შუახევის გარდა სამ რაიონში (ასპინძა, ამბროლაური, დუშეთი) შეყვანილია 26 კავკასიური ბუღამწარმოებელი, საიდანაც 1200-1500 ახალი ჯიშის ხბოს გამოიყვანენ; სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება ვეტერინარიასა და სათიბ-საძოვრების გასაუმჯობესებლად.

პირველად საქართველოში, უკვე არსებობს 250 ტონა კარტოფილის სერტიფიცირებული თესლი, რაც დარგის აღორძინებაზე მიანიშნებს. **"ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან სერტიფიცირებული თესლე მასალით, რომელიც ასპინძის რაიონშია დასაწყობებული. ყველას შეუძლია ადგილზე ნახოს, რას ნიშნავს კონდიციური, სერტიფიცირებული სათესლე მასალა",** - ამბობს პროექტის ხელმძღვანელი ნოე ხოზრევანიძე.

საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის პროგრამა მთის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას ითვალისწინებს. მთას კი ასეთი დახმარება სისტემატურად სჭირდება, რადგან ბოლო წლებში მთიანი და მაღალმთიანი რაიონების სოფლები მოსახლეობისგან თითქმის დაიცალა. პროგრამის განხორციელების მყარი მოტივაცია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დონორებს წარუდგინა, რითაც მთიან რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნა დაისახა მიზნად.

"ჩვენ ამ პრობლემებზე ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ პილოტ რაიონებში, სადაც საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ხორციელდება, მოსახლეობის მიგრაციამ თითქმის 90-95 პროცენტი შეადგინა. გლეხებს ჰქონდათ მიწის ნაკვეთი, მაგარამ არ ჰქონდათ ტექნიკა, ცოდნა, ინფორმაცია, სათესლე მასალა. მიმაჩნია, რომ პროგრამის დაწყების შემდეგ, მიგრაციის მაჩვენებელი ამ რაიონებში მცირდება", - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე.

24 საათი

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის** თანამდებობის დასაკავებლად. **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

- იმუშავებს კონტრაქტორის *ხარისხის კონტროლის ინსპექტორის* საქმიანობის თანამიმდევრულად და მეთვალყურეობას გაუწევს მილსადენის თხრილის გაყვანის, მილის ჩადების, გრუნტით დაფარვის, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის ჩადების და შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების სამუშაოებს.
- უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორმა თავის საქმიანობაში დაიცვას მისივე შედგენილი მშენებლობის მეთოდოლოგია და "სამუშაოების წარმოების ნებართვით" დადგენილი პროცედურები;
- სათანადო გულმოდგინებით მოეპყრობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხებს და მყარად დაიცავს კომპანიის HSE წესებს თავის სამუშაო ადგილზე.
- გააკონტროლებს, რომ მშენებლი კონტრაქტორის მხრიდან სამუშაო შესრულდეს მილსადენის კომპანიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით;
- მოეთხოვება მიმართულების მენეჯმენტის წინაშე ყოველდღიური ზუსტი ანგარიშების წარდგენა ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მოთხოვნები:

- ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოებზე, განსაკუთრებით დიდ სირღმეებზე გათხრის სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება, ან საგზაო მშენებლობის და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება, ან დროებითი დამხმარე ნაგებობების და მოშორებულ ადგილებამდე კომუნიკაციების მიყვანის სამუშაო გამოცდილება;
- ინგლისური და ქართული ენების თავისუფლად ფლობა;
- MS Office-ის მყარი ცოდნა;
- საჭიროებისამებრ სხვა სფეროს ზედამხედველების ჩანაცვლების შესაძლებლობა;
- მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადების, გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების და შემდგომში მიწის საფარის აღდგენის ოპერაციებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გასაწევად საჭირო კვალიფიკაცია;
- მრავალ-დისციპლინური და მრავალეროვანი სამშენებლო ბრიგადის შემადგენლობაში მუშაობის უნარი;
- კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხების და სამუშაო ადგილზე კომპანიის HSE წესების მყარად დაცვის უნარი;
- კომუნიკაციის დადებითი უნარი.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 12 ნოემბერი, პარასკევი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP-საქართველო
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N 38

სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტის** თანამდებობაზე. **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი გააკონტროლებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის საქართველოს მონაკვეთზე არსებული საქაჩი სადგურებისა და მილსადენის კონტრაქტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს რა სერტიფიკაციის ზუსტ აღრიცხვას

მოვალეობები:

სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი მოვალეა:

- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ბი-პის საქმიანობის საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგში
- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ტექნიკურ ინტეგრაციაში
- ითანამშრომლოს კონტრაქტორთან პროექტის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- განიხილოს სერტიფიკაციის მექანიკური დასრულების მონაცემები და გადასცეს საექსპლუატაციო გუნდს განსახილველად
- მოამზადოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას წარუდგინოს ყოველკვირეული და ყოველთვიური მოხსენებები
- გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და პროცედურებს, რათა განსაზღვროს ინსპექტირებისა და ტესტირების პირობები
- სერტიფიკაციის ინჟინრის არყოფნის პერიოდში იყოს პასუხისმგებელი პროექტის მიზნების სრულყოფასა და მათ შესრულებაზე
- შეასრულოს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები

განათლება და სამუშაო გამოცდილება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ელექტროტექნიკურ, საზომი ხელსაწყოების და ტელეკომუნიკაციების დარგში)
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში
- რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
- ტექნიკური კომპიუტერული სისტემის ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Access, Microsoft Excel, Word & PowerPoint)
- გუნდური მუშაობის უნარი და კარგი
- მრავალეროვან გარემოში მუშაობა
- სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება
- ზედამხედველობის გარეშე მუშაობის უნარი

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები

პირველი გვერდიდან

პროცესისგან გამოთიშვა, ასევე, იანუკოვიჩზე თავდასხმა დასავლეთ უკრაინაში მოგზაურობის დროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ავადმყოფობამ ვიქტორ იუშენკოს იმიჯს აშკარად დაღი დაასვა (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), ხოლო იანუკოვიჩის "თავის გატეხვა" და თეატრალური დაცემა ივანო-ფრანკოვსკის ქუჩაში, როგორც გადაღებული ვიდეოკადრებით ნათლად ჩანს, უბრალო კვერცხის მოხვედრით იყო გამოწვეული – აშკარაა, უკრაინის მოქმედი პრემიერ-მინისტრი და კუჩმას მემკვიდრედ დასახელებული იანუკოვიჩი უფრო მოგებული უნდა დარჩენილიყო წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ინციდენტებით.

ამას გარდა, ძირითადი ფაქტორი, რამაც წინასაარჩევნო პროცესის რადიკალიზაცია და კვირას გაკეთებული არჩევანის უდიდესი მნიშვნელობის ხაზგასმა მოახდინა, არჩევნებში რუსეთის ღია და, შეიძლება ითქვას, ზღვარგადასული ჩარევა იყო. ვიქტორ იანუკოვიჩის სასარგებლოდ მუშაობდნენ რუსი "პიარტექნოლოგები", გლებ პავლოვსკის მეთაურობით, რუსული მედია და, რაც მთავარია, თავად პრეზიდენტი პუტინი. ვლადიმირ პუტინს, მართალია, არასოდეს უთქვამს, რომ იანუკოვიჩს უჭერს მხარს, მაგრამ მისი ყველა ქმედება თუ განცხადება სწორედ იანუკოვიჩის მხარდაჭერის გამომხატველი იყო. უფრო მეტიც, უშუალოდ არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე იგი აკეთებს განცხადებას რუსეთისა და უკრაინის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ. უფრო ადრე, რამდენიმე საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთი უკრაინულ ეკონომიკაში 200 მლნ დოლარის "ინვესტიციებს" ახორციელებს.

კიევში კი ბოლო დღემდე დაძაბულობა იგრძნობოდა – ხელისუფლება მოსალოდნელ პროვოკაციებზე აპელირებდა. არჩევნების ფალსიფიკაციის შემთხვევაში, შესაძლოა, ქართული სცენარის გამეორება, ანუ უკრაინაში ე.წ. ნაბლების რევოლუციაა დაგეგმილი, – აცხადებენ უკრაინის მაღალი თანამდებობის პირები. შინაგან საქმეთა მინისტრის მიკოლა ბილოკონის თქმით, უკრაინა მზადაა "დაგეგმილი" არეულობებისთვის და წესრიგის დასაცავად ძალისმიერი მეთოდებიც იქნება გამოყენებული.

20 კანდიდატიდან მხოლოდ ორს ირჩევენ

არჩევნებში 24 საპრეზიდენტო კანდიდატი იყო დაფიქსირებული. მოგვიანებით ოთხი მათგანი მოხსნეს. თუმცა, თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ძირითადი ბრძოლა ორ კონკურენტს შორის წარიმართებოდა.

ვიქტორ იუშენკო: *დაიბადა 1954 წლის 23 თებერვალს, სუმის ოლქის სოფელ ხორუჟევკაში. 1975 წელს დაამთავრა ტერნოპოლის ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტი და ივანო-ფრანკოვსკის ერთ-ერთ სოფელში ბუღალტრად დაიწყო მუშაობა. ამ პერიოდშივე ერთი წელი მსახურობდა საბჭოთა არმიაში, ამიერკავკასიის სასაზღვრო ძალებში. 1976 წლიდან იგი სამსახურს აგრძელებს საბანკო სისტემაში და ამ სფეროში კარიერის პიკს 1993 წელს აღწევს - ინიშნება უკრაინის ეროვნული ბანკის თავმჯდომარედ. იუშენკოს "მთავარი ბანკიროба" 1999*

წლამდე გრძელდება. აქედან კი დგება მისი პოლიტიკური მოღვაწეობის პიკი – 1999 წლის დეკემბრიდან 2001 წლის აპრილამდე უკრაინის მთავრობის თავმჯდომარეა. პოსტიდან გადადგომის შემდეგ, 2002 წელს ქმნის საარჩევნო ბლოკს "ნაშა უკრაინა", რომელიც საპარლამენტო არჩევნებში ხმების 24,7 პროცენტს იღებს. ამას გარდა, ვიქტორ იუშენკო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატია, ასევე ფლობს უკრაინის დამსახურებული ეკონომისტის ტიტულს. ჰყავს მეუღლე, ხუთი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ვიქტორი იანუკოვიჩი: *დაიბადა 1950 წლის 9 ივლისს დონეცკის ოლქის ქ. ენაკიევოში. 1973 წელს დაამთავრა ენაკიევოს სამთო ტექნიკუმი, ხოლო 1980 წ. დონეცკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პირველად, იანუკოვიჩი ხელმძღვანელ თანამდებობაზე 26 წლის ასაკში დაინიშნა – იგი სათავეში ჩაუდგა საწარმოო გაერთიანება "ორჯონიკიძეუგოლ"-ის*

ავტოსაწარმოს. მას შემდეგ აგერ უკვე 28 წელია, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს. მათ შორის 2002 წლიდან იგი უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელია. მანამდე კი იგი 1997 წლიდან დონეცკის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. 2003 წლიდან აყალიბებს რეგიონთა პარტიას და სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს კუჩმას მემკვიდრეობაზე. თუმცა, მის ბიოგრაფიაში არცთუ სასიამოვნო მომენტებიცაა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს კარგად იქნა გამოყენებული ოპოზიციის მიერ. 1967 და 1970 წლებში იგი ორჯერ გაასამართლეს, როგორც მის საარჩევნო შტაბში ამბობენ - უკანონოდ. თუმცა, სხვა წყაროებით იანუკოვიჩს ყაჩაღურ თავდასხმებში ედებოდა ბრალი. მოგვიანებით, 1978 წელს დონეცკის საოლქო სასამართლომ ორივე ნასამართლეობა მოუხსნა. მიუხედავად ამისა, იანუკოვიჩის მოწინააღმდეგეებს ხელსაყრელი საშუალება ჰქონდათ, იგი ბოროტმოქმედ-რეციდივისტად გამოეცხადებინათ. სხვათა შორის, წინასაარჩევნო კამპანიისა და თავად არჩევნების პროცესშიც ბევრს ლაპარაკობდნენ კრიმინალური წრეების მიერ მოქმედი პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერაზე. ეს არაოფიციალურად, ოფიციალურად კი ვიქტორ იანუკოვიჩი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

არჩევნების ბასტიონი

არჩევნების დღეს უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია გამაგრებულ ციხესიმაგრეს დაემსგავსა. როგორც სააგენტო "ინტერფაქს-უკრაინა" იტყობინება, უკრაინის ცესკო-ს შენობასთან მიმდებარე მოედანზე სრულ მზადყოფნაშია "ჭავლმტყორცნები" და ჯავშანტრანსპორტიორები. შენობის ეზოში მორიგეობენ "სასწრაფო დახმარებისა" და სახანძრო მანქანები. არჩევნების წინა ღამეს უკრაინელმა სამართალდამცავებმა ცესკო-ს შენობას 1,5 მეტრი სიმაღლის მეორე ღობე შემოავლეს, რომელიც მთლიანად ლითონის ფირფიტებისგანაა გამზადებული. ამას გარდა, უკვე არსებული ღობე, რომელიც სხვათა შორის 23 ოქტომბერს (იუშენკოს მომხრეების ცესკო-ში შეჭრის შემდეგ) ააგეს, ამ ღობისგან შვიდ მეტრში მდებარეობს. კითხვაზე, თუ რა საჭირო იყო ახალი ღობე, სამართალდამცავები პასუხობდნენ: "ყოველი შემთხვევისთვის".

არჩევნების დღეს, "ციტადელად" გადაქცეული ცესკო-ს შენობა გაძლიერებული დაცვის ქვეშ აიყვანეს. როგორც უკრაინული დამოუკიდებელი გამოცემა "ვერსიი" იუწყება, შენობაში რამდენიმე ასეული სამხედრო ფორმიანი ადამიანი იმყოფება. თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა უარყოფს, რომ მათ მოითხოვეს გაძლიერებული დაცვა. ცესკო-ს თავმჯდომარემ სერგეი კივალოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დაცვის გაძლიერების თხოვნით მას სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მათთვის ცნობილი არ არის, საიდან გაჩნდა ცესკო-ს შენობასთან ჯავშანტექნიკა. აღსანიშნავია, რომ როდესაც ლეონიდ კუჩმას ანალოგიური კითხვა დაუსვეს, მას თავისი სამინისტროს მსგავსად არ უარუყვია ეს ფაქტი და განაცხადა, რომ ჯავშანტექნიკის მობილიზება იუშენკოს "არცთუ დიდი ჭკუის" მომხრეებისგან თავდასაცავად გახდა აუცილებელი.

ყველამ ვერ შეძლო კონსტიტუციური უფლების გამოყენება

31 ოქტომბრის არჩევნების ყველაზე გავრცელებული დარღვევა ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიების არასრულყოფილება იყო. საარჩევნო სიებში დარღვევების შესახებ გუშინ უამრავი დამკვირვებელი საუბრობდა. არასამთავრობო ორგანიზაცია "უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტის" თავმჯდომარის იგორ პოპოვის განცხადებით, საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ დარღვევებს – უბანზე არსებული ბიულეტენებისა და რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობებს შორის განსხვავება, "კარუსელები" და ა.შ. - თან ერთვოდა ყველაზე გავრცელებული პრობლემა – ამომრჩევლები უბრალოდ არ იყვნენ სიებში შეყვანილი.

უკრაინის დედაქალაქში დღის მეორე ნახევრისათვის სასამართლოებთან იმ ხალხის შეგროვება დაიწყო, ვისაც არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრეს. სიებში არარსებული ამომრჩევლების რაოდენობა, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების ცნობებით, რადიკალურად განსხვავდება. ზოგი სააგენტო აცხადებს, რომ მათი რიცხვი ძალზე მცირეა და არჩევნების დემოკრატიულ ხასიათზე გავლენას არ მოახდენს, ხოლო სხვა საინფორმაციო არხების ინფორმაციით მთელ რიგ ოლქებში დაურეგისტრირებელი ამომრჩევლების რაოდენობა საერთო რაოდენობის 30 პროცენტსაც აღწევს.

ამომრჩევლებთან დაკავშირებით "გაუგებრობა" წარმოიშვა უკრაინის გარეთაც. მოსკოვში, უკრაინის საელჩოსთან, დაახლოებით 70 უკრაინელმა საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მიზეზი კი ის იყო, რომ მათი გვარები საარჩევნო სიაში არ აღმოჩნდა, რამაც მათი არჩევნებში მონაწილეობა შეუძლებელი გახადა. რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი უკრაინელებიდან მხოლოდ 4 591 ადამიანს მიეცა თავიანთი კონსტიტუციური უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

უკრაინის საელჩოში საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის ანატოლი ბეზგრებელნის თქმით, მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი მაინც დაფიქსირდა. "კანონის თანახმად, ყველა მოქალაქეს, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება და არ არის საკონსულოში აღრიცხული, არჩევნებამდე შვიდი დღით ადრე შეეძლო რეგისტრაციის გავლა. სავსებით გასაგებია ხალხის მხრიდან წყენის გამოხატვა, თუმცა ჩვენ უძლურნი ვართ ამ შემთხვევაში," - აღნიშნა საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა. სულ რუსეთში გახსნილი იყო ოთხი საარჩევნო უბანი – მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, როსტოვსა და ტიუმენში.

ეგზიტპოლების ომი

ხმის მიცემის დასრულებისთანავე გაჩნდა პირველი ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთდროულად რამდენიმე ორგანიზაცია ატარებდა "ეგზიტპოლებს". სწორედ ამიტომ, ეგზიტპოლების წინასწარი შედეგებიც კი მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისგან.

ამომრჩეველთა გამოკითხვა ორი გზით წარმოებდა – ნახევარი მონაცემებს ღიად აგროვებდა, ხოლო სხვები ანონიმურ გამოკითხვას ახორციელებდნენ: რესპონდენტები პასუხებს ურნებში ყრიდნენ. ანონიმური გამოკითხვის შედეგად უპირატესობა იუშენკოს ეკუთვნის – 45,2 პროცენტი, ხოლო იანუკოვიჩმა 36,8 პროცენტი დააგროვა.

სხვა გამოკითხვით, რომელსაც სოციალური კვლევის ინსტიტუტი ატარებდა, სრულიად საპირისპირო შედეგი ფიქსირდება: იანუკოვიჩი - 43 პროცენტი, ხოლო იუშენკო – 39,9 პროცენტი.

მეტ-ნაკლები განსხვავებებით, თითქმის ანალოგიურია დანარჩენი ეგზიტპოლების შედეგებიც. აშკარაა, ასეთ შემთხვევაში არჩევნების მეორე ტური გარდაუვალი ხდება.

თუმცა, იუშენკოს საარჩევნო შტაბში მათი ლიდერის გამარჯვებას ზეიმობდნენ. მათი სიხარულის მიზეზი რამდენიმე ორგანიზაციის მიერ ერთობლივად წარმოებული ეგზიტპოლის შედეგებმა გამოიწვია. გამოკითხვამ, რომელიც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სოციალური ინფორმაციის ინსტიტუტი, ღია პოლიტიკის ინსტიტუტი, სოციალური ტექნოლოგიის ბიურო და სამართლებრივი საზოგადოების ინსტიტუტის ერთობლივი მონაწილეობთ ჩატარდა, უჩვენა, რომ ვიქტორ იუშენკომ 51,1 პროცენტი დააგროვა, მაშინ როცა იანუკოვიჩის სასარგებლოდ 32,8 პროცენტმა მისცა ხმა. ასეთი შედეგის დაფიქსირება ყველაზე მეტად აძლევს ხელს ოპოზიციას და მათ რიტორიკას ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების თაობაზე ნიადაგს უმზადებს.

რა მოხდება დღეს?

არჩევნების წინასწარი მონაცემები უკვე დღეს გახდება ცნობილი. ნათელია, ხელისუფლება ყველა გზას მიმართავს ოპოზიციის კანდიდატისათვის ხმების "წასართმევად". როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში იუშენკოს გუნდი? გუშინ ჟურნალისტის კითხვაზე: ხომ არ მოხდება უკრაინაში საქართველოს მსგავსი "ხავერდოვანი რევოლუცია"? იუშენკომ თავდაჯერებულად უპასუხა, რომ მას რევოლუციის გარეშეც შეუძლია პირველივე ტურში გამარჯვება. თუმცა, ეგზიტპოლების გამოქვეყნებული შედეგებიც ცხადყოფს, რომ ამის შანსი, რბილად რომ ვთქვათ, მცირეა.

მოვლენების მათთვის არახელსაყრელად (ანუ რეალურად – ხელისუფლების მხრიდან აუცილებლად იქნება არჩევნების შედეგებით მანიპულირების მცდელობა) განვითარების შემთხვევაში, უკრაინის ოპოზიცია ქუჩის აქციებს დაიწყებს. ამის შესახებ წინასწარ იყო ცნობილი. ჯერ კიდევ გუშინ შუადღისას ორგანიზაცია "ПОРА"-ს მომხრეები კიეველებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ. კვირას საღამოსვე უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში ნარინჯისფერი ("ნაშა უკრაინას" საარჩევნო ფერი) დემონსტრანტები უკვე გამოჩდნენ.

ცვალებადი რეალიები და უცვლელი უკრაინული პოლიტიკა

ხათუნა გაბიევი

უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ათწლიანი მმართველობის შემდეგ, მიმდინარე არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, თუ რომელ კურსს აირჩევს უკრაინელი ხალხი - ტრადიციულად კრემლთან კავშირს ამჯობინებს თუ უპირატესობას დასავლეთს მიანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში პრეზიდენტობისთვის კენჭს 20 კანდიდატი იყრიდა, ორი გამოკვეთილი ფავორიტი თავიდანვე იყო ცნობილი - პრორუსული ვიქტორ იანუკოვიჩი და პროდასავლური ვიქტორ იუშენკო. თუმცა, ეგზიტპოლების მონაცემების თანახმად, იმის გამო, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ხმათა 50 პროცენტი მოეპოვებინა, მეორე ტურის ჩატარება გარდაუვალია, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართება.

ლეონიდ კუჩმა კი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიცვლება მის მიერ არჩეული კურსი. "ხელუხლებელი დარჩება სტრატეგია. შესაძლოა, შეიცვალოს მხოლოდ ტაქტიკა. ჩვენი არჩევანი იყო ევროპა და იგი კვლავინდებურად რჩება უმთავრეს მიზნად," - განაცხადა ლეონიდ კუჩმამ. თუმცა, მის სიტყვებს ეჭვქვეშ აყენებს მისი მეგობრის, ჩრდილოელი მეზობლის ლიდერის ვლადიმირ პუტინის ორდღიანი ვიზიტი კიევში, არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე.

რუსეთის ტერიტორიაზე გახსნილ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული გაყალბების მსგავსად, მრავლად იყო დარღვევები უკრაინის ტერიტორიაზეც. ოპოზიცია მიუთითებს ზოგიერთი უბნის დაგვიანებით გახსნაზე და საარჩევნო კომისიის ზოგიერთი წევრისთვის მოვალეობის აღსრულებაში ხელის შეშლაზე. საარჩევნო დარღვევებზე განცხადება გააკეთა დამკვირვებელმა ევროპარლამენტიდან, ფრანგმა დეპუტატმა არი ვატანენმა. მისი თქმით, სიებში არასწორად იქნა შეტანილი გვარები, ასევე ადგილი ჰქონდა რამდენჯერმე ერთი და იმავე პირის მიერ ხმის მიცემის ფაქტსაც. "ეს მძიმე დარღვევაა," - განაცხადა ფრანგმა დეპუტატმა. მან ასევე სინანულით აღნიშნა, რომ ევროკავშირი სათანადო ყურადღებას არ უთმობს უკრაინას. მისი აზრით, ევროკავშირთან უკრაინის დაახლოება ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას რუსეთშიც, რომელსაც მჭიდრო ისტორიული და კულტურული კავშირები აქვს უკრაინასთან.

საინტერესოა ექსპერტთა შეფასებებიც. პოლიტოლოგ სერგეი მარკოვის განცხადებით, როგორც იუშენკოს, ისე იანუკოვიჩის ბანაკი აქტიურად ამზადებს მომხრეებს უკრაინაში სამოქალაქო ომის დაწყებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე ძალის გამოყენებას შეეცდება. მისი თქმით, რუსეთისა და უკრაინის ხელისუფლება ყველაფერზე წავა, რათა არ დაუშვას იუშენკოს გამარჯვება.

საერთაშორისო ურთიერთობების ფონური ინსტიტუტის "რუსეთი-ევროკავშირი"-ს პროგრამის ხელმძღვანელის, არკადი მოშესის შეფასებით, ლეონიდ კუჩმას ათწლიანი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში პოსტსაბჭოთა სივრცისთვის უნიკალური პოლიტიკური კომპრომისის კულტურა ჩამოყალიბდა. გადაწყვეტილებების მიღების პოლიცენტრისტულობამ უზრუნველყო სახელმწიფოს სტაბილურობა და პოლიტიკურ პროცესებში ელიტის ფართო ფენების ჩართვა. ახალი პრეზიდენტი კი შეეცდება არსებული პოლიტიკური მექანიზმის შეცვლასა და ცვალებად რეალიებთან მის ადაპტირებას. ამის დაჩქარებას ხელს შეუწყობს როგორც შიდა პოლიტიკური ძალების გადანაცვლება, ასევე საგარეო ფაქტორების თვალსაზრისით ე.წ. მრავალვექტორული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობების შემცირება. ევროკავშირის გაფართოების შემდეგ უკრაინას, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც მოუწევს ევროპასა და რუსეთს შორის არჩევანის გაკეთება: ერთ მათგანს იგი თანამშრომლობისთვის აირჩევს, ხოლო მეორეს – ინტეგრაციისთვის. ეს არჩევანი კი ბევრ რამეს შეცვლის. თუმცა, სავარაუდოდ, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი დარჩება არსებული საგარეოპოლიტიკური კონსტრუქცია, ამიტომ საჭიროა მისი ცოდნა და გათვალისწინება.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების ქართველი მსხვერპლი

იმიერკარპატეთის რეგიონში, მუხაჩევსკის საარჩევნო ოლქის 51-ე საარჩევნო უბანზე, სოფელ ლუჟკაში სხეულის დაზიანებები მიაყენეს უკრაინის არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით მყოფ საქართველოს პარლამენტის წევრს, გრიგოლ მატარაძეს. ამის შესახებ უკრაინული ელექტრონული გაზეთი "proUA" იტყობინება. სააგენტოს ვიქტორ იუშენკოს საარჩევნო შტაბიდან აცნობეს, რომ ინციდენტი უკრაინის დროით 13.00 საათზე მოხდა. საარჩევნო უბანზე ორი "ჯიპით" პირთა ჯგუფი მივიდა, რომელთა შორისაც მუხაჩევსკის რაიონის საბჭოს დეპუტატი ვლადიმირ პაულიო, მეტსახელად "ჩალი" იმყოფებოდა. თვითმხილველთა თქმით, სწორედ უკანასკნელთან სიტყვიერი შეკამათების შემდეგ მატარაძე გალახეს და საარჩევნო უბნიდან გააძევეს.

მილიონი, მილიონი, მილიონი

“საქაერონავიგაციაში” შევარდნაძის ეპოქის დროინდელ დარღვევებზე საუბარს უკვე ვეღარ აუდიან. საწარმოს ახალი ხელმძღვანელის გიორგი კარბელაშვილის წერილებს პროკურატურასა და სპეც-სამსახურებში, ლამის, ყოველ დღე იღებენ. ამჯერად საუბარია სამ სხვადასხვა თანხაზე - მილიონებზე.

ოთარ ქირია

ჩვეულებრივი მუშაობის პარალელურად, მიმდინარე კვლევის შედეგად “საქაერონავიგაციის” ხელმძღვანელობამ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტებთან და პროკურატურასთან ერთად აღმოაჩინა კონტრაქტი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება. კარბელაშვილის ინფორმაციით, ხელშეკრულებაში, რომელიც 789 ათასი აშშ დოლარზეა გაფორმებული, გაურკვეველია რამდენიმე პუნქტი. ხელშეკრულება კაბალურია, გაბერილია თანხები, გაუმართავია ტექნიკური მონაცემები, დარღვეულია პროცესუალური ნორმები. საწარმოში არ არსებობდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი პუნქტი შესრულებული არ არის.

გადავამოწმეთ - გერმანულ კომპანია “ეარსის ეითიემ”-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში კონფიდენციალურობაზეა ლაპარაკი, რაც გაუგებარია. შესაძლოა, გერმანულ კომპანიას მისი კომერციული ინტერესების შესახებ საუბარი არ სურს, მაგრამ სახელმწიფო საწარმოს მიერ 789 ათას დოლარად შესაძენი მომსახურება ნამდვილად არ უნდა იყოს კონფიდენციალური, ყოველ შემთხვევაში - სახელმწიფოსთვის მაინც. თუმცა, ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ გახდა ხელშეკრულება კონფიდენციალური.

“ასეთი სამუშაოს ჩატარება საწარმოში არც იყო საჭირო. ხელშეკრულებაში ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ტექნოლოგიები და სისტემები უნდა გადმოეტანათ ძველი შეობიდან ახალ შენობაში. ჯერ ერთი, ეს ამხელა თანხა არც ღირს, და მეორეც - ახალი შენობისთვის საქაერონავიგაციას ნაყიდი აქვს ტექნიკა და რა საჭიროა ძველის გადმოტანა ახალ შენობაში, ან ვის რაში სჭირდება მოძველებული აპარატურა”, – აცხადებს კარბელაშვილი და ამის დადასტურება არც ისე იოლია. ახალი ტექნიკა ჩამოტანილია, მაგრამ გერმანულ კომპანიას, რომელმაც თანხა 2001 წელს მიიღო, დღემდე ერთი თეთრის სამუშაოც კი არ განუხორციელებია. საერთოდ, კარბელაშვილის ინფორმაციით, აღნიშნული კონტრაქტი გაფორმებულია საეჭვო წარმოშობისა და წარსულის მქონე კომპანიასთან. როგორ? –

როგორც ირკვევა, ადამიანი, რომელიც კომპანია “ეარსის ეითიემ”-ს წარმოადგენდა (ვენმე დრეშერი), მანამდე “საქაერონავიგაციასთან” ერთად ხელს აწერდა 1,7-მილიონიან კონტრაქტზე მეორე კომპანიასთან სახელწოდებით “ტალესი”, ოღონდ აქ საუბარია არა დოლარზე, არამედ ევროზე. კარბელაშვილი ამბობს, რომ მან ამ ხელშეკრულების დეტალებიც გადააგზავნა პროკურატურაში.

შემთხვევით აღმოჩნდა მეორე, სულ სხვა კონტრაქტი. საქმე ეხება 350 ათას ევროს, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად იქნა გამოყოფილი. კარბელაშვილის ინფორმაციით, ტექნიკის დიდი ნაწილი მოძველებული და გამოუსადეგარია; ამასთან, გადახდილი თანხა ხუთჯერ აღემატება რეალურ ღირებულებას. შეძენილი ტექნიკის ვარგისიანობის ექსპერტიზა ჟურნალისტების თანდასწრებით მოხდა. ყუთებში ჩვეულებრივი, საოჯახო ელექტრო-მრიცხველები ვიპოვეთ. ძნელი დასაჯერებელია მრიცხველები - საერთო ღირებულებით, დაახლოებით, 50 ათასი ლარი - რამეში გამოადგეს ნავიგაციას. თუმცა გაიხსენეთ, სასამართლო პროცესი, რომელიც “საქაერონავიგაციამ” ფასების ინსპექციასთან შარშან წააგო. საწარმოს მაშინდელ ხელმძღვანელს ალექსანდრე სილაგაძეს, ასევე, ზურაბ ჭანკოტაძეს ელ-ენერგიის სპეკულაციაში ადანაშაულებდნენ. არ არის გამორიცხული, აეროპორტის შემდეგ მოსახლეობისთვისაც მიეყიდათ დენი... ასეთ შემთხვევაში, მართლაც, საჭიროა მრიცხველები. ამ ყველაფერს, იმედია, პროკურატურა დაადგამს თავს.

საინტერესეა, ამდენი ნგრევის, ძარცვისა და მაქინაციების შემდეგ თუ დარჩა რამე ნავიგაციაში. **“გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ჩართულია საერთაშორისო ანტიტერორისტულ ბრძოლაში, ჩვენი გადაწყვეტილებით, საქართველოში დამონტაჟდა სუპერთანამედროვე ობიექტების დაცვითი სათვალთვალო და საკონტროლო ამერიკული ტექნოლოგიები. აღნიშნული სისტემა პირველია დსთ-ს მასშტაბით და, მისი მეშვეობით, “საქაერონავიგაციას” დღეიდან საშუალება ექნება, აკონტროლოს თავისი ობიექტები ასობით კილომეტრის მანძილზე. აღნიშნულ სამუშაოებს ამჟამადაც აწარმოებენ კვალიფიციური უცხოელი (ებრაელი) სპეციალისტები. უკვე მიმდინარეობს მუშაობა, რათა თბილისის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე საუკეთესო ხარისხის შუქნათურები დამონტაჟდეს. გუშინწინ გავაცილეთ ინგლისელი პარტნიორი პოლ ჰინშკლიფი. ორ თვეში დასრულდება ახალი სასწავლო ცენტრის მშენებლობა. ქართულ ნავიგაციას ექნება საკუთარი სასწავლო ცენტრი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით არის შექმნილი და მას თავად შეეძლება პროფესიონალი სპეციალისტების გამოზრდა. თავის დროზე მსგავსი ინიციატივა ტენიკურ უნივერსიტეტში არსებობდა, თუმცა სილაგაძემ ისიც ჩაკლა. საქართველოს მილიონები უჯდებოდა სპეციალისტების მოზიდვა. იანვრიდან ჩვენ ინგლისელებთან ერთად თავად ვასწავლით სხვებს საერთაშორისო დონეზე. ეს იქნება კავკასიაში პირველი ამ ტიპის სასწავლო ცენტრი”,** – ამბობს კარბელაშვილი.

P.S. ცნობისათვის: კულუარული ინფორმაციით, ალექსანდრე სილაგაძით ძალოვნები დაინტერესდნენ. ის, სხვათა შორის, "24 საათს" უჩივის.

ყველა ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ...

გუშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა საქველმოქმედო აქცია ცენტრალურ რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში თავშეფარებული დევნილი ბავშვების დასახმარებლად. აქციის ორგანიზატორები იყვნენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი და ასოციაცია "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ". აქციას სპონსორობა გაუწია რამდენიმე კერძო ორგანიზაციამ.

ლელა მარგიანი

"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ცხოვრობდნენ აფხაზეთიდან დევნილი ოჯახები, ვისაც, დიდი ხანია, არავითარი ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღია. შევისწავლეთ ამ ადამიანების მდგომარეობა და დადასტურდა, რომ მათ 1997 წლიდან არავინ დახმარებია. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ჩაგვერთო ისინი იმ ჰუმანიტარულ აქციებში, რომელთაც ვატარებთ ხოლმე. გვესმის, რომ დღევანდელი დახმარება ძალიან მცირეა, მაგრამ ვფიქრობთ, ეს მცირეც მნიშვნელოვანია მათთვის, რადგან, მათი სახით, საზოგადოებაში გვყავს ადამიანები, ვისაც განსაკუთრებული თანადგომა სჭირდება", – აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ასოციაციის, "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ", წარმომადგენელმა ქალბატონმა გიული ალასანიამ.

აქციის მასპინძლის, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ რამაზ ხეცურიანის ინფორმაციით, სამედიცინო უნივერსიტეტი უხმაუროდ, ჩუმად ყოველთვის ეხმარებოდა იმ დევნილებს, ვინც სამწუხაროდ, ამდენი წელია, მათ დაწესებულებაში ცხოვრობს. **“ყოველთვიურად, დაახლოებით, 12-14 ათასი ლარი ირიცხება დევნილების სახელზე. კარგად იცით, რომ თქვენს სამინისტროს არა აქვს საშუალება, მთლიანად აანაზღაუროს ის ხარჯები, რაც თქვენ გეკუთვნით. ამიტომ, ყველა ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, რითაც შეგვიძლია. ცოტა ხანში ჩვენ კიდევ სხვა სახის დახმარებას ვგეგმავთ - კერძოდ, ჩვენი კლინიკის ყველა სპეციალისტის დახმარებით, ჩავატარებთ ორდღიან აქციას - უფასოდ გამოვიკვლევთ დევნილ ბავშვებს”,** - აუწყა რექტორმა შეკრებილებს.

შემდგომ მან სთხოვა სტუდკავშირის წარმომადგენლებს, რომ უფასოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, დაურიგონ კლინიკაში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს სამედიცინო უნივერსიტეტში გასამართი თეატრალური ღონისძიებების ბილეთები.

ლევან ხარხელიძის ფოტო

ვიდრე აქციაზე მისული სტუმრები სამედიცინო უნივერსიტეტის საინფორმაციო ცენტრს, მოდერნიზებულ ბიბლიოთეკასა და უნიკალურ კლინიკურ ლაბორატორიას ათვალიერებდნენ, სტუდენტური კავშირის წევრებმა საავადმყოფოში მცხოვრებ ას ორმოცდაათ სხვადასხვა ასაკის ბავშვს ჰუმანიტარული ტვირთით სავსე პოლიეთილენის პარკები დაურიგეს. პარკებში სხვა პროდუქტებთან ერთად ეწყო ფირმა EKO-FOOD+-ის მიერ წარმოებული, ბავშვებისთვის სასარგებლო, ეკოლოგიურად სუფთა “სოფლის კარაქი” და არაჟანი.

როგორც ფირმის დისტრიბუციის მენეჯერმა მიშიკო მჭედლიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოება სულ ცოტა ხანია, რაც გავიდა ქართულ ბაზარზე, ისინი უკვე მეორედ იღებენ მონაწილეობას მსგავს საქველმოქმედო აქციაში. პირველად ისინი “ჩვილ ბავშვთა სახლს” დაეხმარნენ. **“მომავალში მეტსაც ვაპირებთ”,** - გვითხრა ფირმის ახალგაზრდა მენეჯერმა.

რეგიონი

ПРАВЛЕНИЕ КОЛХОЗА ИМЕНИ ЧАПАЕВА

Sადაც საქართველო სამშობლოა, რუსეთი - დედასამშობლო

ლელა მარგიანი

1841 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა 20 ათასი დუხობორი საქართველოში გადმოასახლა. ასე აღმოჩნდნენ მათი წინაპრები ჯავახეთში. დუხობორებს ქართველებისგან დაცარიელებულ ჯავახეთში 1829 წელს თურქეთიდან ლტოლვილი და მეფის რუსეთის მიერ ჯავახეთში ჩასახლებული სომხები დახვდნენ. მათ აქ, რუსული სახელწოდების რამდენიმე სოფელი დააარსეს: გორელოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ეფრემოვკა, ტამბოვკა. ამჟამად ყველა აღნიშნული სოფელი შედის ნინოწმინდის რაიონის შემადგენლობაში.

წარმომავლობამ და საერთო ისტორიულმა წარსულმა, ასევე, უცხო ქვეყანაში გადასახლებამ და სხვა ეთნოსის გვერდით ცხოვრებამ, გარკვეულწილად, უფრო მეტად შეაკავშირა დუხობორები. ისინი დაუწერელი, მაგრამ მკაცრად დაცული საკუთარი კანონებით ცხოვრობდნენ. “დუხობორად” მხოლოდ იბადებოდნენ, რადგან ისინი თავის თემში სხვა ეროვნების ადამიანებს არ იღებდნენ.

საბჭოთა პერიოდში დუხობორები შედარებით ადვილად შეეგუენ “საკოლმეურნეო წყობილებას”, რადგან მათთვის საკუთრებისა და შრომის განაწილების ბოლშევიკური ფორმა მისაღები იყო - ისინი ხომ ისედაც კოლექტიურ, სათემო საზოგადოებებად ცხოვრობდნენ; ყველაზე მეტად შრომისმოყვარეობასა და პატიოსნებას აფასებდნენ. მათი პროდუქტები – კარტოფილი და რძის ნაწარმი, მთელ საქართველოში იყო განთქმული. ისინი დიად საბჭოეთში, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სამყაროში თავს საკმაოდ დაცულად გრძნობდნენ.

ყველაფერი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიცვალა. 1990 წელს მოხდა მათი მასობრივი დაბრუნება რუსეთში - არხანგელსკის რაიონში. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: მოსკოველი ეთნოგრაფების აგიტაცია, რუსეთში ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი, საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მეზობელ სომხურ მოსახლეობაში ჯავახეთის რეგიონის სომხეთისთვის მიერთების სეპარატისტული განწყობების ზრდა.

უკანასკნელმა ათმა წელიწადმა მათ უფრო დიდი დანაკარგი მოუტანა, ვიდრე მანამდე ჯავახეთში ცხოვრების 150 წელმა. ისინი ტოვებდნენ საქართველოს, ხოლო მათ დაცარიელებულ სახლებში სახლდებოდნენ ახალგაზრდა ოჯახები ახლომდებარე სომხური სოფლებიდან (ეშტია, დილისკა, არაყალა, სათხე).

ამჟამად მხოლოდ ერთადერთ სოფელში – გორელოვკაში წარმოადგენენ ისინი უმეტესობას, და იქაც ლევ ტოლსტოის სახელობის სოფლის სკოლაში უფრო მეტი სომეხი ბავშვი სწავლობს, ვიდრე - რუსი.

ჯავახეთის მკაცრ პირობებში შრომისმოყვარე დუხობორებმა შეძლეს იქაურობის ბაღნარად გადაქცევა. ჯერ კიდევ შემორჩენილია მათი თეთრი, ლურჯკარფანჯრიანი სახლები, სუფთა ეზოებში ლამაზი ძახველის ხეებით; ჯერ კიდევ დგას ეს ძველი, დაბალჭერიანი ქოხები, რომლებსაც, მკაცრი ზამთრის გამო, სახურავზე მიწას აყრიდნენ და მერე ზედ ბალახსაც თესავდნენ; გაზაფხულზე კი სახურავები მწვანედ ბიბინებდა. სოფლებში ჯერ კიდევ მრავლადაა ხის მაღალ ბოძებზე შემოსკუპებული წეროების დიდი ბუდეები. დუხობორები ჯავახური გრძელი და მკაცრი ზამთრის დროს ისევ ძველ სახლებში მოწყობილი რუსული “ფეჩებით” თბებიან, მამა-პაპურ რუსულ აბანოში ბანაობენ; სომეხი მეზობლებისგან ნაყიდ მატყლს ისევ ძველებურ ხის სართავებზე ართავენ და პურსაც ისევ რუსულ ღუმელში აცხობენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ამჟამად მაინც თვალშისაცემია დუხობორების სოფლებში შერეული მოსახლეობის გაჩენა. გორელოვკის ცენტრალური, ადრე სუფთა და მოასფალტებული გზა ოღრო-ჩოღრო გამხდარა, რადგან სოფლის სომეხი ეროვნების მოსახლეობამ არ გაითვალისწინა დუხობორების აკრძალვა, ცენტრალურ გზაზე არ ეტარებინათ ტრაქტორები. სოფლის შემოგარენის ტბებშიც გაწყდა თევზი, რადგან დუხობორები მხოლოდ იმდენ თევზს იჭერდნენ, რამდენიც ოჯახს სჭირდებოდა და არ ბრაკონიერობდნენ.

განხეთქილების მთავარი მიზეზი მაინც მეურნეობის წარმართვის სხვადასხვა გზა და მიწის საკუთრება გახდა. ორლოვკაში, სპასოვკასა და ეფრემოვკაში, მიწის ნაწილი ოჯახებს დაურიგდათ, მაგრამ კოლმეურნეობების საკუთრება, ძირითადად, ახალმოსახლე მეზობლების ხელში აღმოჩნდა. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე, ახლა კი სოფლებში ეკონომიკურ სადავეებს ერთი-ორი სომხური წარმომავლობის ოჯახი ფლობს.

1992 წელს გორელოვკაში საერთო კრებაზე გადაწყდა, არ ეხლოთ ხელი საერთო საკოლმეურნეო საკუთრებისთვის და ჩამოყალიბდა “საქართველოს დუხობორების რუსული თემი”, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა კოოპერატივ “დუხობორეც”-ად. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. უამრავი პრობლემის გამო, დუხობორები თანდათან ტოვებენ ჯავახეთს. ქართულ მიწაზე ასორმოცდაათწლიანი ცხოვრების მიუხედავად, ისინი თავს ვერ აღიქვამენ ქართული საზოგადოების წევრებად, რადგან მხარის გეოგრაფიული მდებარეობისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ წლობით უყურადღებოდ მიტოვებული ჯავახეთის მაცხოვრებლები უფრო მეტად მეზობელ სომხეთთან არიან დაკავშირებულები; და, რა თქმა უნდა, ახალქალაქის ბაზის წყალობით - რუსეთთანაც. ძალიან ცუდი გზების გამო, ორსაათნახევარში ერევანში ჩასვლა გაცილებით ეადვილებათ, ვიდრე 6-7 საათი თბილისამდე ჯაყჯაყი; მით უმეტეს, რომ სომხური ქალაქის, გიუმრის აეროპორტიც იქვეა. რელიეფის გამო აქ მხოლოდ სომხურ და რუსულენოვან გადაცემებს “იჭერენ.” თუმცა, თბილისის დაინტერესების შემთხვევაში, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ალბათ, ძალიან ძნელი არ უნდა იყოს ჯავახეთის ტერიტორიისთვის ქართული ტელეარხების მაუწყებლობის მიწოდება. ზემოთქმულის შემდეგ გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ დუხობორების 95 პროცენტმა და სომეხი მოსახლეობის ოთხმოცმა პროცენტმა არ იცის სახელმწიფო ენა.

სოფელი ორლოვკა

თანამედროვე ორლოვკა შერეული სოფელია. ადრე იქ მხოლოდ დუხობორები ცხოვრობდნენ, მაგრამ მათმა უმეტესობამ გაყიდა სუფთად მოვლილი სახლკარი და რუსეთსა და კანადაში გადასახლდა. დუხობორების ყოფილი სამოსახლო, ძირითადად, სომხურმა მოსახლობამ იყიდა. ამიტომ, ორლოვკის არასრულ საშუალო სკოლაში ორი სექტორია: რუსული და სომხური. სომხურ სექტორში რამდენიმე კლასი და 41 მოსწავლეა, რუსულში - მხოლოდ ერთი, ე.წ. კომპლექსური კლასი და ორი მოსწავლე.

ორლოვკის სკოლის შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია - ბევრგან სახურავიდან წყალი ჩადის; ერთი საკლასო ოთახი გაუქმებულია - შიგნით ბალახია ამოსული და შეშის “ფეჩების” საწყობად გადაუკეთებიათ; სკოლის შენობაში უკვე საკმაოდ გრილოდა, შუშები იყო ჩამტვრეული. სოფლის სკოლა სასწრაფო რემონტს საჭიროებს, თორემ შეიძლება ჯავახურ ცივ ზამთარს ვეღარ გაუძლოს და ჭერი ჩამოენგრეს!

სკოლის დირექტორის, ნინოწმინდელი არაქელ სირონანის თქმით, ის და მისი პედაგოგი მეუღლე ყოველ დღე, დარსა და ავდარში ადიან სკოლაში. თბილისიდან ჩასულ იშვიათ სტუმრებს დირექტორმა პატივი გვცა და რამდენიმე კლასში “შეგვაჭყიტა”. სომხური სექტორის მეორე კლასში მერხებთან შვიდი ბავშვი იჯდა. შემთხვევით, მეორეკლასელების ქართულის გაკვეთილზე აღმოვჩნდით. პატარა სომეხი გოგო-ბიჭები ქართულ “დედაენას” კითხულობდნენ. მართალია, სახელმძღვანელო, თითქმის, ყველას ჰქონდა, მაგრამ თბილისიდან ქართულის რვეულების გამოგზავნა, რატომღაც, დავიწყებიათ. კლასში ერთადერთი რვეული აქვთ, თუმცა მის პატარა პატრონს საკმაოდ ლამაზად “გამოუყვანია” ქართული ასოები.

ქართულის მასწავლებელმა შუშანიკ ბაბაჯანიანმა მშვენიერი ქართულით გვიამბო, რომ ბავშვები მხოლოდ მეორე წელია, რაც ქართულს სწავლობენ. ცოტა უჭირთ ენის სწავლა, რადგან მშობლებმა არ იციან ქართული და ოჯახში ვერავის ესაუბრებიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორმა უფრო გაბედულმა მოსწავლემ წინა წელს ნასწავლი რამდენიმე ქართული სიმღერა ბავშვთა ლექსი სხაპასხუპით გვითხრა და ჩვენგან საჩუქრად ჩანთაში სახელდახელოდ მოძიებული კანფეტებიც დაიმსახურა (მთელი კლასისთვის).

რუსულ სექტორზე მხოლოდ ერთი კომპლექსური კლასია, სადაც და-ძმა ვასია და პოლინა დემინოვები სწავლობენ. დუხობორებისთვის საყვარელი ჭრელთავასაფარიანი პოლინა პირველკლასელია, ვასია - მესამე კლასელი. კომპლექსური კლასი კი იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს გაკვეთილები ერთად უტარდებათ; ხან პირველი კლასის პროგრამას გადიან, ხან - მესამე კლასისას.

სკოლიდან გამოსვლისას ლამაზად გაფორმებული ქართულენოვანი კედლის გაზეთი შევნიშნეთ; სწორედ ისეთი, პიონერობისას რომ “ვუშვებდით” ხოლმე სკოლაში. კედლის გაზეთზე ორლოვკელი მერვეკლასელების ნატვრები ეწერა. რამდენიმე საინტერესო ნატვრა დამამახსოვრდა: ”არ მინდა ომი. მე მინდა ისეთი ცხოვრება, რომ არ მოვიპარო არაფერი, არც კიდევ სხვამ მომპაროს, არავინ მოვკლა და არც არავინ მომკლას”; “ნეტავი ჩიტის ბუდე ჩემი სახლი იყოს”; “მინდა, გამოვიდე მილიციელი, ვიშოვო ფული, ვიყიდო ქალაქში ბინა და ვიცხოვრო”.

ბოლო ნატვრის წაკითხვისას გამეღიმა, მივხვდი, უშუქობის და სხვა მრავალ მიზეზთა გამო ორლოვკაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ცხოვრებით ცხოვრობენ; მით უმეტეს, რომ სოფლის ცენტრში, ვარდისფერი ტუფით აშენებული ერთი შენობის შესასვლელში ჯერ კიდევ მყარად კიდია აბრა, რომელიც გვამცნობს, რომ ჩვენ ვიმყოფებით ГРУЗИНСКАЯ ССР. ПРАВЛЕНИЕ КОЛХОЗА ИМЕНИ ЧАПАЕВА, ДЕРЕВНИ ОРЛОВКА, БОГДАНОВСКОГО РАЙОНА (?!)

NORASIA
A member of the CSAV Group

29 ოქტომბერი, 2004
პრეს რილიზი

ნორაზია იწყებს ABS (აზია-შავი ზღვა) სერვისს
აზისა და შავი ზღვის დაკავშირების უკეთესი შესაძლებლობანი კლიენტებისათვის

ჰონკ კონგი, 2004წლის 29 ოქტომბერი-ნორაზიამ, რომელიც CSAV ჯგუფის წევრს წარმოადგენს, დღეს განცხადება გააკეთა ახალი, ABS (აზია-შავი-ზღვა) სერვისის დაწყების შესახებ ჰაპაგ-ლოიდთან პარტნიორობით. ამ ახალი სერვისით აზიის პორტები დაუკავშირდება შავი და ხმელთაშუა ზღვების პორტებს ორივე მიმართულებით კლიენტის მოთხოვნისდა მიხედვით.

სერვისის დაწყება განზრახულია 2004 წლის 24 ნოემბერს. მომსახურეობა განხორციელდება 22 კვანძის სიჩქარის მქონე 3000 ცალი 20"-ის ეკვივალენტის კონტეინერების ტევადობის 7 ხომალდით. ნორაზია უზრუნველყოფს 6 ხომალდს.

ხომალდი იმოძრავებს შემდეგი მარშრუტით:შანხაი, ნინგბო, კილუნგი, ჩივან, პორტ კლანგი, დამიეტა, კონსტანცა, სტამბული, დამიეტა, კოლომბო, პორტ კლანგი შანხაი.

შავი ზღვა ოდითგანვე ითვლებოდა მნიშვნელოვან კომერციულ რეგიონად და ამ კუთხით დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდი ადგილია. სწორედ ამ მიზეზით იგი ნორაზიას მომავალი სტრატეგიის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

კომერციისა და ვაჭრობის სწრაფ გაფართოებასთან ერთად, ნორაზია თავის კლიენტებს საუკეთესო მომსახურეობას, პორტების მეტ არჩევანს და უკეთეს სატრანზიტო დროს სთავაზობს.

ნორაზიას 20 წლის მანძილზე წამყვანი ადგილი უჭირავს აზიას, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის საზღვაო გადაზიდვებში. მისი მთავარი ოფისი ჰონგ კონგში მდებარეობს. მეტი ინფორმაციი სმისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: http://www.norasia.com/. ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: marketing@norasia.com

ნორაზიას საქართველოში წარმოადგენს კომპანია "ეკონომუ ინთერნეიშენალ შიპინგ ეჯენსის".
კომპანიის მისამართია: თბილისი, ყაზბეგის პრ. N 12 ბ.
ტელ: 33 48 25
ფაქსი: 33 48 26
კომპანია "ეკონომუ ინთერნეიშენალ შიპინგ ეჯენსის" უზრუნველყოფს ყოველკვირეულ საზღვაო გადაზიდვებს
ქალაქ კონსტანციდან ფოთის მიმართულებით და უკან.

ორი სიტყვით

გორი. გუშინწინ, გვიან ღამით, გორი-ცხინვალის საავტომობილო მაგისტრალზე, კარალეთის საგუშაგოსთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. ცხინვალიდან გორის მიმართულებით მოძრავ "ვაზ-21099" მარკის ავტომანქანას გორიდან ცხინვალისკენ მოძრავი "ნივა" შეეჯახა, რომელსაც ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდალი ალეკო კიკნაძე მართავდა. ავარიის შედეგად "ჟიგულის" მძღოლი, 22 წლის ივანე ბარდუაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ალეკო კიკნაძე კი სამართალდამცველებმა საავადმყოფოში თავის ტრავმით გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საოლქო სასამართლო დღეს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ქონების კონფისკაციის შუამდგომლობას განიხილავს. სასამართლო ქარქაშაძის კუთვნილი ბინების დასაბუთებულობის საკითხზე იმსჯელებს. საქმე ეხება ლუქსემბურგის, ლვოვის, მგალობლიშვილის ქუჩებზე მდებარე ბინებს. წინა სასამართლო პროცესი დაკავებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო თბილისის N1 საპყრობილეში გაიმართა. დღევანდელ პროცესს კი, შესაძლოა, თავად ქარქაშაძეც დაესწროს. როგორც ცნობილია, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე პროკურატურამ 24 ივლისს დააპატიმრა. მას უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ღვინის მინი-ქარხნის უკანონო პრივატიზებას და 100 ჰექტარზე მეტი მიწის ფართის უკანონო გაცემას ედავებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კონტრაბანდული ფქვილით დატვირთული რუსი სამშვიდობოების სატვირთო მანქანა ფინანსურმა პოლიციამ შაბათს დააკავა. როგორც ჟურნალისტებს შიდა ქართლში ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილემ თემურ ზატუაშვილმა განუცხადა, ეს ტვირთი კონტრაბანდულია, ხოლო რუსი სამშვიდობოების განცხადება იმის შესახებ, რომ ფქვილი ოსური მოსახლეობის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარებაა, სიმართლეს არ შეესაბამება. ავტომანქანა გორის საბაჟო ტერმინალშია გადაყვანილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იმერეთის" კუთვნილი ყველაზე დიდი ბაზრობის ათასამდე მოვაჭრემ გუშინ დილით ჭავჭავაძის გამზირზე გამავალი ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტა. აქციის მონაცილეები ფინანსური პოლიციის ქმედებას აპროტესტებენ. მათი მტკიცებით, წუხელ, მთელი ღამის განმავლობაში, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციაში ფინანსური პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ და აღნიშნული ბაზრობის საქმიანობაზე ისეთი ოქმის შედგენას მოითხოვდნენ, რომლის საფუძველზეც ფინანსური პოლიცია შპს "იმერეთის" დოკუმენტაციის შემოწმებას დაიწყებდა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს, კერძოდ კი მის უფროსს, სოსო გაბრიჩიძეს შპს "იმერეთში" კომერციული ინტერესები აქვს, რის გამოც შპს "იმერეთის" ხელმძღვანელობას რამდენიმე თვეა, უპირისპირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა იურისტთა არაფორმალური შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს ჰააგის 1961 წლის კონვენცია, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას. კონვენციასთან საქართველო არ არის მიერთებული, რის გამოც მოქალაქეებს საზღვარგარეთ წარსადგენ დოკუმენტებზე ლეგალიზაციისთვის სხვადასხვა უწყებებში უწევთ მისვლა. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნოტარიუსის მიერ დამოწმებული და იუსტიციის სამინისტროში ლეგალიზებული დოკუმენტი შემდგომ "რეგისტრაციას" გადის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში და იმ ქვეყნის საელჩოში, სადაც დოკუმენტი იგზავნება. კონვენციასთან მიერთების შემთხვევაში დოკუმენტების გაცემისას ერთადერთი მოთხოვნა დოკუმენტის ნამდვილობისათვის არის მასზე აპოსტილის (სათანადო შტამპის) არსებობა. **მედია-ნიუსი**

პატრული დაიჭრა, დამნაშავე ლიკვიდირებულია

სულ ორი თვეა, რაც საპატრულო პოლიცია შეიქმნა და უკვე მის ისტორიაში რამდენიმე გარდაცვლილი თუ დაჭრილი თანამშრომელის გვარი ჩაიწერა.

გუშინ თბილისში კიდევ ერთი საპატრულო პოლიციელი დაიჭრა. მის ვინაობას სამართალდამცველები ჯერჯერობით არ ახმაურებენ, სამაგიეროდ, დასახელდა დამნაშავეებსა და პატრულის თანამშრომლებს შორის მომხდარი ორმხრივი სროლის შედეგად გარდაცვლილი, "კომანდოს" ბატალიონის წევრის გვარი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა "კომანდოს" ბატალიონის ოფიცერი სოსო მაჭავარიანი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინწინ გვიან ღამით სოსო მაჭავარიანი თანმხლებ პირთან ერთად ტაქსში ჩაჯდა და იარაღის მუქარით მძღოლი აიძულა მანქანიდან გადასულიყო. გატაცებული მანქანის მძღოლმა მომხდარის შესახებ საპარტულო პოლიციას შეატყობინა. შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელის გურამ დონაძის ინფორმაციით, სამართალდამცველები გატაცებულ ავტომანქანას დაედევნენ და დამნაშავეებს გზა გადაუკეტეს.

"ამ დროს მაჭავარიანი ავტომანქანიდან გადმოხტა და გაიქცა. პატრული გაქცეულებს ფეხით დაედევნა, რა დროსაც მაჭავარიანმა პოლიციის მიმართულებით ცეცხლი გახსნა და პატრულის ერთ-ერთი თანამშრომელი თავის არეში მძიმედ დაჭრა. როდესაც სპატრულო პოლიციის დაჭრილი თანამშრომელი დაეცა, იქვე მყოფმა მეორე პატრულმა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა, თუმცა მაჭავარიანმა ცეცხლი კვლავ გახსნა. საპასუხო სროლის შედეგად კი იგი სასიკვდილოდ დაიჭრა", - განაცხადა გურამ დონაძემ.

როგორც შს სამინისტროში განმარტავენ, მაჭავარიანი სამხედრო ფორმაში იყო ჩაცმული, სახეზე სამხედრო ნილაბი ჰქონდა აფარებული, სამკერდე ნიშანი კი, რომელზეც პირის ვინაობაა მითითებული, ახეული ჰქონდა და ჯიბეში ედო. დანაშაულში მონაწილე მეორე თავდამსხმელმა გაქცევა შეძლო და იგი ამჟამადაც მიმალვაშია. სამართალდამცველთა ვარაუდით, ისიც სამხედრო პირია.

თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე მაჭავარიანთან დაკავშირებით მოგვიანებით კომენტარი გააკეთა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა, რომელმაც გარდაცვლილის "კომანდოს" ბატალიონში ყოფნა კატეგორიულად უარყო.

"ტაქსის გამტაცებელი სოსო მაჭავარიანი იყო, რომელიც კომანდოს ბატლიონიდან აგვისტოში დაითხოვეს. მისი დათხოვის მიზეზი ოსი სეპარატისტებისთვის ტყვედ ჩაბარება და რადიოსადგურების დაკარგვა იყო", - აღნიშნა ნიკოლეიშვილმა.

რაც შეეხება დაჭრილ პოლიციელს, იგი საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც ოპერაცია გაუკეთდა და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

24 საათი

შიდა ქართლში კვლავ კონტრაბანდას ებრძვიან

კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობის აღსაკვეთად, შიდა ქართლში დამატებითი ჯგუფები შეიქმნა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის, ალექსანდრე სუხიტაშვილს ინფორმაციით, გუშინ წინ, გვიან ღამით, თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალის იგოეთის მონაკვეთზე, სამართალდამცველებმა "ოპელის" მარკის ავტომანქნა დააკავეს. ავტომანქანაში 3 500 კოლოფზე მეტი უაქციზო სიგარეტი აღმოჩნდა. დაკავებულია ტვირთის მფლობელი გიორგი მურაჩაშვილი, რომელიც მსგავს ქმედებებში ადრეც იყო შემჩნეული. **"გამოძიების შემდგეგ აღნიშნული ავტომანქანის კონფისკაციის საკითხი გადაწყდება"**, - განაცხადა სუხიტაშვილმა.

როგორც გორის რაიონის გამგებელმა იოსებ მუმლაძემ განაცხადა, ხელისუფლება კონკრეტულ ინფორმაციას ფლობს იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა მაკონტროლებელი უწყებების წარმომადგენლები, გარკვეული საზღაურის ფასად, თავად მფარველობენ კონტრაბანდისტებს.

კონკრეტული გვარების დასახელებას მუმლაძე რამდენიმე დღეში აპირებს.

ინტერ-პრესი

ზურაბ აზმაიფარაშვილი ესპანეთში სასტიკად სცემეს

ჭადრაკის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია (ფიდე) საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრების ლიდერის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტისა და ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს. ამის შესახებ ფიდე-ს ოფიციალური საიტი იტყობინება.

ესპანეთის კუნძულ მალიორკაზე, ქალაქ კალვიაში დასრულებული საჭადრაკო ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე, ზურაბ აზმაიფარაშვილი ოლიმპიადის დაცვის წევრებმა სასტიკად სცემეს. ფიდე აღშფოთებას გამოხატავს მომხდარის გამო და ამ ფაქტს ოლიმპიადის ორგანიზატორების დაუდევრობას უკავშირებს.

ზურაბ აზმაიფარაშვილის ოჯახის წევრების ნაამბობის თანახმად, ინციდენტი აზმაიფარაშვილის მხრიდან ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე სამართლიანობის აღდგენის მცდელობას მოჰყვა. **"ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე ქართულ დელეგაციას სრულ იგნორირებას უკეთებდნენ. ჯერ ერთი, დაჯილდოებისას არ გამოაცხადეს, რომ თასი ნონა გაფრინდაშვილის სახელობისა იყო. გარდა ამისა, ბაადურ ჯობავას, რომელიც მე-4 დაფაზე გამარჯვებული გახდა, სცენაზე არ უხმეს. ზურაბმა ყოველივე ამის გამოსასწორებლად მოინდომა, რომ ფიდე-ს პრეზიდენტისთვის კირსან ილუმჟინოვისთვის მიემართა, მაგრამ ესპანელმა სამართალდამცავებმა იქამდე არ მიუშვეს და თითქოსდა ტერორისტული აქტის შიშით სასტიკად სცემეს"**, - განაცხადა ზურაბ აზმაიფარაშვილის მეუღლემ მარინა მილორავამ.

მისივე თქმით, ზურაბ აზმაიფარაშვილი ჯერ საავადმყოფოში ნაიყვანეს, რადგან ძალზე მძიმედ გრძნობდა თავს, ხოლო შემდეგ - პოლიციაში. მეუღლეს ის სულ ერთი წუთით ანახეს, თუმცა გასაუბრების საშუალება არ მისცეს.

მარინა მილორავას თქმით, მისი მეუღლე პროტესტის ნიშნად უარს აცხადებს საკვების მიღებაზე. მისივე განცხადებით, პოლიციაში მომუშავე მედიკოსები აცხადებენ, რომ აზმაიფარაშვილს სერიოზული არაფერი სჭირს, თუმცა ის მათ არ ენდობა და აცხადებს, რომ პოლიციაში მიყვანის დროისათვის აზმაიფარაშვილი საკმაოდ მძიმედ იყო.

ფიდე-ს საიტზე გავრცელებული ინფორმაციით, ზურაბ აზმაიფარაშვილი კუნძულ მალიორკას ქალაქ პალმანოვას პოლიციის განყოფილებაშია, თუმცა მის მონახულებას ვერ ახერხებენ, რადგან ესპანეთის ჭადრაკის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ხავიერ ოჩოა დე ეჩაგენი ფიდე-ს წარმომადგენლებს ადგილობრივი ადვოკატის მოძიებაში არ დაეხმარა.

ინტერ-პრესი

მოკლედ

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახალ პრეზიდენტს აირჩევს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ორგანიზაციის დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საერთო კრებაზე გამგეობის შვიდი ახალი წევრი აირჩიეს, რომელთა შორისაც არიან იურისტი დავით უსუფაშვილი და პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი.

უახლოეს ორ კვირაში კი შედგება ასოციაციის ახალი თავმჯდომარის არჩევნები, რომლის დროსაც ერთ-ერთი კანდიდატი თავმჯდომარის მოვალეობის ახლანდელი შემსრულებლი ანა დოლიძე იქნება. რაც შეეხება თინათინ ხიდაშელს, იგი სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება და თავმჯდომარის პოსტზე კენჭისყრას აღარ გეგმავს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 1994 წლის 9 სექტემბერს დაარსდა. მისი შექმნის ინიციატორები, სხვებთან ერთად, საქართველოს ამჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილიც იყვნენ, თუმცა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში 30 ოქტომბერს გამართულ საიუბილეო მიღებაზე არც ერთი მათგანი არ მისულა. მიღებას არ დასწრებია არც საქართველოს პრეზიდენტი, ახალგზარდა იურისტებს იუბილე მისმა მეუღლემ სანდრა რულოვსმა მიულოცა.

მედია-ნიუსი

აბაშიძის დროინდელი დაზვერვის სამსახურის უფროსი სადაზვერვო საქმიანობას აგრძელებდა

ბათუმის საპატრულო პოლიციამ ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში დაზვერვის სამსახურის უფროსი გოჩა თავდუმაძე დააკავა.

საპატრულო პოლიციის ყურადღება თავდუმაძის ავტომანქანამ მიიპყრო, რომელიც პოლიციის სანომრე ნიშნებით მოძრაობდა. ავტომანქანის ჩხრეკისას კი თავდუმაძეს მოსასმენი აპარატურა, დამონტაჟებული რადიოსადგური და ულიცენზიო რაცია აღმოაჩნდა.

მოგვიანებით, სამართალდამცველებმა თავდუმაძის საცხოვრებელი სახლი და სამუშაო კაბინეტი გაჩხრიკეს, საიდანაც ძვირადღირებული სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა და სასიგნალო შაშხანები ამოიღეს.

აჭარის პოლიციის შეფის, გია პაპუაშვილის ინფორმაციით, დიდი რაოდენობით მოსასმენი აპარატურა გოჩა თავდუმაძეს ბათუმური რევოლუციის შემდეგ, თეატრის შენობიდან ჰქონდა გატანილი. როგორც პაპუაშვილი აცხადებს, თავდუმაძე რაციის საშუალებით საიდუმლო ინფორმაციებს უსმენდა.

გოჩა თავდუმაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, ჯერჯერობით, სხვისი ქონების მითვისების მუხლით არის აღძრული. პოლიციის შეფი არ გამორიცხავს, რომ გამოძიების პროცესში თავდუმაძის ბრალეულობა დამძიმდეს. პაპუაშვილი ასევე არ გამორიცხავს ვერსიას, რომ თავდუმაძე საიდუმლო ინფორმაციას მოსკოვში, აბაშიძის გარემოცვას აწვდიდა. თუმცა, მისივე თქმით, დეტალები გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

თავდუმაძე აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში მოათავსეს.

ინტერ-პრესი

მირცხულავას ადვოკატი სასამართლოზე უცნობი მტკიცებულებების გამომზეურებას გეგმავს

ხვალ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სისხლის სამართლის საქმის განხილვას დაიწყებს. დავით მირცხულავას საქმეს მოსამართლე მილერ ხარებავა განიხილავს. როგორც ცნობილია, უკვე ჩატარდა სასამართლო განმწესრიგებელი სხდომა, რომელსაც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, მისი სურვილის მიუხედავად, არ დაესწრეს, ასევე არ გაითვალისწინა მოსამართლემ განსასჯელის ადვოკატის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის უზენაეს სასამართლოში გადატანის შესახებ.

როგორც ცნობილია, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება. როგორც დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია ამბობს, საქმეში მითითებული არ არის, რა ოდენობის ზარალი მიადგა ქვეყანას ან საერთოდ ვის მიაყენეს ზიანი.

"პრაქტიკულად, საქმეში დაზარალებულიც არ არსებობს", - ამბობს ბესელია და დასძენს, რომ ბრალდების მხარეს საქმის ძიების არც ერთ ეტაპზე არავითარი დოკუმენტაცია არ გააჩნდა, რომელიც ბრალდებულის ბრალეულობას დაადასტურებს.

"ჩვენ კი მოვიპოვეთ დამატებითი ახალი მტკიცებულებები, რის თაობაზეც სასამართლოზე განვაცხადებთ. ბრალდებას კი ვარაუდის დონეზეც არ შეუძლია დავით მირცხულავას ბრალი დაუმტკიცოს", - აცხადებს ადვოკატი.

მედია-ნიუსი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი .....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

USAID

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

ენერგეტიკა კუთვნილი თანხების მეოთხედსაც ვერ იბრუნებს

საქართველოს ენერგეტიკა კვლავ კრიზისშია. მიუხედავად დონორების მიერ დარგის რეაბილიტაციის მიზნით დახარჯული მილიონებისა, ენერგოსისტემა კვლავ დეფიციტურია და ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ძალუძს. შედეგად, ელექტროენერგეტიკული სექტორი დენის იმპორტზეა ორიენტირებული. ენერგობიზნესს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტი უჭირავს. ამის გამო, იმპორტზე ორიენტირებული ენერგეტიკა საქართველოს ეკონომიკის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს.

როგორც ენერგეტიკის ექსპერტები აცხადებენ, უცხოური დახმარებები ისეთი კაპიტალტევადი დარგისთვის, როგორიც ენერგეტიკაა, "ზღვაში წვეთია". საქმე ისაა, რომ საქართველოში წლიურად სულ მცირე 200 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგია იხარჯება და თუ დისტრიბუტორები ამ თანხის ამოღებას მოახერხებენ, დარგს არავითარი პრობლემა აღარ ექნება.

კერძოდ, თუ ქვეყანაში წლიურად დაახლოებით 6,5 - 7 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია იყიდება (იმპორტულისა და ქვეყნის შიდა გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებულის ჩათვლით), უხეში გათვლებით, წლიურად 600 მილიონი ლარი, ანუ დაახლოებით 300 მილიონი დოლარი უნდა შემოდიოდეს.

რეალურად კი, საქართველოს ენერგობაზარზე მოქმედი დისტრიბუტორები ამ თანხის ნახევარსაც ვერ აგროვებენ. მათ მიერ საბითუმო ბაზრისთვის წლიურად გადახდილი თანხა იშვიათად თუ აღწევს 75 მილიონ დოლარს.

სწორედ ამიტომ, დარგის უმთავრეს პრობლემად სექტორში აღრიცხვიანობის მოწესრიგება რჩება. შესაბამისად, დარგი, რომლის რენტაბელობაც, გამართული ფუნქციონირების შემთხვევაში, შესაძლოა, მაღალი იყოს, ისეთი კრედიტორების ინტერესს იწვევს, რომლებიც ამ რენტაბელობის იმედით, დღეს აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად სოლიდური დანახარჯების გაღებას არ მოერიდებიან (მაგალითად, რუსეთის "რაო ეეს როსიი", რომელმაც თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელი "თელასი" ამერიკული "ეი-ი-ეს"-ისგან შეისყიდა).

მიუხედავად გამრიცხველიანების პრობლემის მიმართ დონორებისა და კრედიტორების ყურადღებისა, საკითხი დღემდე გადაუჭრელია. მეტიც: 2003 წლის მონაცემებით, საბითუმო ბაზარმა უარყოფით სალდოზე იმუშავა. იმისათვის, რომ ენერგეტიკაში შემოსული თანხები დარგის რეაბილიტაციას ეყოს, დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 80 პროცენტს მაინც უნდა აღწევდეს. სწორედ ამიტომ, დარგში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება უცხოური დახმარებების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა.

ამ ეტაპზე საქართველოს რეგიონების გამრიცხველიანებას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გრანტებით აფინანსებს. თანხებს კი "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" მართვის უფლებით შესული ამერიკული "პი-ეი კონსალტინგი" ითვისებს.

რაც შეეხება აღრიცხვიანობის მოწესრიგებას ენერგოსუბიექტებს შორის ელექტროენერგიის გადადინების წერტილებში, ამ საკითხის მოსაგვარებლად "მსოფლიო ბანკმა", "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა" და "გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა" "საქართველოს საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" დააფინანსეს.

ქვემოთ გთავაზობთ დიაგრამას, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა ოდენობის თანხები "ერგება" დარგს, რა ოდენობის შემოდის მომხმარებელთაგან და რა ნიშას ავსებს ამ თანხებში დარგისთვის გამყოფილი უცხოური კრედიტები და დახმარებები.



შემდეგ ორშაბათს შემოგთავაზებთ ინფორმაციას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოს ენერგეტიკისთვის გამოყოფილი დახმარებების თაობაზე.

გამოხმაურება

ენერგოკრიზისის დაძლევის ერთადერთი დარჩენილი გზა

შეგახსენებთ, რომ გაზეთი "24 საათი", "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ "24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.

მიხეილ ჯიბუტი
პროფესორი

სტატიის დაწერა უშუალოდ გამოიწვია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისა" და გაზეთ "24 საათის" ერთობლივი პროექტის "ენერგეტიკა-კორუფციის გარეშე" ფარგლებში გამოცხადებულმა მოწვევამ დისკუსიაზე.

ენერგოკრიზისმა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკა მოშალა, არამედ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების კატასტროფული გაუარესებით, საქართველოს ხალხს თავისუფლების გემო გაუფუჭა და თავისუფლებით სიამოვნება შეუმცირა.

საქართველოში ეკონომიკის კრიზისი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიზეზებით განვითარდა. მას ჰქონდა ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები. კრიზისმა მოიცვა სათბობ-ენერგეტიკული სექტორიც.

პოსტკომუნისტური საქართველოს პირველი წლები ტოტალური სათბობ-ენერგეტიკული კრიზისის პირობებში გავიდა. დეფიციტური იყო მაზუთი, ბენზინი, ნავთი... შემდეგ დეფიციტური გახდა ბუნებრივი აირი, თხევადი გაზი, ელექტროენერგია.

მოსახლეობას ყველაზე უფრო უშუქობა უჭირს. ამ პრობლემის "სიცოცხლისუნარიანობა" საქართველოში მით უფრო ძნელი ასახსნელია, როცა საქართველოს საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსის შემდეგ ყველაზე მეტად ეკონომიკის დარგებს შორის ენერგეტიკამ შეინარჩუნა ფუნქციონირებადი სეგმენტები (განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკის სფეროში).

სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაა ქვეყანაში სისტემური გარდაქმნის ერთერთი საფუძველი.

ენერგოკრიზისის დაძლევას შეუძლია, შეასრულოს იმ ბიძგის როლი, როდესაც ეკონომიკას შეექმნება მაღალი და მდგრადი ტემპების განვითარების საშუალება. ამასთან, ენერგოკრიზისის დაძლევა ეს ის გამოწვევაა ახალი ხელისუფლებისათვის, რომლითაც მასობრივ ცნობიერებაში ის შეიძლება ძველისაგან განასხვავო.

თუ ენერგეტიკის რეფორმა ახალი ვექტორით არ განვითარდა, თუ უცვლელი დარჩა ის მეთოდები, ხერხები და სისტემები რაც დღეს ქვეყანაშია, აღნიშნული პრობლემის გადაჭრა უახლოეს ისტორიულ მომავალში ძნელად წარმოსადგენია.

საქმე ისაა, რომ ენერგოსექტორში ერთდროულად რამდენიმე პრობლემამ მოიყარა თავი.

ჯერ ერთი, ენერგოსექტორი ეკონომიკის ის დარგია, სადაც, როგორც ითქვა, საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსის შემდეგ წარმოება არ შეწყვეტილა და, შესაბამისად, აქ ყოველთვის იყო ის, რაც შეიძლებოდა პიროვნებების, ჯგუფების მატერიალური ინტერესი ყოფილიყო.

მეორეც, ენერგოსექტორი ბუნებრივი მონოპოლიაა და მას გარანტირებული მომხმარებელი ჰყავს, განსაკუთრებით სახელმწიფო რეგულირების პირობებში, რაც ხარისხობრივ გაუმჯობესებას აფერხებს.

მესამე, საქართველოს ენერგოსისტემა საბჭოთა კავშირის დროსაც დეფიციტური იყო და დღემდე დეფიციტური დარჩა, თუმცა არავინ იცის ამ დეფიციტის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში - რეალურ გადახდისუნარიანობის დონესთან შედარებით.

მეოთხე, დეფიციტით სარგებლობს სისტემა და მომხმარებელი დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია. ირღვევა მომხმარებლის ინტერესი – არც ხარისხი ვარგა და არც გადახდის დროს მუდმივი მოწოდებაა უზრუნველყოფილი.

მეხუთე, ენერგოსექტორში თითქმის განხორციელდა რეფორმა, როდესაც მოხდა ერთი მონოპოლისტის დაყოფა (მაგალითად, "საქენერგოს"), მაგრამ რეალურად კონკურენტული გარემო არ შექმნილა, კვლავ დარჩა სოციალისტური განაწილების სისტემა.

მეექვსე, დემონოპოლიზაციის ნაცვლად შეიქმნა ჯერ ტექნოლოგიური - გადაცემის, დისტრიბუციული მონოპოლიები, ხოლო შემდეგ სახელმწიფო მონოპოლიის ნაცვლად ჩამოყალიბდა კერძო მონოპოლიები, მაგალითად "თელასი", რომელსაც რეფორმის გენერალური იდეის საწინააღმდეგოდ გადაეცა სხვადასხვა ობიექტები, მათ შორის გენერაციის, გადაცემის, დისტრიბუციის და უფრო მეტიც, ის აწარმოებს იმპორტს და ექსპორტს.

მეშვიდე, საბაზრო მეთოდების დანერგვის ნაცვლად, შემოღებული იქნა ბევრი არასაბაზრო მექანიზმი, რომელიც მთლიანად შლის სისტემას. მაგალითად, "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი" შექმნილია კავშირის (ასოციაციის) ფორმით, ანუ ის არასამეწარმეო სუბიექტია და სულ სხვა წესებს ექვემდებარება, ვიდრე ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ".

მერვე, ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია ელექტროენერგიაზე ტარიფების სახელმწიფო რეგულირების არსებულმა სისტემამ. მას ხელს უშლიდა სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებები ტარიფების სტრუქტურასთან დაკავშირებით და ასევე ტარიფების გაანგარიშების არსებული მეთოდიკა და არსებული ტარიფების პოლიტიკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტარიფში დავალიანებათა შეტანის საკითხი და აგრეთვე ინდივიდუალური ტარიფების დადგენის პრაქტიკა მეთოდიკით განსაზღვრული საშუალო შეწონილი სიდიდეების პირობებში.

ენერგოსექტორში ტრანსფორმაცია თითქოს სწორად წარიმართა. განხორციელდა დემონოპოლიზაცია, ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზება ან მართვაში გადაცემა, შემოღებულ იქნა საბაზრო და მარეგულირებელი მექანიზმები, სექტორს მოხმარდა ეკონომიკის ყველა სხვა სფეროზე მეტი კაპიტალდაბანდება გადაიარაღებისათვის და სხვა მრავალი. მიუხედავად ამისა ვერ იქნა დაძლეული მწვავე დეფიციტი და ენერგოუზრუნველყოფაში არასტაბილური სიტუაცია.

უმთავრეს მიზეზად ყოველთვის ასახელებენ დარგში ფინანსური რესურსების უკმარისობას, რომლის მთავარი მიზეზია მომხმარებლების მიერ არგადახდები. ეს პრობლემა რა თქმა უნდა არსებობს, თუმცა ის უფრო დარგის შიგა პრობლემაა, ვიდრე მომხმარებლის და დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან, კერძოდ მომხმარებელთა კვების ხაზების განმხოლოებათან. მაშინ, როდესაც ადგილი აქვს რომელიმე ობიექტზე არგადახდას, ხდება მასიური გამორთვები. ისჯებიან არა არგადამხდელები, არამედ გადამხდელები და მეტიც: დარგი, რომელიც ფინანსების ნაკლებობას უჩივის, გადახდისუნარიანი გადამხდელების გამორთვით თვითონ კარგავს შემოსავალს. ეს საკითხი "AES თელასმა" თავის დროზე თბილისში გადაწყვიტა. გვაქვს სხვა წარმატებული მაგალითებიც.

კრიზისის მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია კორუფციის საკითხი. დეფიციტი და, მით უმეტეს, გადანაწილებითი სისტემა კორუფციის წარმოშობის საუკეთესო ნიადაგია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ თუ დარგში კორუფცია დაკავშირებულია ელექტროენერგიის გამომუშავებისა და რეალიზების მოცულობებთან, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კორუფცია არ უნდა იყოს ენერგორესურსების დეფიციტის მიზეზი. მისი უარყოფითი გავლენა ფინანსური ნაკადების დანიშნულისამებრ გამოყენებაში, ან ელექტროენერგიის არადანიშნულებით რეალიზებაში უნდა ვეძებოთ.

ამ ვითარებაში უმთავრეს როლს ასრულებს ხელისუფლების უნარი, გადაწყვეტოს დარგის სტრატეგიული ამოცანა. სამწუხაროდ, პოსტკომუნისტურ პერიოდში ხელისუფლება ოპერატიულ ენერგეტიკულ პრობლემებზე იყო კონცენტრირებული. ამას, შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე მიზეზი უწყობდა ხელს. მაგალითად, ქვეყნის სოციალური ფონი, კორუფციული ინტერესები და არაკომპეტენტურობა.

მთავარი ისაა, რომ ენერგოსისტემის სახელმწიფო რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები არათანმიმდევრულად და არასისტემურად განხორციელდა და მისი რეალიზება ყოვლად გაუმართლებლად შეფერხდა.

დარგის რეფორმების სახელმწიფო პროგრამა იმ სახით, რა სახითაც ის ჩაფიქრებული იყო, ჩაიშალა. ახლა კი იმის მტკიცება, რომ სტრატეგია იყო სწორი, მაგრამ ტაქტიკამ გააფუჭა საქმეო, არ ივარგებს. არც ის ივარგებს, რომ დავემგავსოთ იმ კაცს, რომელიც ტყეში დაიბნა და განსაცდელისაგან თავის დასაღწევად არასწორი მიმართულებით სირბილს უმატებს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ხომ არის შესაძლებელი დაწყებულ გარდაქმნებში არშემდგარი, გამოუსადეგარი ელემენტების, მექანიზმების უარყოფა და დადებითი შედეგის გავრცობა-გაფართოება? თეორიულად – კი. თუმცა, პრაქტიკულად, საეარაუდოა, რომ ეს მიმართულება უფრო არაპროდუქტიული იქნება, ვიდრე ახალი ალტერნატივის ძიება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძველი შენობის რეკოსტრუქცია უფრო ძვირი და მოუხერხებელია, ვიდრე ახლის აგება.

რეფორმის დასაწყისში ნავარაუდევი იყო, რომ ახალი სისტემა იქნებოდა ჯანსაღი. სწორედ, ამიტომ მოხდა მისი დემონოპოლიზაცია. იყო ვარაუდი, რომ სისტემაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს პრივატიზება დაძლევდა. "თელასის" პრივატიზებას დარგში ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებისთვის საწყისი იმპულსი უნდა მიეცა. არსებობდა ვარაუდი, რომ რადგან "თელასის" ახალი მეპატრონეები (AES) თავისუფალნი იყვნენ დარგში ჩამოყალიბებული ურთიერთობებისაგან, შესაბამისად, თავისუფალი იქნებოდნენ ჩრდილოვანი გარიგებებისაგან, რაც ნელნელა წინააღმდეგობაში მოვიდოდა სხვა რგოლებთან (გადაცემასთან, გენერაციასთან) და იქ არსებულ სირთულეებს გამოამჟღავნებდა.

სინამდვილეში, ამერიკულმა "AES თელასმა" თავიდან სერიოზული ნაბიჯები გადადგა საჯაროობისა და თეთრი ბიზნესისაკენ, თუმცა შემდგომში მან კი არ გადაიბირა არსებული სისტემა, არამედ თვითონ გახდა მისი ნაწილი და, ისარგებლა რა ენერგოსისტემის კორუმპირებულობით თუ არაკომპეტენტურობით, თვითონ გახდა მონოპოლისტი, რითაც ხაზი გადაუსვა მთელი რეფორმის გენერალურ იდეას.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, როგორც პრაქტიკული სტრუქტურა და ურთიერთობათა ახალი სისტემა 1999 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ დღემდე ვერ მიიღო დასრულებული სახე და ვერ იქცა ეფექტურ რგოლად.

ეს იმითაა გამოწვეული, რომ რეფორმის თავდაპირველი პროგრამის მნიშვნელოვანი საკითხები არ განხორციელდა. კერძოდ, საბითუმო ბაზრის განვითარება უნდა მომხდარიყო ტარიფების შემდგომში ლიბერალიზაციით, ელექტროენერგიის ადმინისტრაციული განაწილების (ლიმიტების დაწესების) სისტემა გაუქმდა, ელექტროენერგიის საბითუმო გამყიდველსა და მყიდველს შორის პირდაპირმა საკონტრაქტო ურთიერთობებმა კი შესაბამისი განვითარება ვერ ჰპოვა და სხვა.

გატარებული რეფორმების შედეგად, დარგში ვერ მივიღეთ ნამდვილი საბაზრო ურთიერთობები და ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზნები, ენერგორესურსების დეფიციტი დაუძლეველ მოვლენად, ხოლო ენერგეტიკის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკური პრობლემებიდან პოლიტეკონომიკურ პრობლემად იქცა.

საქართველო ენერგომატარებელზე სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული ქვეყანაა. კერძოდ, დღეისათვის ის მთლიანად დამოკიდებულია რუსეთზე. ამ პრობლემას ემატება ენერგოსისტემის შიდა მოწყობის პრობლემა, კერძოდ დეფიციტის საკითხი.

ენერგომატარებლების, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის იმ სახით დეფიციტის არსებობა, რა სახითაც ის დღეს საქართველოში არსებობს, ჩვენი აზრით, ამ დარგში არასწორი პოლიტიკისა და სუბიექტური მიზეზების ბრალია.

აქსიომაა, რომ საბაზრო ეკონომიკა დეფიციტს გამორიცხავს. აქედან ცხადია, რომ ენერგეტიკულ სექტორში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ დასრულებულა. სინამდვილეშიც ასეა. აქ შემორჩენილია განაწილების სოციალიზმის ელემენტები.

უპირველესი ამოცანა დღეისათვის - ესაა დეფიციტის მოსპობა. ამის წამალია ბაზარი და ფასების ლიბერალიზაცია. საქართველოში უნდა გამოცხადდეს, რომ ენერგომატარებლების ბაზარი თავისუფალია და ენერგომატარებლებზე ფასები (ტარიფები) თავისუფალია. ექსკლუზივი უნდა მოიხსნას ყველგან (ეს იქნება გენერაცია, გადაცემა, თუ დისტრიბუცია). საქართველოს ენერგობაზარი კი კონკურენტული უნდა გახდეს (და არა ხელოვნურად მონოპოლიზებული).

ეს არის რეგულირებადი საბაზრო მოდელის ალტერნატივა ენერგეტიკაში. ის, რაც დღეს ენერგოსისტემაში ჩამოყალიბდა არის, როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების კასტური ურთიერთობა, რომლის გარღვევაც მხოლოდ ახალი სისტემით შეიძლება.

სერიოზული მცდელობის მიუხედავად, საქართველოში არ შეიქმნა საბაზრო ურთიერთობების ადეკვატური ტარიფების რეგულირების სისტემა. ამ სფეროში დღეს არსებული ლეგიტიმური პრაქტიკა არათუ არ შეესაბამება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის რეალური ყიდვა-გაყიდვისა და ბაზრის დაბალანსების მოთხოვნებს, არამედ იგი არაფრით განსხვავდება და არც სჯობს იმ სისტემას, რომელიც არსებობდა ცენტრალიზებულად (დირექტიულად) მართვადი ეკონომიკის პერიოდში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმები დროში კი არ ვითარდება, არამედ ხშირად თმობს მიღწეულ პოზიციებსაც. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირზე ტარიფების ფორმირების წესი 8-9 წლის წინ უფრო ლიბერალური იყო, ვიდრე დღეს. ტარიფების რეგულირების ფუნქცია მაშინ სახელმწიფოს მიერ დელეგირებული იყო თვით ენერგოკომპანიაზე. ამასთან, ფასწარმოქმნის, პირდაპირი კონტაქტებისა და შესაბამისად ფინანსური ნაკადების ფაქტობრივად არსებული სისტემა არათანაბრად და სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებში აყენებს სხვადასხვა (მ. შ. იმპორტიორებს, ადგილობრივ და სხვ.) კომპანიებს.

ენერგეტიკის სექტორში ფასების (ტარიფების) ცენტრალიზებული დაწესება დღევანდელ სიტუაციაში ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რა ფუნქციაც ტარიფებმა ბუნებრივი მონოპოლიის მომსახურებაზე დაწესების დროს უნდა შეასრულოს.

დაწესებული ტარიფი ვერ იცავს მოსახლეობას მონოპოლიური ქცევებისაგან. მონოპოლიები ინარჩუნებენ ტარიფების ზრდის ტენდენციას და დარგის მარეგულირებელი და პოლიტიკური ორგანოები უძლურნი არიან მათ წინაშე სხვადასხვა მიზეზის გამო, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ოპერატიული, მიმდინარე ენერგეტიკული პრობლემა ისე მწვავდება, რომ მწვავე სოციალურ, ხშირად კი – პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენს.

ენერგეტიკის სექტორში ცენტრალიზებულად დადგენილი ფასები (ტარიფები) ორი ძალიან უარყოფითი შედეგით ხასიათდება. პირველი, დიდია სხვაობა ნომინალურ (დაწესებული) და რეალურ (ანაზღაურებულ) ტარიფებს შორის. დიდია არგადახდების ოდენობა (სპეციალურად შესასწავლია, თუ რამდენია გარიგებით არგადახდილი თანხა ამ არგადახდაში). ფაქტობრივად, საქმე გვაქვს არა ტარიფების რეგულირებასთან, არამედ სატარიფო ქაოსთან. სექტორში გროვდება ვალები და მათი ზომა წლითი წლობით იზრდება.

მეორე: რეალობას მოწყვეტილი ტარიფები, თავის მხრივ, მოჩვენებით ფინანსურ შედეგებს ქმნის, რის საფუძველზეც ენერგოკომპანიებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის ყოვლად არარეალური ურთიერთობები ყალიბდება. ამასდ კი თავისი უარყოფითი შედეგებიც მოაქვს.

როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა შექმნილი უმძიმესი სიტუაციიდან?

ჩვენ მოწმე ვართ, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს გამოსავალი ენერგეტიკაში კვლავ იმ რეფორმების გაგრძელებით იპოვოს, რომელიც, თავისი არსით, შეიძლება არ იყო ცუდი, მაგრამ ცუდად განხორციელებული ღონისძიებებისა და რიგი სტრატეგიული შეცდომების წყალობით (მაგალითად, "თელასისაგან", დისტრიბუტორის ნაცვლად, დარგის მონოპოლისტის შექმნა) ჩამოყალიბდა მახინჯი, არაეფექტური სისტემა, რომელიც გარდა იმანენტური უვარგისობისა, ძლიერაა დაზიანებული კორუფციული კავშირებით, რომელიც, ეტყობა, ერთნაირად ვერ დათმეს ვერც საქართველოს რეზიდენტმა და არარეზიდენტმა, იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა.

გამოსავალი დღევანდელი სიტუაციის სწორ შეფასებაში, შესაბამისი პროგრამის შემუშავებასა და მექანიზმის რეფორმების განხორციელებით კორექტირებაში მდგომარეობს.

საჭიროა, შეიქმნას სრულიად ალტერნატიული მექანიზმი. კერძოდ, რეფორმების კორექტირება უნდა მოხდეს დარგში ტარიფების სრული განთავისუფლების, ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დაშვებისა და საკონტრაქტო ურთიერთობების ლიბერალიზაციით. ასეთივე მიდგომის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება საბაზრო მექანიზმების რეალური ამოქმედება, შედეგად კი – ენერგოკრიზისისა და ენერგოდეფიციტის დაძლევა, ენერგორესურსების რაციონალური განაწილება და გამოყენება.

ნუთუ ყველა პრობლემა მართლა მარტო პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ასე მარტივია? არა, მარტივი არ არის, თუმცა არც ისე რთულია, რომ მისი გადაჭრა 13 წლის მანძილზე შეუძლებელი ყოფილიყო.

ამდენად, არასათანადო პოლიტიკური ნების ბრალია, რომ ენერგეტიკული პრობლემა (იმ სახით, რა სახითაც ის საქართველოშია) არ არის არც ერთ ყოფილ სოციალისტურ, თუ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ის, რომ თუ ნება იქნება, ელექტროენერგიაზე და ენერგომატარებელზე დეფიციტი გაქრება, უდავოა. ეს პრობლემა მოიხსნება, მაგრამ არა ისე სწრაფად, როგორც ფასების გათავისუფლების შედეგად ფართო მოხმარების საგნებზე 1992 წლის დასაწყისში; ან პურზე 1996 წელს. ენერგეტიკაში საქმე გვაქვს ტექნოლოგიურად უფრო რთულ სისტემასთან და მისი მორგება მოთხოვნა-მიწოდების კანონის მოქმედებასთან მოითხოვს გარკვეულ დროს, თუმცა არა წლებს, არამედ თვეებს.

ფასების ლიბერალიზაციას, ბუნებრივია, თან მოსალოდნელი სირთულეებიც მოაქვს. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყველაზე დიდი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ენერგომატარებლებზე, მ. შ. ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ფასების ჩამოყალიბების დროს, შესაძლოა, ტარიფების მატებას ჰქონდეს ადგილი.

საქართველოში ტარიფების დაწესების მეთოდად გამოყენებულია სრული დანახარჯების მეთოდი და, ამდენად, დღევანდელი ტარიფების მკვეთრი ზრდა არაა მოსალოდნელი, თუმცა ამ ფაქტორის გამორიცხვა, საკითხის დიდი სოციალური დატვირთვის გამო, არ შეიძლება. სამაგიეროდ, სახელმწიფოს ისეთი პრობლემა მოეხსნება, როგორიცაა ენერგოდეფიციტის საკითხი. ამიტომ, ბუნებრივია, ის ტარიფების ზრდით გამოწვეული სოციალური პრობლემის დასაძლევად მზად უნდა იყოს. ამასთან, ტარიფების ზრდა მოსალოდნელია მხოლოდ საწყის ეტაპზე, შემდეგ კი ადგილი ექნება მის შემცირებას.

ამ გზაზე სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს ორი ხერხი. თუ საქმე გვექნება ტარიფის არაკეთილსინდისიერ, მონოპოლიურ ზრდასთან, მაშინ სახელმწიფომ შეიძლება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ბერკეტები აამოქმედოს. თუ ადგილი ექნება ტარიფის ნახტომისებურ ზრდას, სახელმწიფომ ზრდით გამოწვეული შემოსავლების დანაკარგების სუბსიდირება ადრესულად, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის უნდა მოახდინოს. ამ დროს სახელმწიფოს იმაზე ნაკლები დაეხარჯება, ვიდრე ის ყოველწლიურად, საკუთარი ბიუჯეტის თუ ნასესხები ფულის სახით ახმარს ენერგეტიკის სექტორს და, ისიც, უშედეგოდ.

ტარიფების გათავისუფლებისთანავე მოისპობა დისტრიბუტორების მხრიდან მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმების პრობლემა: არ გააფორმებს ერთი, გამოჩნდება მეორე.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს დღეს – ეს სქემა დარგს მნიშვნელოვან იმპულსს მისცემს და ქვეყანაში იქნება არა ელექტროენერგიის დეფიციტი, არამედ საქართველოში წარმოებულ ელექტროენერგიას რეალიზების პრობლემაც კი ექნება.

ენერგიის მიწოდება-მოთხოვნაში ნორმალური საბაზრო ურთიერთობების დანერგვა 2-3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დამატებით 3-5 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს. ვინც გადაიხდის, მას ელექტროენერგია ექნება, არგადამხდელებს – არა. არგადახდების გამო ელექტროენერგიის ე.წ. "დანაკარგები" აღარ იარსებებს. ვისაც ელექტროენერგიის ტარიფის გადახდა არ შეუძლია, მათი მოხმარების სუბსიდირება სახელმწიფოს მიერ, სოციალური დაცვის პროგრამებით, განსაზღვრული ოდენობით მოხდება.

იგივე პრინციპი ეხება ბუნებრივ აირსაც.

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გაძვირების მაპროვოცირებელი იქნება მომწოდებლებსა და დისტრუბუტორების მონოპოლიური მდგომარეობა. ტარიფების ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი კი – სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორი – კონკურენცია.

წარმოიშვება კონკურენტული გარემო და გაჩნდება "ბრძოლა" მომხმარებლისათვის, რაც უზრუნველყოფს ტარიფის ზომის მოთხოვნისა და მოწოდების რეალური წონასწორობის დონეზე ჩამოყალიბებას. სტიმული მიეცემა ენერგიის ადგილობრივ წარმოებას, რათა მოახდინოს არსებული სიმძლავრეების სრული აღდგენა და მაქსიმალური გენერაცია, რამეთუ გაჩნდება შესაძლებლობა, შემოვიდეს მეტი მოგება ვიდრე იმპორტის შემთხვევაში. შედეგად, შეიქმნება სტიმულები ახალი სიმძლავრეების ასამოქმედებლად. ამავე დროს, ბოლო მოეღება იმ არანორმალურ სიტუაციას, როდესაც ელექტროენერგიის ტარიფი თბილისში სხვაა და ოც კილომეტრში – კიდევ სხვა.

ელექტროენერგიასთან შედარებით, ტარიფების უფრო მკვეთრი შემცირებაა მოსალოდნელი ბუნებრივ აირზე. თუ დღეს ბუნებრივი აირი თბილისში ორჯერ მეტი ღირს, ვიდრე საქართველოს საზღვარზე, მაშინ, თავისუფალი ბაზარი გაარკვევს რამდენად გამართლებულია ასეთი ფასი. სწორედ ბაზარი ახსნის, თუ რატომ ღირს ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი თბილისში სხვა, ხოლო ველისციხეში სხვა ფასი. ბუნებრივი აირით ვაჭრობის სფეროში ტარიფების შემცირების რესურსი გაცილებით მეტია, ვიდრე ელექტროენერგიის შემთხვევაში, თუმცა ეს რეალური პერსპექტივაა ორივე პროდუქტისთვის.

ამრიგად, საქართველოში ენერგოკრიზისის დაძლევის აუცილებელი პირობა, ერთადერთი დარჩენილი გზა უმოკლეს დროში ენერგომატარებლების დეფიციტისა და ე. წ. "უშუქობის" დაძლევისათვის – ესაა სათბობ-ენერგეტიკული სექტორის სრული ლიბერალიზაცია, ანუ ენერგოტარიფებისა და ენერგომატარებლებით ვაჭრობის (მათ შორის, ექსპორტისა და იმპორტის) სრული გათავისუფლება.

ვინ და რამ შეაცვლევინა გადაწყვეტილება სტალინს

B3

ქართველი კაცები ესპანეთში ჩაიკარგნენ

B5

დავირებული "ოქტომბრის სიურპრიზი" ბინ ლადენის მიმართვა აღმოჩნდა

B6

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

"საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცების, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და ქვეყნის წარმატებული განვითარების მასშტაბური და გრანდიოზული გეგმები აქვს. ამას კი უთუოდ წაადგება სათანადო საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა" — გვამცნო 26 ოქტომბერს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ჰენრი კუპრაშვილმა**. ამასთან კამათი ძნელია, მით უმეტეს მაშინ, როცა სახელმწიფო უშიშროებაში (თუმცა ისევე, როგორც ყველგან) საქმიანობის ეფექტურობა აღძრულ საქმეთა რაოდენობით განისაზღვრება. რაო, სხვანაირადაა საქმე?

მაშ რატომღა აწამებენ ეჭვმიტანილებს საქართველოს ციხეებში? ამ სავალალო ფაქტს მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ნებისმიერი სამართალდამცავი სამსახურის საქმიანობის შესაფასებელი კრიტერიუმი აღძრულ საქმეთა რაოდენობაა. არა, მე არც უტყუარ ცნობებს ვამჟღავნებ და არც უცნობის შესახებ ვვარაუდობ, მე მხოლოდ დასკვნა გამომაქვს "24 საათის" მთავარი თემიდან. აბა, გადაშალეთ 29 ოქტომბრის ნომერი და წაიკითხეთ სათაური: **საქართველოს რეგიონებში ადამიანის უფლებები კვლავ იგნორირებულია**. შემდეგ დახედეთ იქვე ფოტოზე გამოსახულ ადამიანს — ადამიანს — ადამიანს, რომელიც უსიტყვო საყვედურით შესცქერის თავის მსგავსებს გისოსებს მიღმიდან. რატომ უსიტყვოდ? ამას წარწერა გეტყვით: **"პოლიციის მიერ ნაცემი და ნაწამები ეჭვმიტანილები ხშირად, შიშის გამო, უარყოფენ ფიზიკური ზემოქმედების ფაქტს. ასე მოხდა ომბუდსმენის წარმომადგენლის შეხვედრაზე გლდანის პოლიციაში დაკავებულ ეჭვმიტანილთან"**. ახლა კი ვნახოთ, რა აქვს საერთო სათაურს, ფოტოსა და წარწერას...

სათაურიდან ავირჩიოთ სიტყვა "რეგიონებში", ფოტოსურათიდან გისოსებს მიღმა მდგომი ადამიანის გამხდარი და უღონო სახე, წარწერიდან კი სიტყვა "გლდანის". ახლა კი კავშირი ვნახოთ...

ერთი დღით ადრე, 28 ოქტომბრის ნომერში **გიორგი ასანიშვილმა** მოგვახსენა შემდეგი: **"როგორც ირკვევა, წინა და ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში შევიდა მასალები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი დეპუტატი ტრეფიკინგით არის დაკავებული. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ვასილ მაღლაფერიძემ დაჟინებით მოითხოვა, გაირკვეს, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს"**. მაინც რა არის ეს ტრეფიკინგი? — მოულოდნელად იკარგება ბავშვი ან ახალგაზრდა გოგონა. მისი შემდგომი ბედი უცნობია მშობლებისა და ახლობლებისთვის, რადგან ისინი ვერასოდეს მოხვდებიან თურქეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ბორდელში, სადაც რამდენიმე ასეულ დოლარად გაყიდული ეს გოგონა ატარებს თავისი უკვე ხანმოკლე სიცოცხლის დარჩენილ წლებს ან სულაც თვეებს. ეს ყოველივე ერთ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: მსხვერპლს არ უნდა გააჩნდეს გავლენიანი ან შეძლებული ნათესავები...

ახლა კი გასაგებია კავშირი სიტყვებთან და გამოსახულებასთან. სამართალდამცავთა "საწარმოო გეგმის" მსხვერპლიც კარგად უნდა იყოს არჩეული: საქმეს წყალი არ უნდა გაუვიდეს. ამის გარანტია კი მსხვერპლის სისუსტეა. გასაგებია, რომ რეგიონებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვითარება ყოველთვის უფრო მძიმე იქნება, ვიდრე თბილისში, ხოლო გლდანში — უფრო მძიმე, ვიდრე დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში. მე არ მგონია, რომ ფოტოზე აღბეჭდილი კაცი განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი იყოს — უბრალოდ, მას არ გაუმართლა...

ახლა კი 29 ოქტომბრის ნომერს დავუბრუნდეთ და A3 გვერდი გავშალოთ: **"დაკავებული ქალბატონი ჩემთან საუბრისას მიუთითებდა, რომ პოლიციელებმა ქვედა საცვალი შემოახიეს და გაუპატიურებას უპირებდნენ,"** — ეს იმერეთის ცნობებია. **"ჩემს მეუღლეს პალატაში პოლიციელი შეუვარდა. მოესმა მეუღლის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა. როცა პალატაში შევედით, დავინახე ამაზრზენი სურათი: სისხლიანი ბინტი, ბამბა და დრენაჟები იატაკზე ეყარა. კახა ინაიშვილმა წყლიანი ბოთლი ურტყა ჩემს ქმარს დაჭრილ ფეხებზე, ადვოკატს კი იარაღი მიუშვირეს ფეხებში, პალატაში რომ არ შესულიყო,"** — ეს კი აჭარიდან ისმის. A7 გვერდზე კი **ზვიად რუაძე** გვიამბობს, რომ პოლიცია *მხოლოდ ეჭვმიტანილებზე როდი ძალადობს.*

აი, ასეა, ბატონებო — ოთხასლარიანი ხელფასი, ახალთახალი "ფოლქსვაგენები", ცხელი შხაპი... მერე? მერე კი ის, რასაც "თავისუფლების ინსტიტუტი" აცხადებს: **"რევოლუციური მუხტი ჩაქრა!"**

ჯერ "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ 28 ოქტომბერს მოწყობილ პრესკონფერენციაზე არაფერს ვიტყვი. მხოლოდ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რევოლუციური მუხტის ჩაქრობა ყველაზე მეტად სწორედ სამართალდამცავ სისტემაზე შეეტყო ჩვენს ახლად გაფურჩქნილ დემოკრატიას. როგორც ეტყობა, პოლიციასა და პროკურატურაში, როგორც იტყვიან, "სააკაშვილს პატივს არ სცემენ" და ამის წინააღმდეგ ვერც შესაბამისი უწყებების პირველმა პირებმა გააწყვეს რამე.

ამის გამო კი ვითარება შემდეგია: დღეს გაცილებით უფრო დიდია უფსკრული რეალობასა და ხელისუფლების სიტყვას შორის, ვიდრე ეს შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში იყო. არა, არა, ხელი ნუ აგიკანკალდებათ რისხვით: მე არ ვამბობ, რომ ვითარება გაუარესდა — მე ვამბობ, რომ სიტყვასა და საქმეს შორის მანძილი გაიზარდა. გაიზარდა კი არა, კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა.

სწორედ ამას უწოდეს რევოლუციური მუხტის ჩაქრობა "თავისუფლების ინსტიტუტში". კონკრეტულად კი პრესკონფერენციაზე საუბარი იყო ეგრეთ წოდებული ფინანსური ამნისტიის შესახებ.

ჯერ ერთი, მე, როგორც საქართველოს მოქალაქემ, მსურს განვაცხადო, რომ ჩემთვის სამართლიანობის დაცვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია რომელიღაც კონკრეტულ წელს ქვეყნის ბიუჯეტში შესულ კონკრეტულ თანხებზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სახელმწიფო მიხვდა, რომ დაჭერებით შეგროვილი, უფრო სწორად, შესაგროვებელი ფული უკვე ძალიან ძვირი დაჯდება, ხოლო დაპატიმრებების საჯარო ეფექტის თითქმის ნულამდე შემცირებამ კიდევ უფრო არარენტაბელური გახადა ამგვარი ღონისძიებები. მაგრამ რომელიღაც კეთილმა თუ ბოროტმა ფერიამ ვიღაცას ჩასჩურჩულა ყურში, რომ თავისუფლება ისეთი საქონელია, რომელიც ერთნაირად კარგად იყიდება როგორც ციხის კედლებში, ისე მათ გარეთაც.

ეს ფინანსური ამნისტია, არსებითად, იგივეა, რაც წინანდელი რეპრესიები. მაგრამ თუ ადრე კანონიერების დაცვაში ხარვეზები საპროცესო ნორმების დარღვევით ამოიწურებოდა, ახალგამოგონებული წამლის "გვერდითი ეფექტი" გაცილებით უფრო მძიმე და ხანგრძლივი იქნება.

ოღონდ აქაც ერთი "სასპენზია" საჭირო. ერთი წამით უკან დავიხიოთ და ვნახოთ, რომ არა მარტო სავარაუდო ამნისტიაზე, არამედ უახლეს დაპატიმრებებზეც ეტყობა ხელისუფლებას ერთი საგულისხმო და არცთუ უწყინარი ტენდენცია. გავიხსენოთ, რა ბრალი წაუყენეს კობა ნარჩემაშვილს — 25 ნოემბერს ამის შესახებ **სოფიკო ჩხაიძემ** მოგვითხრო: **"დღეს ამ ტვირთის შემოტანა ერთ-ერთი იმ ბრალდებათაგანი გახლავთ, რომელსაც კობა ნარჩემაშვილს უყენებენ. მეორე ეპიზოდი, რომელსაც გამოძიება ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ედავება, განუბაჟებელი მანქანების საქმე გახლავთ"**. ტვირთი, როგორც გახსოვთ, რევოლუციის დღეებში წითელ ხიდზე მანქანის საბარგულში აღმოჩენილი "ჩერიომუხაა". მაგრამ სადაა ბრალდებები ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო? რატომ არავის წაუყენა ამგვარი ბრალდება ჩვენმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ? — თვით უკვე დაპატიმრებულებსაც კი!

სწორედ ამიტომ ამბობდა მოგვიანებით პრესკონფერენციაზე "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ლევან რამიშვილი: **"მე პირადად აღშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ ჯერჯერობით, პოლიციის არც ერთ მაღალჩინოსანს თუ დაბალჩინოსანს ბრალი არა აქვს წაყენებული ადამიანის უფლებების დარღვევის, ადამიანის წამების, მიტინგების უკანონო დაშლის, პოლიტიკური ნიშნით ადამიანის დევნის გამო ... დღეს ამ ფაქტის გამო ნარჩემაშვილს არავინ საყვედურობს, ამის ნაცვლად რაღაც გაუგებარი ბრალი აქვს წაყენებული. რა თქმა უნდა, იმ დანაშაულებისთვის, რასაც ნარჩემაშვილს ედავებიან, თუ ისინი მან მართლა ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ არ შეიძლება ასეთი შერჩევითი მიდგომა"**.

მართალია, არ შეიძლება, მაგრამ ასეთი შერჩევითი მიდგომა მაინც არსებობს. რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს ამას? ახსნა ორგვარია: 1) აღწერითი ახსნა, ანუ პასუხი შეკითხვაზე, რას წარმოადგენს ასახსნელი ობიექტი? — დღევანდელი ხელისუფლება სახელმწიფოს (სხვა სიტყვებით კი საკუთარი თავის) წინააღმდეგ დანაშაულებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილ კანონდარღვევას; 2) კაუზალური ახსნა, ანუ პასუხი შეკითხვაზე, რატომ? — როგორც ეტყობა, მომავალში ხელისუფლება ბევრ სიურპრიზს გვპირდება, ოღონდ მათგან არც ერთი არ იქნება სასიამოვნო...

სწორედ ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზია ყბადაღებული კანონპროექტი ფინანსური ამნისტიის შესახებ. თურმე კანონპროექტში არ წერია, რომ იგი არ ვრცელდება "საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონის" მეორე მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებზე, მათ ნათესავებსა და მათთან დაკავშირებულ პირებზე. რაც აკრძალული არაა, ნებადართულია! — ეს ყველამ კარგად ავითვისეთ. ასე რომ, თუ კანონი მართლაც გავრცელდება ამ საჯარო პირებზე, გამოდის, რომ ჩვენი სავარდო და სანოემბრო ხელისუფლება (გახსოვთ ლოზუნგი — "საქართველო კორუფციის გარეშე"?) დღეს კორუფციას გაურიგდა.

ამიტომაც ამბობს ლევან რამიშვილი: **"ჩვენ ამნისტიის კი არა, ამნეზიის შესახებ კანონს ვღებულობთ"**. მაინც რა დაავიწყდათ? — საკუთარი ლოზუნგი: საქართველო კორუფციის გარეშე!

ჩაქრა მუხტი, ჩაქრა. აი, თუნდაც ის გახმაურებული ამბავი საათების ჩუქებით, რომელმაც ლამის მთელი დღით დაიპყრო სრულიად საქართველოს ტელეეთერი და რომელსაც ჩვენმა გაზეთმა, მადლობა ღმერთს, მხოლოდ მცირე ადგილი დაუთმო. პირადად მე ჩემი ნაცნობ-მეგობრებისგან მრავალნაირი და ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი გავიგონე, საკუთარის გამომუშავება კი ვერ მოვახერხე. ერთ რამეში კი ნამდვილად არ მეპარებოდა ეჭვი:

დავუშვათ ერთი წუთით, რომ ნაჩუქარ საათზე თბილისის მერის რეაქცია ნამდვილად გულწრფელი იყო და მას ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის ჩვეული რადიკალიზმი და ჩვენი ბკემოდებული მენტალობის გარღვევის სურვილი განაპირობებდა. ეს რადიკალიზმიც და ეს სურვილიც ჩაქრა, სანამ ქალაქის მერი პრეზიდენტისკენ მიდიოდა ღიმილითა და ჩქარი ნაბიჯით, რათა უკვე სხვა საათი მიეღო საჩუქრად. მიხეილ სააკაშვილის ასევე გულწრფელმა იმპულსმა ყოველივეს უკვე მოყირჭებული შუასაუკუნეობრივი ელფერი მისცა: გაბადრული ერისთავი აჯილდოებს თავის ერთგულ აზნაურს. რატომ მაინცდამაინც ერისთავი? — იმიტომ რომ, გასწი-გამოსწი და სამეფოზე ვერ ქაჩავს ჩვენი ღვთივკურთხეული სამშობლო: განათლებული მონარქი ტახტიდან ადგებოდა და თვითონ მიუახლოვდებოდა გამოჩინებულ რაინდს.



ვაჟა-ფშაველას "გველის მჭამელი" მეტროში

თეონა ჯაფარიძე

"რითი-ღა ვარგო ქვეყანას დავცარიელდი ცოდნითა."

ვაჟა მარადიულად აქტუალურია, მით უმეტეს, იმ საზოგადოებისათვის, რომელიც პირიქით - "ქვეყნისაგან რგებასაა" მიჩვეული და არა "ქვეყნისთვის რგებას." ერთი შეხედვით, კლასიკოსები თითქოს თაროზე შემოვდეთ და მივივიწყეთ. მათ სახელებს გაუცნობიერებლად და გაუაზრებლად, თითქმის ფორმალური და ცრუ პათოსით მხოლოდ "მორალის დამცველთა" ან განათლების სისტემის რეფორმის მოწინააღმდეგეთა ლექსიკონშიღა თუ შევხვდებით. არადა, მათი რესურსები ამოუწურავია, ამ რესურსებს "გააქტიურება" სჭირდება მხოლოდ.

ყოველ შემთხვევაში, შაბათ საღამოს **ვაკის "თეატრალურ სარდაფში"** პრემიერაზე მისულთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ვაჟა-ფშაველას "გველის მჭამელი" ზედმეტად ბუტაფორიულად გამოჩნდებოდა დღევანდელ თეატრალურ სივრცეში, მეორენი კი, ალბათ, წინასწარ ბრაზობდნენ რეჟისორზე - "როგორ გაბედა და ხელი მოკიდა..."

ფაქტი კი ერთია: დღეს, ორშაბათს, თეატრალურ წრეში უკვე იციან, რომ ჭოლას (**ლევან წულაძეს**) სპექტაკლი გამოუვიდა, და ვინც მისი ნახვა პრემიერის დღეს ვერ მოახერხა, აუცილებლად უნდა ნახოს **ვაჟა-ფშაველას "გველის მჭამელი."**

მაინც როგორ "გაბედა და ხელი მოკიდა" რეჟისორმა ლევან წულაძემ ამ მითოსურ-კოსმოპოლიტურ ამბავს? როგორ და, აიღო და ლიბრეტოში მოქმედება მთის ნაცვლად, პირდაპირ მეტროპოლიტენის ბაქანზე გადმოიტანა? დამერწმუნეთ, მეტროს ხმები, ქაოსი კლასიკურ კოსტიუმებში ჩაცმული "მასოვკა" და თანაც ვაჟას ლექსიკა - ალბათ, ეს ის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა თუ ხერხია, რომელიც 21-ე საუკუნის სპეციფიკური მაყურებლისათვის შესაძლებელს ხდის, რომ "გააააქტიუროს" კლასიკოსი და არ დარჩეს ის უმოქმედოდ ჩვენი წიგნის თაროზე.

ვაჟო გესელიას ფოტოები

"მეშინოდა ეთნოგრაფიულ მასალას არ დამსგავსებოდა ეს ყველაფერი. ორი წელი ვფიქრობდი ფორმაზე. წავიკითხე ძალიან ბევრი მითოსიდან თუ ღმერთების პანთეონზე. ბოლოს მივხვდი, რომ ყველაზე მეტად პლასტიკა დამეხმარებოდა." - მიხსნის რეჟისორი.

"როცა ჭოლამ შემომთავაზა სპექტაკლზე მუშაობა და თანაც გამაფრთხილა, რომ ძირითადი დატვირთვა პლასტიკას უნდა ჰქონდესო, ჩემთვის ეს უკვე საინტერესო იყო. სიმბოლოები უკვე მეტყველი გახდა. სიტყვამ მეორე პლანზე გადაიწია და პირველი ადგილი პლასტიკამ დაიკავა. ქორეოგრაფია ერთდროულად ბახის მუსიკაზე, ქართულ არქაულ და ფრანგულ მელოდიებზე აიგო." - ამბობს **ქორეოგრაფი გია მარღანია.**

სპექტაკლის მუსიკალური გამფორმებელი **ზურა გაგლოშვილი** კი მიხსნის, როგორ მიიღო მეტროს ხმების, უძველესი ქართული მელოდიისა და ფრანგული გარმონის ფანგებისაგან საინტერესო ნაზავი.

თუ თეატრალური სარდაფის ფორმატზე ვისაუბრებთ, შეიძლება ითქვას, "გველის მჭამელმა" ამ თეატრისათვის დამახასიათებელი მსახიობის თეატრი რეჟისორის თეატრით შეცვალა. ანუ რეჟისურამ დაიმორჩილა და გაანეიტრალა მსახიობთა თამაში. **დუტა სხირტლაძეც** კი, ამ შემთხვევაში, ერიდება თავის საყვარელ იმპროვიზირებას და ზუსტად და მკაცრად, მაგრამ ძლიერ ემოციურად თამაშობს, როგორც ამას **მინდიას პერსონაჟი**, მთა და ვაჟა-ფშაველა მოითხოვს.

ვაჟასეული სიმკაცრე, სისადავე იგძნობა სცენოგრაფიაშიც **(მხატვარი შოთა გლურჯიძე).** ამავე მიზეზით, შესაძლოა, რეჟისორმა დემონსტრაციულად არ მოინდომა ყურადღება "თეატრალური სარდაფის" ცნობილ სახეებზე გადაეტანა (გამონაკლისი დუტა სხირტლაძე აღმოჩნდა) და სპექტაკლზე სარდაფის ექსპერიმენტული "მსახიობთა სახელოსნოს" მსახიობები დააკავა, რომლებიც პროფესიონალური სიზუსტით ასრულებენ რეჟისორის დირექტივებს, უფრო სწორად კი, ქორეოგრაფიის ენით ემორჩილებიან ვაჟა-ფშაველას. მაგრამ მაინც აღვნიშნავ და გამოვყოფ მზიასა და მინდიას დუეტს **(ლელა მებურიშვილი და დუტა სხირტლაძე)** და ჩალხიასა და ბერდიას საინტერესო ტიპაჟებს. (**დავით ხურცილავა, მერაბ ბრეკაშვილი**)

ბისზე მსახიობები ბევრჯერ გამოიძახეს. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს. როგორც ჩანს, ექსპერიმენტმა გაამართლა. კლასიკა ამოქმედდა.

ქართული სტანდარტია, გვაპატიეთ

თავისუფლების ორი დღე გვირაბში

ვერა ნეფარიძე

"არაფერი ახალი და განსაკუთრებული - ყველაფერი ისე იქნება, როგორც იყო ხოლმე წინა ფესტივალებზე", - ლადო ბურდულს არ სჩვევია მოტყუება მიტყუების მიზნით. კავკასიის საერთაშორისო როკფესტივალის ორგანიზატორები საზოგადოებას რიგით მეცხრე ღონისძიებაზე ჰპირდებოდნენ იმას, რაც ყოველთვის უხვად იყო: თავისუფლება, ცოცხალი მუსიკა, ემოცია, სივრცე ურთიერთობისთვის...

"მონიტორში ვოკალი იმენნა, არ არის. თუ იქნება, კარგი იქნება"; "ეხლა გეტყვი, მიშა, რაც მჭირდება; ჯერ დავუკრათ ვაბშე"; "მიშა, სცენაზე მომეცი ბარაბანი"; "ესე იგი, ერთადერთი პრობლემაა - ვოკალზე რევერი აუწიეთ და ჩვენ მოვრჩით, რა", - თბილისური როკფესტივალები და კონცერტები, მათი საერთაშორისო სტატუსის მიუხედავად, მსგავსი ფრაზების გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია. 15-20 წუთიანი გამოსვლის წინ ნახევარსაათიანი "ზვუკის დაყენება" იმ დროს, როდესაც, წესით, კონცერტი უნდა იწყებოდეს, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია; ამიტომ, დროზე მისული მსმენელი კონცერტის ნაცვლად ხვდება პირდაპირ "საუნდ ჩეკზე", თუმცა ამას არავინ აპროტესტებს; ეს ქართული სტანდარტია, როგორც აღნიშნა გუშინდელი კონცერტის ერთ-ერთმა გამომსვლელმა.

რამდენად ქართულია, არ ვიცი, მაგრამ ისიც სტანდარტია, რომ კონცერტზე მისულები გარეთ უფრო მეტნი არიან, ვიდრე შიგნით; მთლად უფულოებსაც ვერ დაარქმევ - არის კატეგორია, რომელსაც ურჩევნია, ორი ბოთლი არაყი იყიდოს, დალიოს და დაელოდოს, როდის გააღებენ კარს "უბილეთოებისთვის". ახალია ამ ბილეთების ფასი - 20 ლარი, თუმცა კი, კავკასიის მეცხრე საერთაშორისო ფესტივალზე შეღავათი (50 პროცენტიანი ფასდაკლება) სტუდბილეთიანებისა და მანდილოსნებისთვის მოქმედებდა.

ორი დღის განმავლობაში ბოტანიკური ბაღის გვირაბთან შეკრებილი საზოგადოების რაოდენობის მიხედვით თუ განვსაზღვრავთ, "გვირაბმა" გაამართლა. ვისაც უნდა გაეგო, იცის, რომ ამიერიდან აქ, დასაწყისისთვის კვირაში ერთხელ მაინც, შეუძლია მივიდეს მეგობრებთან ერთად, თუნდაც მარტო, აქ ხომ სიმარტოვე ნამდვილად არ შეაწუხებს და იგემოს ის, რაც ალტერნატიულია. "გვირაბში" იკრიბებიან ისინი, ვინც არ აწყობენ საკუთარი კლიპების გრანდიოზულ (რაც თანამედროვე გაგებით, გულისხმობს დიპლომატიური კორპუსისა და პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა დასწრებას) პრეზენტაციებს, არ ეპატიჟებიან (გამონაკლისები სად არ ხდება) შერეულ კონცერტებზე, რომელსაც სახალხო ზეიმების დროს მართავენ და, რაც მთავარია, არასდროს მღერიან ფონოგრამაზე (რევოლუციამ, ჯერჯერობით, ამ მხრივ, ჩვენთვის ვერაფერი შეცვალა - ფონოგრამა კვლავაც მისაღები ფორმაა). "გვირაბში" ყველაფერი ცოცხალი და სპონტანურია (შეიძლება, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ზედმეტადაც). მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ არსებობდა ამ ფესტივალის ორივე დღის პროგრამა, ის არავისთვის ყოფილა აუცილებლად შესასრულებელი. ანუ, თუ შაბათს ვინმე მივიდა, სიტყვაზე, "იანგ ჯორჯიან ლოლიტასის" მოსასმენად, გული დაწყდებოდა - ბიჭები იმ დღეს არ გამოსულან სცენაზე. მაგრამ, ფესტივალის ხიბლი ბევრისთვის ამაშიც იყო. სამაგიეროდ, "გვირაბში" ორი დღის განმავლობაში მოგვარებული იყო დაცვის მუშაობა. აქ მოსახვედრად თითოეული მსურველი გადიოდა ორ "ბლოკპოსტს", სადაც საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ, ხელზე ბეჭედს უსვამდნენ, ხოლო გამონაკლისები (ბევრი არ იყო, მაგრამ მაინც) კონცერტების ორგანიზატორების უშუალო ჩარევის შემდეგ დაიშვებოდა. ამგვარად, გვირაბში შემსვლელთ საშიშროება არ ემუქრებოდათ (ორი დღის განმავლობაში ექსცესები აქ არც მომხდარა).

"გვირაბში" კავკასიის მეცხრე საერთაშორისო როკფესტივალი დასრულდა.

ვაჟო გესელიას ფოტოები

"გვირაბის" სტუმარს მხედველობიდან ვერანაირად გამორჩებოდა "გალუაზის" სარეკლამო აბრები - სწორედ ამ ფირმის მხარდაჭერის წყალობით გაიხსნა გვირაბში კლუბი; სპონსორები ფესტივალსაც ჰყავდა - შვეიცარიის საელჩო, "ყაზბეგი", სასტუმრო "სიმპათია", კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, - სხვაგვარად ორდღიანი როკ-კონცერტი ვერ გაიმართებოდა. "ყველაზე კარგი მაინც ისაა, რომ არსებობს ეს სივრცე, ამიტომ მომწონს ეს ადამიანი, ვინც ეს შექმნა; რამდენი რამ გაკეთდა, რომ ჩემნაირი ადამიანები მოვიდნენ აქ და ემოცია გადმოსცენ ისევ და ისევ თქვენთვის", - ჯგუფ "ტელესკოპის" ვოკალისტის ამ განწყობას ორი დღის განმავლობაში თითქმის ყველა იზიარებდა. რამდენად გულწრფელად, ეს უახლოეს მომავალშიც გამოჩნდება. "გვირაბი" 9 ნოემბერს ანტიფაშიზმსა და ანტისემიტიზმს მორიგ აქციას მიუძღვნის.

მოსაზრება

საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ზურაბ ჟვანიას, კულტურის, განათლებისა და სპორტის მინისტრს ბ-ნ გიორგი გაბაშვილს, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ ვაჟა აზარაშვილს, ქართველ ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ თენგიზ უთმელიძეს, საქართველოს სახალხო არტისტს ბ-ნ ნოდარ ანდღულაძეს

ბარათი

ბატონო პრეზიდენტო!
ქალბატონებო და ბატონებო!
მკითხველო!

არა მგონია, ვინმესთვის სადავო იყოს, რომ ჩვენი ერის და საზოგადოების მუსიკალური ცხოვრების ცენტრი, ანუ გული და სული - ესაა მისი ოპერისა და ბალეტის დიდი მუსიკალური თეატრი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს.

მაგრამ წინამდებარე ბარათის ავტორს მიაჩნია, რომ დროა, დავფიქრდეთ ამ თეატრის ტრადიციული ნომინაციის სრულყოფაზეც (და სხვა რამეზეც).

1. არავისთვის არაა საეჭვო, რომ ზაქარია ფალიაშვილი არის უდიდესი ქართველი კომპოზიტორი, ქართული საოპერო ხელოვნების დამაარსებელი და დამფუძნებელი, მაგრამ ვინაიდან თეატრის ნომინაცია შეიცავს "ბალეტსაც", ლოგიკურია მოვიგონოთ ისიც, რომ მუსიკალური ხელოვნების ამ ჟანრის დამაარსებელი და დამფუძნებელი ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში გახლავთ დიდი ვახტანგ ჭაბუკიანი, მსოფლიოს საბალეტო ხელოვნების უდიდესი ვარსკვლავი და უბადლო ოსტატი. ცნებაში "საბალეტო", რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ მის მეტოქედ "სუხიშვილების ბალეტს". ამდენად ლოგიკურად მიმაჩნია საზოგადოებისა და ხელისუფლების წინაშე წამოვჭრა საკითხი, რათა ზემოთ ნახსენები ტრადიციული ნომინაცია შეივსოს ასე: ზაქარია ფალიაშვილის და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი!

2. თეატრის ბაღში დიდებული სკულპტურა დგას, რომელიც დიდმა მერაბ ბერძენიშვილმა დიდ ზარიას, კომპოზიტორსა და დიდ პატრიოტ-მოქალაქეს მიუძღვნა, მაგრამ ლოგიკურია, თეატრის არემარე დაამშვენოს დიდი მოცეკვავისა და ულამაზესი ხელოვანის ვახტანგ ჭაბუკიანის სკულპტურამაც, რომლის ადგილმდებარეობის იდეასაც (ესკიზის სახით) გთავაზობთ მე (კინოხელოვანი ქართული კინემატოგრაფის ყველა ჟანრში) და ახალგაზრდა მხატვარი და დიზაინერი ბაია სიხარულიძე.

3. ის, რომ ჭაბუკიანის გამოჩენა მსოფლიო ბალეტის ცაზე კანონზომიერი ეროვნული მოვლენა იყო, უცილობლად დასტურდება ჭაბუკიანის მემკვიდრე სამი დიდი ვარსკვლავით, წარმომავლობით ქართველით - ირმა ნიორაძე, ნიკა ცისკარიძე, ნინო ანანიაშვილი. მაგრამ ნინოს დაბრუნება სამშობლოში, ისევე როგორც ჭაბუკიანის ერთ დროს, იქნება ჭაბუკიანის ეროვნული იდეების გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ქართული ბალეტი ამ სამი ვარსკვლავის მონაწილეობით და შესრულებით, სხვანაირად სამივე დარჩება რუსული ბალეტის ვარსკვლავებად. მე არ ვიცი, რა უდევს გულში ნინოს, ამ დიდებულ მოღვაწეს, მაგრამ ჩემს წვლილს ამ საქმეში, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შემოვიტანდი.

4. ჩემი პირადი მაუდის ქვეშ დიდი ხანია დევს ორი სიუჟეტი ანუ ორი ლიბრეტო ქართული ბალეტისა, რომელშიც შერწყმულია ისტორია და თანამედროვეობა. მე დიდი ხანია ვიცი, ვინ დაწერს მუსიკას, ვინ იცეკვებს და ვინ დადგამს პარტიებს და ისიც კი - ვინ იდირიჟორებს. მაგრამ ამ ეტაპზე მთავარია, ამ დიდებულ შენობასთან დაიდგას დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის სკულპტურა და მისი სახელი შევიდეს თეატრის ნომინაციაში.

ლერი სიხარულიძე
რესპ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი (კარიკატურისტი), პუბლიცისტი, პოლიტიკური მრწამსით მონარქისტი, არაერთი კინოჯილდოს თუ პრიზის მფლობელი, მსოფლიოს ახალგაზრდობის მე-6 ფესტივალის (1957 წ.) კონკურსის ლაურეატი ხალხური ცეკვის დარგში.

P.S. რა თქმა უნდა, მე მშვენივრად ვიცი, ვის "მივანდობდი" ამ სკულპტურის შექმნას, მაგრამ გადახტომამდე "ჰოპ"-ისაგან, რა თქმა უნდა, თავს ვიკავებ.

რეჟისორი წესების გარეშე

გთავაზობთ ცნობილი გერმანელი რეჟისორის ფოლკერ შლენდორფის წერილს თავისი კოლეგის რაინერ ფასბინდერის შესახებ.

ფოლკერ შლენდორფი

მიჭირს ფასბინდერზე წერა. იგი ყოველთვის ჩემი "კონკურენტი" იყო, - ფიზიკურადაც. მე თავშეკავებულად ვჭამ და ვსვამ, ნარკოტიკებს არ ვეტანები. ამ ტექსტის დაწერამდე შეუპოვრად ვიბრძოდი, რომ 4 ათასი მეტრი გამერბინა. ამაზე მეტი სხვაობა რა უნდა იყოს ჩვენ შორის!?

1969 წლის ივნისში, რაინერთან ერთად, დაზღვევის გასაფორმებლად ექიმთან მივედით. მე სპორტსმენის გული აღმომაჩნდა, რაინერს კი კატეგორიულად აეკრძალა თავისებური ცხოვრების რიტმი. არადა, თითქოს, იმ წუთიდან იწყებდა ყველაფერს. სულ რაღაც 24 წლის, სოლიდური აღნაგობის. ვარჯიშის მეშვეობით, მას შეეძლო ადვილად გაეკონტროლებინა სუსტი გული, ნიკოტინის სტრესის ქვეშ მყოფი ფილტვები და მოდუნებული კუნთები. ვცდილობდი, ეს ყველაფერი მისთვის დამეჯერებინა, მაგრამ რაინერი თავის ფიზიკურ მდგომარეობას იაზრებდა როგორც იმის ფაქტს, რომ დრო გარბის. სხეულის დეგრადაციას იგი იღებდა როგორც ჯილდოს, რომელიც გენიოსმა უნდა ატაროს. საკუთარ შესაძლებლობებში უსაზღვროდ დარწმუნებული თავს რჩეულთაგანს უწოდებდა.

"ანტითეატრთან" (ასე ერქვა ფასბინდერის დასს, სადაც მსახიობებთან ერთად, ქუჩიდან მოყვანილი ახალგაზრდებიც მოღვაწეობდნენ) ზიარების პირველივე წუთებში მოხიბლული დავრჩი. ეს იყო ანსამბლი, რომელიც განსხვავებულად თამაშობდა, და რაც ძალიან გავდა სცენაზე გათამაშებულ კინოს. იმავე ღამით რაინერმა კინოთეატრ Thierschsstrasse-ში, წარმოდგენის შემდეგ, პირველი ფილმი გვიჩვენა - "სიყვარული სიკვდილზე უფრო ცივია". რეჟისურის გარდა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა "ანტითეატრის" ჯგუფი, - როგორ საუბრობდნენ, რას ამბობდნენ?!

მიუნხენში ხუთი წელი ვცხოვრობდი, სად არ ვყოფილვარ, მაგრამ არასოდეს შევხვედრივარ ასეთ ხალხს. ვინ იყვნენ ისინი? ბოჰემური არტისტები, პატარა ბურჟუები, კრიმინალები, თუ მუშათა კლასი? საიდან მოვიდნენ? რამდენი არიან? იქნებ თვითონ რაინერმა გამოიგონა ისინი?!

1969 წელს რაინერს Baal-ში ვიღებდი. ამ პერიოდში მან "კატცელმახერის" სცენარის დაწერა და რეპეტიციებიც დაიწყო. ღამ-ღამობით, აბაზანაში მოკალათებული, ბრეხტის ვრცელ ტექსტებს იმახსოვრებდა. დილით ადრე, ხშირად მზის ამოსვლისთანავე, უკვე გადასაღებ მოედანზე იყო. ეს არ გახლდათ ადვილი. ტრანსში გეგონებოდათ, მაგრამ არც წინადადებები ავიწყდებოდა და არც ტექსტი ერეოდა.

ყველაფერში წარმატებული, არასოდეს შეყოვნებული. საჭმელად თუ დაჯდებოდა მალევე დგებოდა, დროს არ კარგავდა. მას არა მარტო ბევრი ისტორია ჰქონდა მოსაყოლი, არამედ სწრაფვა - გაესწრო ყველა იმ რეჟისორისთვის, ვინც კი აქამდე ყოფილა.

პროექტებით თავს არ იწყენდა. იღებდა შეუსვენებლად, ამ მხრივ, ნამდვილი nonstop იყო. წინა ფილმის სისუსტეს იგი მეორეში ძლევდა. თუმცა, ეს ფინანსურადაც აუცილებელი იყო, რადგან მაშინდელი კინოწარმოება "გუნდაობის" მეთოდით მუშაობდა - მიმდინარე ფილმში სამომავლო პროექტის თანხას იხდიდნენ.

რევოლუციური დღეებიდან მოყოლებული, როგორც გამონაკლისი, რაინერი კანონებზე მაღლა იდგა. ირგვლივ მყოფთა მიმართებაშიც კი დაუნდობელი იყო. საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა, იქნებ იმიტომ, რომ ჯგუფი, რომელთანაც მუშაობდა და ფაქტობრივად, ცხოვრობდა კიდეც, ბანალური და უფერული ცხოვრებიდან სწორედ მას ჰყავდა გამოყვანილი. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამია მაგრამ... ფაქტია, " ანტითეატრს" ჯილდოდ აღიარება ერგო.

მე მაინც არ მასვენებს კითხვა, თუ როგორ შეუძლია ადამიანს საკუთარ თავში ამხელა რწმენა იპოვნოს. რწმენა შესაძლებლობებში და სურვილებში, გამარჯვების ძალაში. აღიარების ამბიცია ნებისმიერ სიტუაციაში. ეს შესაძლებელია?

რაინერი იმთავითვე მომავლის ადამიანად იყო აღიარებული. ფედერალური რესპუბლიკის თითქმის ყველა ჯილდო მინიჭებული ჰქონდა, რომ არაფერი ვთქვა სახალხო წარმატებაზე. " შენ ამჟამად წარუმატებელი ხარ, არ იდარდო, ყველაფერი იცვლება" - დამამშვიდა ერთხელ რაინერმა.

მომდევნო წლების განმავლობაში ჩვენ არაერთხელ განვიცადეთ აღზევებაც და დაცემაც. დაჯილდოებების ცერემონიების გარდა, ჩვენ უკვე იშვიათად ვხვდებოდით.

ათი წლის შემდეგ ფილმმა "გერმანია შემოდგომაზე", კვლავ შეგვახვედრა ერთმანეთს.

ფასბინდერი კუდში დევნას გამუდმებით გრძნობდა, რაც მის ფილმშიც აისახა. მაშინ, ცოტა არ იყოს, ეს ყველაფერი აპოლიტიკური და ექსცენტრიული მეჩვენა. მოგვიანებით კი გავაცნობიერე, რომ როდესაც ათი წლის მანძილზე გერმანული კანონის ზღვარზე ცხოვრობ, უფრო მეტი იცი კუდში დევნისა და ანტისოციალისტური ქმედებების შესახებ. მე ეს არ ვიცოდი.

ჩვენი გზები ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, რაღა თქმა უნდა, გაიყო. სათქმელიც უკვე ძალიან ცოტა გვქონდა ერთმანეთისთვის.

რაინერი სტუდიაში მოვინახულე, "ლილი მარლენისა" და "ბერლინ ალექსანდერპლატცის" გადაღებაზე. შევამჩნიე, რომ მთვარეულის ინტუიციით იღებდა გადაწყვეტილებებს. ვუყურებდი ნამდვილ პროფესიონალს, რომელიც მთელი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არანაირ წესს და რეჟიმს არ დამორჩილებია. მე სულ ვორჭოფობდი.

შედეგად მივიღეთ ფასბინდერის 45 ფილმი, უამრავი დადგმა, პიესა და სცენარი. როლები თავისივე ფილმებში, სადაც პერიოდულად ოპერატორადაც გვევლინებოდა. ძილი სულ რაღაც ორ საათს გულისხმობდა. წარმატებას წარმატება ენაცვლებოდა. არადა, რაინერი 36 წლის გარდაიცვალა (ნარკოტიკებზე ჭარბად მიღებული ალკოჰოლის შედეგად).

ძმური გაგებით, ლუდი მივირთვით. მე ვჭამე, მან მოწია, სულ ეს იყო.

ვინ და რამ შეაცვლევინა გადაწყვეტილება სტალინს

ირმა გულიაშვილი

სტალინის პიროვნების შესახებ საქართველოში ხალხის აზრი, შეიძლება ითქვას, სამად არის გაყოფილი. პირველნი მის მიმართ სიყვარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავენ, მეორენი უამრავი ადამიანის გაწირვისა და ქართველობის კომპლექსის გამო, სიძულვილით იხსენებენ. მესამენი კი ბელადის გენიალობას, შორსმჭვრეტელობას აღიარებენ, მაგრამ კატეგორიულად არ სურთ ამ ფენომენის განმეორება დედამიწაზე.

"ჩემს სამარეს ნაგავს მიაყრიან, მაგრამ არა უშავს, მოვა დღე და ამ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს", - ეს იოსებ სტალინის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებია.

ვინ იყო ეს ადამიანი? რამდენად გაფანტა ისტორიის ქარმა მის საფლავზე მიყრილი ნაგავი? როგორ დაიწერება მატიანეს ფურცლები? იქნებ ისტორიის ქარს ჯერ საკმარისად არ უქროლია?

"ხეს ცული რას დააკლებდა, თავის გვარი რომ არ ერიოს"

ანდრე კარბელაშვილის ნაამბობზე დაყრდნობით, სტალინის პიროვნების ლაბირინთებში შეღწევას შევეცდები. ამ მიზნით, უადგილო არ იქნება, ბატონი ანდრეს ბაბუის ძმის, სტალინის მასწავლებლის, შემდგომში ბოდბისა და ალავერდის ეპისკოპოსის წერილი გავაცნო მკითხველს.

ღრმად განათლებული და მნიშვნელოვანი სასულიერო მოღვაწე, ბელადის მასწავლებელი ვასილ კარბელაშვილი 1894-1899 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობდა. ამ სემინარიის მოწაფე გახლდათ იოსებ ჯუღაშვილი. თავის მიერ ჩამოყალიბებულ გუნდში ვასილი, ბერობაში სტეფანე, მომავალ ბელადს გალობას ასწავლიდა, ალბათ, აქ დაახლოვდნენ მოწაფე და მასწავლებელი. 1923 წლის 2 მაისს, წმინდა ნინოს ეკლესიაში მსახურების დროს, მან წერილი მისწერა ყოფილ მოწაფეს, საკავშირო კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს:

"დიდად პატივცემულო (ბატონო) სოსო! გაგიკვირდება ძველის მასწავლებლის მოგონება და ასეთი გრძელი წერილი, რომელმაც უნდა მოგვაგონოს რაც იყო, ჩაგაფიქროს რაც არის და გაგათვალისწინებინოს რაც იქნება! მოიგონე, სულ ბოლოს რომ შეგხვდი "არცუნისეულში" ქარვასლის აივანში სემინარიიდან რომ გახვედი და მგონი დარწმუნდი, რომ მე მართალი ვიყავ და ვარ, ვგონებ რომ მომავალშიც.

ეს გითხარი და გეტყვი: "ვაი იმ ხალხს, რომელიც ისტორიას ანგარიშს არ უწევს", განათლებას და შეგნებას გაურბის და ქრისტეს მოძღვრებასაც ანგარიშს არ უწევს. ყველაზე უკეთესი გადატრიალება და ნაყოფიერი მოხდა ინგლისში 1850 წელს ქრისტიანი სოციალისტების (5 და 15 კაცი) მეოხებით, იმიტომ, რომ რელიგიურ მოთხოვნებს ანგარიში გაუწიეს და ამით შეაჩერეს ნაძირალების აღზევება. 1848 წელს კი საფრანგეთმა თუ წააგო რევოლუცია, იმიტომ, რომ სწორედ ეს ელემენტი აკლდა და ანგარიში არ გაუწია. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, დაფუძნებული ურყევ დასკვნებზე და ცხოვრებას სკოლა აქვს და იმასაც ანგარიშის გაწევა უნდა. ეხლა დავიწყოთ ჩვენს უბედურებაზე, რომ ჩინგიზ ხანის და ოსმალ-შაჰ ნადირების ბარბაროსობა სანატრელი გაუხდეს ქართველებს.

სამეგრელოში ზარის ხმა არ ისმის, დაკეტეს ეკლესიები, მღვდლებს ჰკრეჭენ, ხელ-ფეხ შეკრულებს აპატიმრებენ. დასდევენ მღვდლებს დასაჭერად. ძალად იჭერენ. ვინც გაუსხლტათ, იმათ დასდევენ დასაჭერად და ათასნაირი უსამართლო ჭორი ვრცელდება ხალხში. ნუთუ ამისთანა ამბები სასარგებლო და ხელსაყრელია თვით მთავრობისათვის? სამთავრისს, სვეტიცხოველს და სხვა დიდ ტაძრებს უპირებენ თეატრად გადაქცევას. აღდგომა ღამეს ბევრგან ძალით დაუკეტეს და ლიტანია მოუსპეს. დიდ ძალმომრეობას ხმარობენ ეკლესიებზე, მღვდლებზე ხალხის ნების წინააღმდეგ, რაც ხალხში დიდ ჩუმ უკმაყოფილებას იწვევს და ხალხში ბოროტება ვრცელდება. ზოგიერთ ადგილებში მორწმუნე ერმა მიმართა იარაღს ასეთი ძალადობისთვის ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე, როგორც სოფელ მუხრანში და ბევრ სხვაგან.

ბევრი რამ არის მოსაწერი, მაგრამ აღშფოთებული მდგომარეობა ნებას არ მაძლევს, რომ დაწვრილებით მოვწერო ყველაფერი, რითაც მეშინის შენი ყურადღება და ისეც დატვირთული აუარებელი საქმეებით არ გადაგღალო.

სოსო! როგორი რწმენისაც გინდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ, საქართველოს მიწამ გამოგზარდა და სამშობლოსა და ერის სიყვარულს ვერარა დასშრეტს შენს გულში! კიდევ გთხოვ, რომ ეკლესიების და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ღმობიერება გამოიჩინონ.

რას აძლევთ ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სიწმინდეს, სიფაქიზეს და უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შეეძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე? ნუთუ მარტო მაგისთვის იბრძვი, რომ სომხები, ურიები, ოსები და ვინ გინდა, არ წამოასვათ კისერზედ ქართველ ხალხს? საზღვრები ჩაჭრეს საქართველოს ყველა მხრიდან და აღარ იციან, როგორ შეავიწროვონ ტერიტორია. იქნებ გწყინს, ჩემო სოსო?..

ბევრის მხახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს, იმედია, რომ აღარ განმეორდება და ანუგეშებ შენს მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც ბევრად შესტკივა შენზედ გული.

პასუხს ველი.

1923, 2 მაისი, თბილისი.

■ ■ ■

მივიდა თუ არა მასწავლებლის წერილი ყოფილ მოწაფემდე, უცნობია. ფაქტია, რომ გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალასთან 1924 წლის სექტემბერში დახვრიტეს ვასილის ძმები - ანდრე კარბელაშვილის ბაბუა, დეკანოზი ანდრე და მღვდელი პეტრე კარბელაშვილი.

ძმები კარბელაშვილები. მარცხნიდან მეორე - ვასილი

სტალინის რეჟიმი, ეკლესიების შევიწროება, მღვდლების მასობრივი გადასახლება რუსეთში, ქართული კულტურის ძელგების განადგურება და ეთნიკურ ჯგუფებში შუღლის ჩამოგდება საქართველოში 1941 წლამდე კვლავ გრძელდებოდა. 1941 წლიდან კი შეწყდა ეკლესია-მონასტრების შევიწროება, სასულიერო პირების დევნა; საბჭოთა ტერიტორიებზე და კერძოდ საქართველოში სტალინის დამოკიდებულება მართლმადიდებლური ეკლესიისადმი შეიცვალა.

რას უნდა მივაწეროთ მისი ასეთი შემობრუნება? როგორც ვიცით, ამ კონკრეტულ წელს მოსკოვი რთულ სიტუაციაში იყო ჩავარდნილი. ხსნის გზა არსაიდან ჩანდა, გერმანელები დედაქალაქს უტევდნენ.

"სად წაიყვან სადაურსა"

1972 წლის 23 მაისს მოსკოვში გაიმართა რადიოტექნიკის, ელექტროტექნიკის და კავშირგაბმულობის სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმთან არსებული ისტორიული კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა კავშირგაბმულობის კრების თავმჯდომარე მარშალი ივანე პერესიპკინი. ბატონი ანდრეც ესწრებოდა, რომელმაც კავშირგაბმულობის ისტორიაზე წაიკითხა მოხსენება. სხდომის დამთავრების შემდეგ მარშალმა მას რამდენიმე საინტერესო ამბავი მოუთხრო სტალინთან და საქართველოსთან დაკავშირებით. პერესიპკინის სტალინის დავალებით, საქართველო კავშირგაბმულობის შესამოწმებლად ომის დაწყებამდე მოენახულებინა. მას ბელადი და მისი სამშობლო ძალიან ჰყვარებია.

მე მოსკოვს არ დავტოვებ!..

ანდრე კარბელაშვილი: - ივანე პერესიპკინმა მიამბო იმ რთულ მდგომარეობაზე, რომელიც მოსკოვში 1941 წლის ოქტომბერში შეიქმნა.

1941 წლის ოქტომბერში, ვინაიდან ჰიტლერის ჯარები ძალზე ახლოს იყვნენ ქალაქთან, მოსკოვს დიდი საფრთხე ემუქრებოდა. რუსეთის არმიის სარდლებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ შეიძლებოდა სტალინს მოსკოვი დაეტოვებინა. ამისათვის საჭირო იყო უმაღლესი მთავარსარდლის სარეზერვო კავშირგაბმულობის კვანძის მოსკოვთან ახლოს, აღმოსავლეთით, ან შორეულ ქალაქში მოწყობა. აქვე უნდა ყოფილიყო ტელეფონი და რადიო, რათა სტალინს ფრონტის სარდლებთან საიმედო კავშირის დამყარება შეძლებოდა. ვინ მოახსენებდა შექმნილ მდგომარეობას დიდ ბელადს? ამის მოქმედს ლიკვიდაცია ან თანამდებობის დაკარგვა ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც სამხედრო პირს, პერესიპკინს ეს უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც. სტალინს ყურადღებით მოუსმენია მისთვის და გადაწყვეტილება მიუღია: - დიახ, ასეთ მდგომარეობაში ბრძოლის გასაგრძელებად საჭიროა სარეზერვო კვანძის შექმნა, - უპასუხია მას. შემდეგ მაგიდაზე გადაშლილ რუკაზე ისეთ ადგილზე დაუდევს თითი, ივანე პერესიპკინს შიშისგან გული გახეთქვია, რადგანაც იმ მონაკვეთზე რკინიგზა და კავშირგაბმულობის მაგისტრალები ახლოსაც კი არ ყოფილა, კვანძების მოწყობას პერესიპკინი სტალინს ათ დღეში დაჰპირდა. ოპერაციის დასრულებისთანავე, გენერალური შტაბის ოპერატიულ ჯგუფთან ერთად, მარშალ შაპოშნიკოვს კავშირგაბმულობის ყველა საშუალება გულმოდგინედ შეუმოწმებია. მას მაშინვე დაურეკავს მთავარსარდლისთვის, რათა გაეგო მისი ჩამოსვლის დრო და ეცნობებინა დავალების სრულყოფილად შესრულება. შაპოშნიკოვის კითხვაზე, როდის დატოვებდა მოსკოვს, სტალინს უპასუხია - არასოდეს... მე მოსკოვს არ დავტოვებ. ბელადს მათთვის მოსკოვში დაუყოვნებლივ დაბრუნება უბრძანებია. მოსკოვის ცაში მიმდინარე საჰერო ბრძოლების გამო, მათ თვითმფრინავს დიდი საფრთხე ემუქრებოდა. შეიძლებოდა პერესიპკინის და შაპოშნიკოვის კადრები ბრძოლაში მოხვედრილიყვნენ...

"შემთხვევით ფანჯარაში გავიხედე და ავიაგამანადგურებელი დავინახე. ეს შაპოშნიკოვს ვუთხარი. ცოტა ხანში გვაცნობეს, რომ სტალინის ბრძანებით, ჩვენს დასაცავად თვთიმფრინავს მეორე მხრიდანაც ამოუდგა ავიაგამანადგურებელი. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ამბავი", - უთქვამს ივანე პერესიპკინს, შემდგომში სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს.

სტალინს ღმერთის სჯეროდა და კარგად ესმოდა წმინდა სასწაულის ძალა

როდესაც რუსეთის არმია გახრწნილი იყო, გერმანელების შეჩერების თითქმის არავითარი გზა არ არსებობდა და სტალინი მოსკოვის დატოვებას აპირებდა. მოსკოვის მიტროპოლიტი ილია შორეულ ლიბანში, უკაცრიელ გამოქვაბულში ძილისა და საკვების გარეშე ლოცულობდა თავის სამშობლოსთვის. ლოცვის მესამე დღეს მას ღვთისმშობელი გამოცხადებია. წმინდა ქალწულს უთქვამს მისთვის: თუ მთავრობა არ გააღებს ღვთის სახლებს, არ დააბრუნებს გადასახლებულ მღვდლებს და დიაკვნებს, არ შეწყვეტს მართლმადიდებლური ეკლესიის შევნებულ დევნას, რუსეთი დაიღუპებაო. რუსეთის ხელისუფლებას ილია წითელი ჯვრის არხებით დაუკავშირდა.

გენერალსიმუსი ხომ სასულიერო სემინარიის მოწაფე გახლდათ. იქნებ, დიდი მოამაგის, თავის მასწავლებლის თხოვნა გაახსენდა. კარგი იქნებოდა, რომ მოძღვრის სწავლების წინააღმდეგი არასდროს წასულიყო. იგი განდგომილი იყო ღმერთისგან, თორემ მისი არსებობა ყოველთვის სჯეროდა და კარგად იცოდა წმინდა სასწაულის ძალა. ამიტომ სტალინი არც დაფიქრებულა. მისი ნებით მოხდა ეკლესიების გახსნა, წმინდა ნაწილების და ხატების გამოსვენება. ხალხს ლოცვის საშუალება მიეცა. ომის დაწყების შემდეგ სულ 20 ათას ტაძარზე მეტი გაიხსნა.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატი გამოიტანეს ვლადიმირის ტაძრიდან და შემოატარეს მთელ ფრონტს. მხოლოდ ხატთან ლოცვის შემდეგ განხორციელდა გადამწყვეტი ბრძოლა. მოსკოვისათვის ბრძოლის წინ საბჭოთა ჯარებმა პირველად მიიღეს დალოცვა. ერთ-ერთ გენერალ-ლეიტენანტს ცინიკურადაც კი უკითხავს: - Что, теперь за нас попы будут воевать? ჰიტლერიც გაოცებულა ფრონტის ხაზზე მღვდელმსახურების ხილვით.

ღვთისკენ შემობრუნების შემდეგ, მტერს ორ დღეში დაუხევია უკან. ჰიტლერის განზრახვა, მოკლე ხანში აეღო მოსკოვი, ვერ განხორციელდა.

უახლესი ისტორიიდან ცნობილია, რომ 1943 წლის 28 ოქტომბერს სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი საქართველოში ჩამოვიდა. ერთობლივი წირვის შემდეგ, მან ამცნო ქართველ ხალხს რუსეთის მიერ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.

ფეხბურთი

გია გეგუჩაძე: "ყველაფერში დამნაშავე მე ვარ"

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამოს" მძიმე დღეები უდგას. მოსალოდნელიც იყო, რომ გუნდს დაღმასვლა დაეწყებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გეგუჩაძის გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე სხვა კლუბებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი სეზონისწინა მოსამზადებელი შეკრებები გაიარა, ასეთი ჩავარდნა მაინც სავარაუდო იყო. როგორც კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა მცირე ხნის წინ აღნიშნა, გუნდი მოუმზადებელი შეხვდა ისეთ დიდ წარმატებას, როგორიცაა უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა. მართლაც, "დინამომ" ამ შედეგით თავის თავს და დასახულ მიზნებს საგრძნობლად გაუსწრო. სამწუხაროდ, გუნდი არც ფსიქოლოგიურად, არც ფიზიკური კონდიციებით, არც სათადარიგოთა სკამის თვალსაზრისით არ აღმოჩნდა მზად ასეთი წარმატებისთვის და ამის უარყოფით შედეგებს იმკის.

ყველაფრის მიუხედავად, "დინამო" არ არის ის გუნდი, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი მატჩიდან სამში დამარცხდეს. წლეულს რამდენიმე წამყვან ფეხბურთელთან განშორების მიუხედავად, დაკომპლექტების თვალსაზრისით, "დინამო" აშკარად აღემატება ყველა სხვა ქართულ გუნდს. თუმცა, ეს პრინციპულ მეტოქესთან და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან, ქუთაისის "ტორპედოსთან" დაპირისპირებაში ქულის მოსაპოვებლადაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

დინამო - ტორპედო 1:2 (1:1)

დინამო: *მამალაძე, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, შაშიაშვილი (კვირკველია, 55`), კანდელაკი, კანკავა, ნემსაძე, ალადაშვილი (გონჩაროვი, 81`), კაშია, კაკალაძე (ახალაია, 63`), დვალი.*
მწვრთნელი: *გია გეგუჩაძე.*
ტორპედო: *სტურუა, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, მერებაშვილი (ადუაშვილი, 90`), თოდუა, მემარნიშვილი, ბაბუნაშვილი, კოშკაძე (მუმლაძე, 74`), ნერგაძე, ბოლქვაძე, მეგრელაძე.*
მწვრთნელი: *ოთარ გაბელია*
გოლები: *0:1 ბოლქვაძე (9`), 1:1 დვალი (17`), 1:2 მუმლაძე (77`).*
გაფრთხილება: კაშია, კანკავა.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში "დინამომ", პრაქტიკულად, უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. მეორე ტაიმიდან თამაშში ჩაერთვნენ ტრავმამოშუშებული კვირკველია და გონჩაროვი, მაგრამ "დინამოს" ვერც მათ უშველეს. უნდა ითქვას, რომ გეგუჩაძის გუნდს ცდა და მონდომება არ დაუკლია, სახიფათო მომენტებიც შექმნა, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ ერთხელ შეძლო. დვალის მიერ მე-17 წუთზე გატანილი გოლი მხოლოდ ანგარიშის გამთანაბრებელი გამოდგა. ათიოდე წუთით ადრე კი სტუმრები ბოლქვაძემ დააწინაურა. "დინამოს" თამაშში შებორკილობა იგრძნობოდა, რაც, ალბათ, არავისთვის არ იყო მოულოდნელი. სულ მალე "დინამოს" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის. გუნდი დღეს დილით, 10 საათსა და 30 წუთზე, ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" თბილისი-ლონდონი-ნიუკასლის რეისით გეზს აიღებს ნისლიანი ალბიონისკენ, სადაც 4 ნოემბერს "ნიუკასლ იუნაიტედს" ეთამაშება. როგორც ჩანს, დინამოელებმა სწორედ ეს ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ გადალახეს და "ტორპედოსთან" მატჩში "ნიუკასლზე" ფიქრობდნენ. შესაბამისად, შეხვედრის მიწურულს, შეცვლაზე შემოსული მუმლაძისგან დამაშამათებელი გოლი მიიღეს და მორიგი მარცხი განიცადეს.

კვირკველია "დინამოს" კი დაუბრუნდა, თუმცა ვერაფრით დაეხმარა.

გია გეგუჩაძე: "არ მინდა, ვინმემ თქვას, რომ ბიჭებმა არ ითამაშეს და ინერტულობის გამო დათმეს ეს მატჩი. ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, თავი არ დაზოგეს, მაგრამ არ გაგვიმართლა და დავმარცხდით. თუ მედიას უნდა, რომ ეს წაგება ვინმეს დააბრალოს, ვიტყვი, რომ მე დავმარცხდი. გუნდი გადაიღალა ფიზიკურად და, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად. სამწუხაროა, რომ ნიუკასლში კარგი განწყობით ვერ მივემგზავრებით. ყველანაირად ვეცდებით, ეს მარცხი სწრაფად დავივიწყოთ და ინგლისში ქართველ გულშემატკივრებს ღირსეული თამაში ვუჩვენოთ."

ოთარ გაბელია: "ჩვენ ყაბულს ვიქნებოდით, თბილისის "დინამოსთან" ფრედ გვეთამაშა და ქულა მოგვეპოვებინა. თუმცა, არც გუშინ, მატჩისწინა პრესკონფერენციაზე დამიმალავს, რომ თბილისში მოსაგებად ჩამოვედით. სხვა შემთხვევაში, თუ გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან მოგებაზე არ ფიქრობს, ასეთი გუნდის არსებობა აზრს კარგავს. არ მინდა, ჩემი ფეხბურთელების გარჯა და მონდომება დავაკნინო. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გაემარჯვათ და ასეც მოხდა. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ იღბალიც აშკარად ჩვენ მხარეს იყო. "დინამოს" ვუსურვებ წარმატებას ნიუკასლთან მატჩში."

მე-13 ტურის შედეგები

დინამო (ბთ) - ვიტ ჯორჯია	1:1
დილა - თბილისი	2:2
დინამო (თბ) - ტორპედო	1:2
სიონი - ლოკომოტივი	1:1
კოლხეთი - ზესტაფონი	2:0

სატურნირო მდგომარეობა

ტორპედო	13	7	5	1	19-7	26
დინამო (თბ)	13	8	2	3	28-16	26
თბილისი	13	7	3	3	28-15	24
დინამო (ბთ)	13	6	4	3	19-9	22
ვიტ ჯორჯია	13	6	3	4	24-18	21
ლოკომოტივი	13	5	6	2	18-8	21
სიონი	13	3	2	8	12-28	11
კოლხეთი	13	3	2	8	10-22	11
ზესტაფონი	13	3	1	9	9-30	10
დილა	13	2	2	9	10-24	8

ფორმულა 1

კულჰარდი საჭის ძიებაშია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე, "ინტერლაგუშზე" ჩატარებული რბოლის შემდეგ სეზონის დამთავრების აღსანიშნავი წვეულება მოეწყო. უფრო სწორად, ორი წვეულება - ერთი შოტლანდიელი დევიდ კულჰარდისა, რომელიც წერტილს უსვამდა "მაკლარენ-მერსედესთან" გატარებულ წლებს და ფორმულა 1-დან იძულებით წასვლას, მეორე - "ფერარის" ბრაზილიელი მრბოლის რუბენს ბარიკელოსი. ისიც ვთქვით, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა ორივეგან მოილხინაო - ჯერ თანაგუნდელთან, მერე კი "მაკლარენ-მერსედესის" ბანაკში, კულჰარდთან.

რამდენიმე წლის წინათ კი... ვინ იფიქრებდა, რომ შოტლანდიელი მრბოლი უგუნდოდ დარჩებოდა. მართალია, კულჰარდი ფარხმალს არ ყრის და გაისად "BMW-უილიამსში" მოკალათებაზე ოცნებობს, მაგრამ რა გამოვა აქედან, ჯერ ძნელი სათქმელია. თუმცა, როგორც ირკვევა, უილიამსელებთან წარუმატებლობის შემთხვევაში შოტლანდიელს სათადარიგო ვარიანტიც ჰქონია შეგულებული. ამბობენ, შესაძლოა, ამ ვარიანტმა "ფერარის" ტესტ-პილოტობამდე მიგვიყვანოსო!

"იქნებ მიხაელ შუმახერმა სიტყვა შემაწიოს", - გერმანულ ჟურნალ "auto, motor und sport"-თან საუბრისას კულჰარდი "ფერარიში" გადაბარგების ალბათობაზე მიანიშნებს.

სხვათა შორის, მესამე ვარიანტიც არსებობს -"მაკლარენ-მერსედესში" მესამე პილოტისა.

"15 ნოემბრის შემდეგ გაირკვევა, გაისად მესამე ბოლიდიც გვეყოლება თუ არა, - აცხადებს რონ დენისი. - თუ ასეთ ნაბიჯს გადავდგამთ, ყველა შესაძლო კანდიდატურას განვიხილავთ".

ერთი სიტყვით, შოტლანდიელის თავს არცთუ სახარბიელო ვითარებაა. თუ კულჰარდს არსად არ გაუმართლა, მაშინ გამოდის, რომ "ბრაზილიის დიდი პრიზი" მისთვის კარიერის ბოლო რბოლა ყოფილა.

ახლა თემას გადავუხვიოთ და ფეხბურთისადმი კულჰარდის დამოკიდებულებაზეც ვთქვათ. თურმე დევიდი ბავშვობაში თამაშობდა კიდეც, მაგრამ ფეხბურთის დიდი ფანი მაინც ვერ გამხდარა.

"ფეხბურთზე ცოტა რამ ვიცი, - ვითარებაში გვარკვევს შოტლანდიელი. არა, ფეხბურთი არ მომწონს-მეთქი, ამას არ ვამბობ. მით უმეტეს, რომ სკოლაში ვთამაშობდი კიდეც. როდესაც 11 წლის გავხდი, საკუთარი თავი ავტორბოლებს მივუძღვენი. როდესაც ასეთ ადრეულ ასაკში რაღაცას მიუძღვნი თავს, იგი ავტომატურად შენი ცხოვრების მისწრაფება, მიზანი ხდება".

ასე იყო თუ ისე, შოტლანდიელმა ფეხბურთს ავტორბოლა ამჯობინა და ამაში საკუთარ ოჯახს ემადლიერება: "გამიმართლა, რომ სწორედ იმ ოჯახში დავიბადე... ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მშობლები მსოფლიოში საუკეთესოები არიან, მაგრამ ისინი ყოველთვის პრინციპულები იყვნენ. კარიერის გაკეთებაში ყოველთვის მხარს მიჭერდნენ. ყოველთვის ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა გარკვეული მიზნის მისაღწევად...

ფორმულა 1-ში გატარებულ წლებში ბევრ ფეხბურთელთან მომიხდა შეხვედრა. შეძლებისდაგვარად ფეხბურთს ტელევიზორით ვუყურებ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ძალიან ცნობილი ფეხბურთელის სახელი ვიცი.

დიდობაში, როცა კი ფეხბურთი მითამაშია, მეორე დღეს ისეთი შეგრძნება მქონია, თითქოს ჩემთვის ავტობუსს გადაევლოს. მართალია, ჩემი სამუშაო ძლიერ ფიზიკურ ფორმას მოითხოვს, მაგრამ ფეხბურთისთვის სხვა კუნთების გავარჯიშებაა საჭირო".

ფეხბურთთან დაკავშირებით იმასაც ვიტყვით, რომ წლეულს კულჰარდი ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიისა და შვედეთის მატჩს დასწრებია.



TV-სპორტი

ორშაბათი. 1 ნოემბერი

НТВ+ФУТБОЛ
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: უორლდ ბი ფრი
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1988. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი.
"LOS ANGELES LAKERS" - "UTAH JAZZ". მე-5 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "კიევო"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "სარაგოსა" - "სევილია"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ოსერი" - პსჟ
18:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
18:45 სახვალიო ტელეპროგრამა
18:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:50 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "ნორვიჩი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:55 00:55-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
03:30 NBA TV. სეზონი 2002-2003. "LOS ANGELES LAKERS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"

НТВ+СПОРТ
10:00, 13:00, 16:15, 18:45 პრესცენტრი
10:20, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:40 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
11:10 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. "St. Petersburg Open". ფინალი
13:35 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ლუქსემბურგში. ფინალი
15:10 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო თასი შვედეთში. ნახევარფინალი
16:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:15 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE CANADA". წყვილები. საჩვენებელი პროგრამა
19:00 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE CANADA". ქალები. საჩვენებელი პროგრამა
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "ჰოკეი-პლუს"
21:25 "დიდი რინგი"
23:25 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
00:00 ახალი ამბები
00:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:55 "ჰოკეი-პლუს"
01:10 01:10-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK JETS" - "MIAMI DOLPHINS". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში
11:00 მოტორბოლები. ესპანეთის დიდი პრიზი
12:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. ფინალი
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს მაჯისცემა
15:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში
16:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი ინგლისში
17:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
18:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:00 მულტისპორტი
21:30 სუმო - ტურნირი (ბაშო)
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი - ევროგოლები
01:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი
02:45 რალი. მსოფლიო თასი კატალონიაში
03:15 ახალი ამბები

რაგბი

ბორჯღალოსნებმა სამხრეთში წაიბორძიკეს

ჰაატა თოთაძე

ურუგვაელთა შეჩერება ქართველებმა ვერც მსოფლიო თასზე მოახერხეს და ვერც ახლა.

წარუმატებლად დაიწყო ბორჯღალოსანთა სამხრეთამერიკული ტურნე - საკონტინენტთაშორისო თასის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები მასპინძელთან, ურუგვაის ნაკრებთან დამარცხდა 7:17.

სამშობლოდან 27 ოქტომბერს წასული საქართველოს ნაკრები ურუგვაიში 28 ოქტომბერს ჩავიდა და, ბუნებრივია, მორაგბეებმა აკლიმატიზაციის გავლა ვერ მოასწრეს. ამის მიუხედავად, მოედანზე დიდი ბრძოლა გაიმართა. მატჩის დასაწყისში მასპინძლებმა ორი ლელო გაგვიტანეს. ეს მე-3 და 26-ე წუთებზე მოხდა. პირველად იგნასიო სროსამ დაგვალელოვა, მეორედ კი - ხუაკინ პასტორემ. გარდასახვა ორჯერვე ზუსტად შეასრულა აგუსტინ კასტილიომ და მასპინძლები 14:0 დაწინაურდნენ. ბორჯღალოსნებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება ტაიმის მიწურულს მოახერხეს - ლელო დავით ბოლღაშვილის ანგარიშზეა. თანაგუნდელს შრომა დაუფასა მალხაზ ურჯუკაშვილმა, რომელმაც ზუსტად გარდასახა ლელო და ტაიმიც 14:7 დამთავრდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქართველი მორაგბეები არაერთ ელემენტარულ შეცდომას უშვებდნენ, რის გამოც პირველ ტაიმში დაისაჯნენ კიდეც. როგორც ყოველთვის, ჩვენი მორკინალები მძლავრობდნენ, თუმცა, ეს უპირატესობა ანგარიშში არ ასახულა. ამის მიზეზი იყვნენ როგორც თავად მორაგბეები, ისე მსაჯიც. როგორც ქართველებმა აღნიშნეს, ასეთი საშინელი მსაჯობა კარგა ხანია აღარ გვინახავსო. "მიკერძოება გაგვიგია, მაგრამ ასეთი?.." - თქვეს მოთამაშეებმა. - "ლელოს დადების რამდენიმე შანსი გვქონდა, მაგრამ, როგორც კი რამე ღირებულს გავაკეთებდით, მსაჯი თამაშს კლავდა. ასე იყო თუ ისე, დავმარცხდით, მაგრამ ეს არაფერი, მთავარი ბრძოლები წინ გვაქვს და გაცილებით მნიშვნელოვანია, ისინი მოვიგოთ. თანაც, სამხრეთ ამერიკაში ჩვენი გუნდი ხომ ლეგიონერთა გარეშეა". მეორე მატჩში პორტუგალიამ ჩილე დაამარცხა 28:9.

ტურნირის მეორე ტურში საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება ჩილეს ნაკრები, ურუგვაი კი პორტუგალიას დაუპირისპირდება.

მოკლედ

კოული დანაშაულს არ აღიარებს

ლონდონის "არსენალის" მცველი ეშლი კოული უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს მან "არსენალისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩის შემდეგ წვნიანი შეასხა "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს.

"მართალია, წაგების გამო ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ მსგავსი სისულელე ფერგიუსონის მიმართ არ ჩამიდენია, რადგან პატივს ვცემ საკუთარ თავსაც და "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელსაც," - განაცხადა ფეხბურთელმა.

მუტუ "ჩელსის" გადაწყვეტილებამ გააოგნა

მოგეხსენებათ, ლონდონის "ჩელსის" რუმინელ თავდამსხმელთან ადრიან მუტუსთან დაკავშირებული სკანდალის ბოლო აკორდი კლუბიდან მისი გაძევება იყო. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელი კომენტარებისგან თავს იკავებდა, მაგრამ გუშინ ინგლისელ ჟურნალისტებს თავისი გულისტკივილი გაანდო: "ჩელსის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ ჩემი კარიერა დაანგრია. ფეხბურთის სამყაროდან უნდა წავიდე, რადგან იქ აღარაფერი მესაქმება. განადგურებული ვარ. ვიცოდი, რომ დისკვალიფიკაციის პერიოდში ფულს არ გადამიხდიდნენ, მაგრამ თუ კონტრაქტს დახევდნენ, ამას აღარ მოველოდი," - განაცხადა ადრიან მუტუმ.

სხვათა შორის, იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომელთაც რუმინელი ფეხბურთელის დაცვა და მისი, როგორც ფეხბურთელის შენარჩუნება გადაწყვიტეს, ერთ-ერთი "არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერია. დისკვალიფიკაციის შემდეგ ის ფორვარდს "არსენალში" თამაშს სთავაზობს: "ადრიან მუტუს სრული უფლება აქვს, ყველაფერი ნულიდან დაიწყოს. მე მას შანსს მივცემ," - განაცხადა ვენგერმა.

რობინსონს მოცეკვავემ ცოლი დააკარგვინა

ხანდახან ფეხბურთელთა პირადი ცხოვრება ისეთივე წარმატებული არ არის, როგორც მათი საფეხბურთო კარიერა. მთავარი სიძნელე, პირველ რიგში, ისეთი მეუღლის პოვნაა, რომელიც ოჯახურ საქმეებსც გაუძღვება, ბავშვებსაც მოუვლის და სპორტსმენი მეუღლის ხანგრძლივად შორს ყოფნასაც შეეგუება. თუ ფეხბურთელმა ასეთი ადამიანი იპოვა და იგი ცხოვრების მეგზურად გაიხადა, მათი კავშირი მტკიცე და ხანგრძლივია ხოლმე, თუმცა...

ხუთი თვის წინათ "ტოტენჰემისა" და ინგლისის ეროვნული ნაკრების მეკარე პოლ რობინსონი დაქორწინდა 25 წლის რებეკაზე, რომელსაც რამდენიმე წელი იცნობდა. ამიტომ მათი ქორწინება სიურპრიზი არავისთვის ყოფილა.

ცნობილი მეკარისა და მისი მუღლის ოჯახური იდილია მხოლოდ ცამეტ დღეს გაგრძელდა. ორი კვირის თავზე ფეხბურთელი მეუღლეს გამოუტყდა, რომ მას ცეკვის მასწავლებელ ჯოან კილმინსტერთან უღალატა. როგორც ჩანს, გულუბრყვილო ფეხბურთელს იმედი ჰქონდა, მეუღლე მოეხვეოდა და ეტყოდა: "არაფერია, საყვარელო, ასეთი რამ ყველას ემართებაო". მაგრამ სულ ტყუილად - ქალმა ჩემოდანს ხელი დაავლო და მშობლებთან დაბრუნდა.

დღეს მათ საქმეს უკვე მოსამართლე განიხილავს და ქორწინებასაც მალე დაესმება წერტილი.

ფოგტსი - ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს იურგენ კლინსმანს სურს, გერმანელი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი სამშობლოში დაბრუნდეს და ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში.

ამჟამად ფოგტსი შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს წვრთნის, თუმცა, შესაძლოა, ცუდი შედეგების გამო, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, თანამდებობა დაკარგოს.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

ჭადრაკი

ქართველი კაცები ესპანეთში ჩაიკარგნენ

ქალებმა კი წინა ოლიმპიადის შედეგი გაიმეორეს

ჰაატა თოთაძე

ზურაბ აზმაიფარაშვილს და საქართველოს ნაკრებს ესპანეთში კარგი დღე არ დაადგათ.

საჭადრაკო ოლიმპიადის დაწყებამდე გაკეთებული პროგნოზი არ გამართლდა - ვერც ვაჟები და ვერც ქალები საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ. საამისო შანსი კი ბოლო ტურის წინ ქალებს ჰქონდათ. სამეულში მოხვედრის შანსი ქართველებმა, ფაქტობრივად, ბოლოსწინა ტურში, რუსეთთან მარცხით დაკარგეს. ბოლო ტურში მოსალოდნელი იყო, რომ რუსები ფრანგებს დაამარცხებდნენ. თუ ქართველები მშრალზე დაამარცხებდნენ უკრაინელებს, ხოლო რუსები ორ ქულაზე მეტს ვერ მოაგროვებდნენ, მესამეზე ჩვენ გავდიოდით. რუსებმა, მართლაც, ვერ მოაგროვეს ორ ქულაზე მეტი (2:1 მოიგეს), მაგრამ ქართველებმა ვერ მოიგეს მშრალზე (2,5:0,5). ორივე გუნდმა თანაბარი ქულები (27,5-27,5) დააგროვა, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით ბრინჯაოს მედლები რუსეთის ნაკრებს ერგო. ქართველებმა წინა ოლიმპიადის შედეგი გაიმეორეს, თუმცა, მაშინ ჩვენები პირველ ადგილზე იყვნენ და ბოლო სამ ტურში დაკარგეს ჩემპიონობა, ახლა კი პირიქით მოხდა - ბოლო ტურებამდე ათეულს მიღმა ვიყავით. პირველობა, როგორც ადრევე იყო ცნობილი, ჩინეთის ნაკრებს ერგო. ჩინელებმა ისე დაიწყეს ტურნირი, რომ ბოლოს ორმა მარცხმაც კი ვერაფერი ავნო მათ, მეორე ადგილზე ამერიკელები გავიდნენ.

ცუდ დღეში ჩავარდნენ ვაჟები, მეტადრე - ზურაბ აზმაიფარაშვილი. გარდა იმისა, რომ ჩვენმა გუნდმა ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა (21-ე ადგილი), ზურაბ აზმაიფარაშვილი ესპანელმა სამართალდამცველებმა დაიჭირეს (ამაზე უფრო დაწვრილებით ჩვენი გაზეთის სხვა გვერდებზე წაიკითხავთ).

ესპანეთში გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა: რეალური შანსი გვაქვს იმისა, რომ წინა ოლიმპიადის შედეგი გავაუმჯობესოთ, ანუ მესამე ადგილზე გავიდეთო. ამისთვის სწორი ტაქტიკის შერჩევაა საჭიროო, - ესეც ითქვა. მეათე ტურის შემდეგ ქართველი მოჭადრაკეები მე-19 ადგილზე იყვნენ, სამი ტურის შემდეგ კი (ბოლო ტურის წინ) - მეცხრეზე და მესამე ადგილთან სხვაობა მხოლოდ ორი ქულა იყო. ბოლო ტურში ჩვენი მეტოქე სწორედ მესამეზე მყოფი სომხეთის ნაკრები იყო. ეს გუნდი მსოფლიოს საუკეთესო გუნდების რიცხვში შედის, მაგრამ რუსეთის მომგები და უკრაინასთან დაზავებული გუნდი, ვფიქრობთ, სომხებთან დიდი ანგარიშით არ უნდა აგებდეს. წინა ოლიმპიადაზეც მესამე ადგილი სომხეთის ნაკრებმა წაგვართვა, არადა, მანამდე მათზე უკეთ ვთამაშობდით. ახლაც ქართველები 3,5:0,5 დამარცხდნენ მეტოქესთან და მეცხრედან ერთბაშად 21-ე ადგილზე აღმოჩნდნენ.

როგორც ამბობენ, ქართველები სწორედ ტაქტიკის შერჩევისას შეცდნენ და ასეთი შედეგიც ამიტომ აჩვენესო. მეცხრე ტურში ფრანგებთან მარცხის შემდეგ ქართველები მეათე ტურში უნგრელებს დაუზავდნენ, მერე ბელორუსები დაამარცხეს 3:1, შემდეგ კი რუსები - 2,5:1,5. ასეთი თამაშის შემდეგ უკრაინასთან უბრძოლველად დაზავება არასწორი იყოო, - თქვეს სპეციალისტებმა. ეთამაშათ, თუ რუსეთთან მოგება შეიძლებოდა, ალბათ, უკრაინის დამარცხებაც შესაძლებელი იყოო. გარდა ამისა, შესაძლო იყო, ბოლო ტურში სომხეთთან დაპირისპირებასაც ავცდენოდით. ამასთან, სომხებთან თამაშზე უარი თქვა გუნდის ლიდერმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რამაც დანარჩენებზე, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად ცუდად იმოქმედა.

ერთადერთ ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ბაადურ ჯობავამ მეოთხე დაფაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა - 10 პარტიაში 8,5 ქულა დააგროვა, მცირე ოქროს მედალი მოიპოვა და რეიტინგით გაუსწრო ისეთ მოთამაშეებს, როგორიც არიან ვიშვანათან ანანდი, ვასილი ივანჩუკი, პეტრ სვიდლერი, რაფაელ ვაგანიანი და მაიკლ ადამსი.

კალათბურთი

"დინამო" ხორვატებს იწუნებს

ჰაატა თოთაძე

"დინამოს" სათამაშო ტაქტიკას დრაჟენ ბრაიკოვიჩის ნაცვლად ამიერიდან ზურაბ ტომარაძე შეარჩევს.

გასული სეზონის მიწურულს დაწყებული ცვლილებები ქართულ საკლუბო კალათბურთში გუშინ დაწყებული ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დასრულდა. დასრულდა თბილისის "დინამოდან" ხორვატი მწვრთნელის დრაჟენ ბრაიკოვიჩის წასვლით (თუ გათავისუფლებით). შეეხება თუ არა ცვლილებები ეროვნულ გუნდს, რამდენიმე დღეში გაირკვევა.

პრობლემები ბათუმის "ბასკოს" ჯერ კიდევ გასული სეზონის მიწურულს დაეწყო. საბოლოოდ ამ პრობლემებმა გუნდის დაშლა გამოიწვია. სამაგიეროდ, საქართველოს ჩემპიონატს ორი ახალი გუნდი შეემატა - თბილავიამშენი (რომელშიც ისეთმა კალათბურთელებმა მოიყარეს თავი და ისეთი მწვრთნელი ჰყავთ, რომ უსათუოდ პირველობისთვის იბრძოლებს) და თელავის გუნდი. და მაინც, სეზონთშორისი მთავარი მოვლენა "დინამოდან" ბრაიკოვიჩის წასვლაა.

"დრაჟენ ბრაიკოვიჩმა გადაწყვიტა, ხორვატიაში გააგრძელოს კარიერა. იყო საკითხები, რომელზეც ჩვენ და ბრაიკოვიჩს ერთი აზრი გვქონდა, ჩვენ, ორივე ვთვლიდით, რომ ამ ეტაპზე გუნდში მისი ყოფნა მიზანშეუწონელი იყო", - განაცხადა "დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა კახა ნუცუბიძემ. ეს მიზანშეუწონლობა იმით გამოიხატება, რომ "დინამომ" შემადგენლობა გადაახალისა. გუნდში, ძირითადად, ახალგაზრდა კალათბურთელები მოვიდნენ. ჰოდა, მიზანშეუწონელიც ეს არის - მაღალანაზღაურებადი მწვრთნელის მუშაობა მათთანო. თავის დროზე საფეხბურთო გუნდმა "დინამომაც" ამ მიზეზით გაათავისუფლა ხორვატი ივო შუშაკი. და ეს იმ დროს, როცა "დინამო" ათამაშდა. აქ კითხვა სხვაგვარად ისმის: თუ ბრაიკოვიჩი მაღალი დონის სპეციალისტია, მაშინ რატომ იყო მიზანშეუწონელი მისი მუშაობა? რა არის ცუდი იმაში, რომ ახალგაზრდას გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ავარჯიშებს? განა მისგან უფრო მეტს და, რაც მთავარია, კარგს არ ისწავლიან? თუ საქმე ბრაიკოვიჩის კვალიფიკაციას ეხება, მაშინ ესეც უნდა ითქვას, რადგან საქმე ეროვნულ გუნდსაც ეხება. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სამი მატჩის შემდეგ არაერთგვაროვანი მოსაზრებები ისმოდა მწვრთნელის მისამართით. ზოგიერთის აზრით, სამი მატჩი უნდა მოგვეგო, სტუმრად მაკედონიელები დაგვემარცხებინა და შინ - ფინელები, დიდი ანგარიშით. თუ ასე არ მოხდებოდა, დამნაშავედ მწვრთნელს დაასახელებდნენ - მაღალი კვალიფიკაციის არ არის და ნაკრებიც ამიტომ ვერ თამაშობსო. სხვები, პირიქით, მისი მაღალი კვალიფიკაციის დასტურად ასახელებდნენ საქართველოს ნაკრების გამარჯვებას ფინეთთან - შესვენებაზე ჩინებულად გაარჩია პირველი ნახევარი, ყველას ზუსტად აუხსნა, მეორე ნახევარში რა როგორ ეკეთებინათ და ამიტომაც მოვიგეთო.

ხორვატ სპეციალისტს შეცვლის ზურაბ ტომარაძე, რომელიც აქამდე მეორე მწვრთნელად მუშაობდა, მის ძველ ფუნქციას კი დავით უსტიაშვილი შეითავსებს. კალათბურთის ფედერაციაში ჯერჯერობით არაფერს ამბობენ ნაკრებიდან ბრაიკოვიჩის წასვლა-არწასვლის შესახებ. მისი წასვლის შემდეგ (თუ ასე მოხდა) გუნდს, სულ მცირე, მისი კვალიფიკაციის მწვრთნელი დასჭირდება.

დაპირებული "ოქტომბრის სიურპრიზი" ბინ ლადენის მიმართვა აღმოჩნდა

ალ-ქაიდას საერთაშორისო ტერორისტული ქსელის ლიდერი უსამა ბინ ლადენი ტელეეკრანებზე კვლავ გამოჩნდა. აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ყატარის ტელეარხმა Al-Jazeera-მ ბინ ლადენის მიერ ამერიკელების მისამართით გაკეთებული მიმართვის ვიდეოჩანაწერი გადასცა. მრავალი პოლიტიკური მიმომხილველი მიიჩნევს, რომ ეს ჯორჯ ბუშს აძლევს ხელს და არჩევნებში მისი გამარჯვების შანსებს ზრდის.

მათი აზრით, "ნომერ პირველი ტერორისტის" ტელეეთერით გამოსვლა, შესაძლოა, იმის რეალურ დადასტურებად იქცეს, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის გაგრძელება აუცილებელია. როგორც აღნიშნავენ, ბუშმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია სწორედ ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლაზე ააწყო.

უნდა ითქვას, რომ ექსპერტები გადაჭრით არ ამტკიცებენ, რომ ბინ ლადენის მიმართვა არჩევნების საბოლოო შედეგს არსებითად შეცვლის. თუმცა, ისინი აღნიშნავენ, რომ თითოეული ხმისათვის ბრძოლის პირობებში, რამდენიმე ამომრჩევლის მიერ გადაწყვეტილების შეცვლამაც კი შეიძლება არჩევნების ბედი გადაწყვიტოს.

ზოგიერთი დამკვირვებელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ალ-ქაიდას ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელევიზიით განგებ გამოვიდა. ცალკეული ექსპერტების აზრით, ბინ ლადენს ხელს აძლევს, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩეს ბუში, რომელიც მუსულმანური სამყაროში მეტად არაპოპულარული ფიგურაა. გარდა ამისა, ერაყი ტერორისტულ ორგანიზაციებში ახალი "კადრების" გადმობირებისათვის საკმაოდ კარგ ინსტრუმენტად იქცა, რაც ასევე ბინ ლადენის ინტერესებშია.

დასავლური გაზეთები მიიჩნევენ, რომ ბინ ლადენის მიმართვა, პირველ რიგში, ჯორჯ ბუშისთვის იქნება ხელსაყრელი, ხოლო ჯონ კერისათვის ეს გარკვეულ "ნოკ-აუტს" წარმოადგენს. ბრიტანული Daily Telegraph-ის აზრით, ალ-ქაიდას ლიდერის გამოსვლას 2 ნოემბრის არჩევნებამდე ტელეეთერით რამდენიმე დღის მანძილზე "დაატრიალებენ", რათა ამერიკელ ამომრჩევლებს კიდევ ერთხელ შეახსენონ - საჭიროა ქვეყნის უსაფრთხოების სადავეების საკუთარ ხელში აღება.

გაზეთში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს იყო ის "ოქტომბრის სიურპრიზი", რომელიც, როგორც წესი, საარჩევნო კამპანიის ბოლო დღეებში ჩნდება ხოლმე. სავარაუდოდ, ის უფრო სასიამოვნო თეთრი სახლის ამჟამინდელი მესვეურისათვის აღმოჩნდება, რომელსაც ამერიკელები ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში უფრო მეტად ენდობიან, ვიდრე მის დემოკრატ ოპონენტს.

ბინ ლადენი Al-Jazeera-ს ეთერში

რაც შეეხება ჯონ კერის, ის ჯორჯ ბუშს კვლავ ადანაშაულებს იმაში, რომ ბინ ლადენი ჯერ კიდევ არ არის შეპყრობილი. სენატორმა არაერთგზის განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ის საერთაშორისო ტერორისტების ლიდერს და მის მხარდამჭერებს დაუყოვნებლივ "მიაგნებს და გაანადგურებს".

ამერიკის ხელისუფლებამ უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ ვიდეოჩანაწერი ნამდვილია. სპეციალისტების აზრით, ის დიდი ხნის წინ არის ჩაწერილი. ამჟამად აშშ-ს დაზვერვა შეისწავლის ჩანაწერს და მის გააანალიზებას ცდილობს.

და მაინც, რა იყო ბინ ლადენის მიმართვაში? როგორც გაირკვა, ვიდეოკასეტა ტელეკომპანია Al-Jazeera-ს ისლამაბადის ბიუროს შენობის შესასვლელთან დატოვეს, რის შემდეგაც ის ტელეარხმა გადასცა.

ბინ ლადენი ამერიკელებს არწმუნებს, რომ მათი პრეზიდენტი უბრალო მოქალაქეებს მთელი ამ წლების მანძილზე ატყუებდა. "11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ უკვე მეოთხე წელი დაიწყო, მაგრამ ჯორჯ ბუში კვლავ გატყუებთ თქვენ და სიმართლეს გიმალავთ. სწორედ ამის გამო, არსებობს მიზეზები, რომ მომხდარი კიდევ ერთხელ განმეორდეს," - განაცხადა ბინ ლადენმა.

ალ-ქაიდას ლიდერმა ამერიკა კორუმპირებულ არაბულ ქვეყნებს შეადარა, სადაც ხელისუფლების გადაცემა მემკვიდრეობით ხდება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უფროსმა ჯორჯ ბუშმა ჯერ შვილების შტატის გუბერნატორებად გახდომას, შემდეგ კი ჯორჯ ბუში-უმცროსის გაპრეზიდენტებას შეუწყო ხელი.

ბინ ლადენის თქმით, ის უბედურება, რაც ამერიკელებს დაატყდათ თავს, მათივე პრეზიდენტის ბრალია. "ტერაქტები ნაკლებად სერიოზული იქნებოდა, თუ ბუში მეტ ყურადღებას გამოიჩენდა," - განაცხადა ალ-ქაიდას ლიდერმა. მან ასევე დაამატა, რომ ამერიკელების უსაფრთხოება არა ბუშის ან კერის, არამედ თავად ამერიკელი მოქალაქეების ხელშია.

უნდა აღინიშნოს, რომ პარასკევს აშშ-ს ხელისუფლებამ ყატარის მთავრობას მოუწოდა, არ გადაეცათ ვიდეოჩანაწერი, თუმცა ამ უკანასკნელებმა კეთილი ნების გამოხატვა არ ისურვეს. ვიდეოკასეტა, ბინ ლადენის მიმართვის ჩანაწერით, რამდენიმე ხნით ადრე ამერიკელების ხელშიც მოხვდა, ვიდრე მას ყატარის ტელევიზია ეთერში გაუშვებდა. აშშ-ს ადმინისტრაციის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, ყატარის მთავრობის ამგვარი ნაბიჯი კიდევ უფრო გააუარესებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს, რადგან ისინი "სიძულვილისა და ძალადობის პროპაგანდას" ეწევიან.

მოხტუნავე კერი და არაკომუნიკაბელური ბუში

ალ გვერდიდან

1920 წლიდან, ეს პირველი ათწლეულია, როდესაც რესპუბლიკელები, ფედერალური და ლოკალური პოლიტიკის თვალსაზრისით, დემოკრატებზე მეტი თუ არა, არანაკლები სიძლიერით წარმოჩნდებიან. ამ პერიოდში, რესპუბლიკელებს მეტი არჩევნები აქვთ მოგებული, მაგრამ აქამდე არ ყოფილან უმრავლესობის პარტია. დემოკრატები დღეს ძალიან მობილიზებულები არიან. ვინაიდან კონგრესში უჩვეულო უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მათთვის ფედერალურ დონეზე ძალაუფლების მოპოვების ერთადერთი საშუალება საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებაა.

ამის მიუხედავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რაც ამ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დემოკრატებმა ჩაიდინეს - საომარი ოპერაციების მიმდინარეობის დროს, მათ ეჭვქვეშ დააყენეს ომის მიზანშეწონილობის საკითხი. თავისი ისტორიის განმავლობაში შეერთებულ შტატებს მრავალი, მათ შორის არაპოპულარული ომიც უწარმორბია. ხანდახან, პარტიების შორის არსებობდა უთანხმოება ომის აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ მხოლოდ ომის დაიწყებამდე (მაგ.: I მსოფლიო ომის წინ) და არა დაწყების შემდეგ. საომარ მოქმედებათა ტაქტიკაც, ხშირად გადაქცეულა საარჩევნო დაპირისპირებათა საკამათო თემად. მაგრამ, ოპოზიციურ პარტიას არასოდროს უცდია ომში ჩაბმის აუცილებლობის საკითხი განსჯის საგნად გაეხადა და საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატებისთვის გამოეყენებინა, მით უმეტეს - ომის მიმდინარეობის პარალელურად. ასეთი საქციელი ამერიკაში ყოველთვის არაპატრიოტულად ითვლებოდა. არავის უნდა დაეკავებინა პოზიცია - მეომარ ჯარისკაცებს ვემხრობი, მაგრამ ომს არაო.

ესოდენ რეპულსური და უპრეცედენტო საქციელით დემოკრატებმა უკიდურეს მემარცხენეთა ყველაზე ქვენა გრძნობები გააღვივეს და ამ ბაზისით მეომარი (a war time) პრეზიდენტის საწინააღმდეგო ერთგვარი გზა გაკაფეს. ამით საზოგადოებაში იმ დონის დაპირისპირება გამოიწვიეს, როგორსაც ადგილი არ ქონია სამოქალაქო ომის შემდეგ. თუმცა, ესეც ბუშს დააბრალეს. ომს ნუ დაიწყებდა და არც ამგვარი დაპირისპირება იარსებებდაო. კარგი სანახავი იქნებოდნენ II მსოფლიო ომის დროინდელი რესპუბლიკელები, იგივე ლოგიკა რომ გამოეყენებინათ პრეზიდენტ რუზველტის წინააღმდეგ, ე.ი. დაეჭვებულიყვნენ გერმანიასა და იტალიისათვის ომის გამოცხადების სისწორეში (ერაყის არ იყოს, ეს ქვეყნები ამერიკას თავს არ დასხმიან). ამ მიზეზის გამო, დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი აღიარებული და ღირსეული ლიდერი, მაგალითად ინდიანელი სენატორი ევან ბაი და კონექტიკუტელი ჯოზეფ ლიბერმანი, თავს არიდებენ პარტიის საარჩევნო პროცესში რაიმე სერიოზული როლის შესრულებას. მათ არ სურთ, მონაწილეობის მიიღება საკუთარი პარტიის ისეთ ნაციონალურ კამპანიაში, რომელიც არაპატრიოტული ძალისხმევის სახით ვლინდება და შორეულ პერსპექტივაში პარტიის დისკრედიტაციას გამოიწვევს.

დღევანდელ ამერიკაში არაერთი პოლიტიკური საკითხია საკამათო. მიმდინარე არჩევნები უნდა ყოფილიყო ამ თემების გარშემო არსებულ, ორი პარტიის განსხვავებულ თვალთახედვათა პაექრობა. სამწუხაროდ, დემოკრატებმა სხვა გზა აირჩიეს. საერთოდ, ამ პარტიათა მსოფლმხედველობრივი განსხვავების ექსტრემალური ვერსია ასეთია: დემოკრატთა აზრით, მთავრობა ფლობს ყველა საუკეთესო გადაწყვეტილებას. რესპუბლიკელთა შეხედულებით, უმეტეს გადაწყვეტილებათა მიღების საშუალება მოქალაქეებს უნდა დარჩეთ, რადგან მათ უფრო იციან, რა არის საჭირო და რა უნდათ.

რესპუბლიკელებს კონსერვატორებს, ხოლო დემოკრატებს ლიბერალებს უწოდებენ.

რესპუბლიკელებს სურთ მთავრობის ინტერვენციის ლიმიტირება ეკონომიკურ საკითხებში და თითოეული ადამიანის ისეთი პირობებით უზრუნველყოფა, რომელშიც იგი საუკეთესოდ გამოავლენს საკუთარ უნარს თავისუფალ მეწარმეობაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში. სოციალურ საკითხებში, რესპუბლიკელები ფასეულობების დაცვაზე არიან ორიენტირებულნი და მიაჩნიათ, რომ მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ტრადიციული ღირებულებების დამკვიდრებას ახალ თაობაში. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკელები ეწინააღმდეგებიან აბორტს, ჰომოსექსუალურ ქორწინებას, მხარს უჭერენ ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებას, იარღის მფლობელებს, და სჯერათ, რომ სიკვდილით დასჯა უნდა იქნას გამოყენებული კრიმინალის შესაზღუდად.

დემოკრატების განსხვავებული ხედვით, ყველა ვერ ეწერება თავისუფალი მეწარმეობის სისტემაში, ამიტომ საჭიროა მათზე მთავრობამ იზრუნოს და მოწყალება დაურიგოს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით დემოკრატები პრემიერ-მინისტრ ჟვანიას ზომიერ ვერსიას წარმოადგენენ, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ, ინგა გრიგოლიას გადაცემაში განაცხადა, რომ მდიდრების დაბეგვრა დამატებითი ქონების გადასახადით, რომელიც მთავრობის სადისტრიბუციო პოლიტიკის მეშვეობით ღარიბებს გადაუნაწილდება, სამართლიანობის განხორციელებაა. ამერიკელი ლიბერალი ასე რომც ფიქრობდეს, ამას ამგვარი პირდაპირობით, თანაც საჯაროდ არაფრით არ განაცხადებს. ვინაიდან, ხალხი მას კომუნისტად ჩათვლის. სოციალურ თემებთან დაკავშირებით, დემოკრატები ცდილობენ ფასეულობები პოლიტიკურ დისკურსში არ მოაქციონ. მხარს უჭერენ აბორტს და იარაღის აკრძალვას. თუმცა, ღიად არ ემხრობიან ჰომოსექსუალურ ქორწინებას, ბევრი მათგანი იმავდროულადვე ეწინააღმდეგება ასეთ ქორწინებათა საწინააღმდეგო ნებისმიერი კანონის მიღებას.

ამერიკისათვის შეუდარებლად უკეთესი იქნებოდა, თუ საარჩევნო პროცესის განმავლობაში ძირითად საკამათო თემად აღნიშნული საკითხები, აგრეთვე, ადმინისტრაციის მიერ ტერორიზმთან ომში და ერაყში დაშვებული ტაქტიკური შეცდომები გახდებოდა, და არა - საერთოდ ღირდა თუ არა ამ ომში ჩაბმა. ფუნდამენტურ პოლიტიკურ კამათს ალტერნატივა არ გააჩნია, ვინაიდან მხოლოდ იდეათა თავისუფალი ბაზარი აძლევს საშუალებას მოქალაქეებს, განსაჯონ საკუთარი მთავრობა. ამიტომ, ერთი პარტიის დომინირება დემოკრატიისთვის მეტად მავნეა. დღევანდელი ვითარება დამაფიქრებელია. დემოკრატებს არ შეუძლიათ გაიმარჯვონ არჩევნებში იმ შეხედულებათა ხარჯზე, რომელიც მათ გააჩნიათ საჭირბოროტო და აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. ამერიკელთა უმეტესობა მნიშვნელოვნად არ იზიარებს იმ პოზიციებს, რომელზეც პარტიის ძირითადი ბირთვი იმყოფება. კლინტონის დროს (არატრადიციული დემოკრატი), რომელიც მრავალ რესპუბლიკურ და მახლობელ იდეას იზიარებდა, პარტიამ მოახერხა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. წლეულს, დემოკრატებმა არ მოისურვეს ზომიერი, კლინტონისებური კანდიდატის ნომინირება. პირიქით, კერი ტრადიციულ დემოკრატთა მკვეთრად ლიბერალური აზრების მატარებელია. ამის გამო, ხმების მოსაპოვებელ შეჯიბრში, იგი სათანადო მეტოქეობას ვერ გაუწევდა კონსერვატორ ბუშს. ამიტომ, დემოკრატებს ერთადერთ იმედს ისეთი ტაქტიკა აძლევდათ, რომელიც აქამდე არ ყოფილა გამოყენებული, იმის მიუხედავად, გასცდებოდა იგი ზნეობის ფარგლებს თუ არა. აღსანიშნავია, რომ 1944 წელს, ასეთივე დილემის წინაშე იდგნენ რესპუბლიკელები, მაგრამ მაშინდელმა კანდიდატმა თომას დუვიმ განაცხადა, რომ ურჩევნია არჩევნებში დამარცხდეს, ვიდრე მეომარი ამერიკელი ჯარისკაცები შეურაცხყოს.

ჯონ კერი და ჯორჯ ბუში დებატებისას

საკუთარი სისუსტეების და დემოკრატების ტაქტიკური "ნოუ-ჰაუ"-ს მიუხედავად, ბუშმა აჩვენა, თუ რამდენად არ შეესაბამება კერი უმაღლესი მხედართმთავრის პოსტს (რასაც სენატორის სამოღვაწეო ნუსხის დემონსტრირებით მიაღწია). ამიტომ, დებატების წინ, ბუში, 5-6 ქულიანი უპირატესობით, საკმაოდ დამაჯერებლად ლიდერობდა. ნიუ-იორკში წარმატებით ჩატარებულმა რესპუბლიკელთა კონფერენციამ, ქვა ქვაზე არ დატოვა სენატორის შეხედულებებისგან. შედეგად, რესპუბლიკელებმა გვარიანად დააზარალეს კერის საარჩევნო პოზიციები. დემოკრატთა საარჩევნო ბანაკმა ყოველთვის იცოდა, რომ კერის ლიბერალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ნუსხა იმ ვალად იქცეოდა, რომლის გასტუმრება ძალიან ძნელია. ამის გამო, ვიეტნამში გამოჩენილ, საკუთარ გმირობაზე ყურადღების გამახვილებით, კერი წინასწარვე შეეცადა, რესპუბლიკელთა შეტევის აცილებას. თუმცა, ეს თემაც ცუდად მოუტრიალდა, რადგან წარსულში, კერიმ თანამებრძოლებს ზურგი შეაქცია, მათი ღირსება და გაღებული მსხვერპლი ეჭვქვეშ დააყენა. 1970 წელს, ვიეტნამიდან დაბრუნებული კერი, მეტისმეტად მემარცხენე, კომუნისტების თანამგრძნობი პირების დაარსებული ორგანიზაციის "ვიეტნამელი ვეტერანები ომის წინააღმდეგ" სფოუქსმენი გახდა და დემონსტრაციულად, საჯაროდ გადაყარა ვიეტნამში მიღებული სამხედრო ჯილდოები - ლენტები და მედლები, რომლებიც ამჟამად ისევ აღმოაჩნდა და მათ იყენებს საკუთარი გმირობის საილუსტრაციოდ. კერი ამ ყველაფერს შემდეგნაირად ხსნის: მაშინ გადავყარე სხვისი მედლები და ჩემი ლენტებიო (ზოგი მედალი მხოლოდ ლენტია). იმავე წელს, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, კერიმ გააკეთა ნაკლებად სანდო განცხადება (ფაქტების გარეშე), რომელშიც ბრალს სდებდა ამერიკელ ჯარისკაცებს ვიეტნამის ომის დროს ჩადენილ დანაშაულებსა, სისასტიკესა და მხეცობაში. ეს მეტად არასასურველი და სახიფათო იყო ბევრი ვეტერანი, მოქმედი და ტყვეობაში მყოფი ჯარისკაცისათვის, რადგან ზუსტად იმ დროს, ასეულობით ამერიკელი იმყოფებოდა ვიეტნამელი კომუნისტების ტყვეობაში. ცხადია, ასეთი განცხადების შემდეგ, მათ მომეტებულად აწამებდნენ, რათა გამოეძალათ აღიარება, იმ "დანაშაულებში" თანამონაწილეობაზე, რომლებსაც, კერის ჩვენების მიხედვით, ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში სჩადიოდნენ. რესპუბლიკელებმა ხალხს ეს ყველაფერი გაახსენეს, რითაც კერის რეიტინგს სეროზული პრობლემები შეუქმნეს.

როდესაც სატელევიზიო დებატები მოახლოვდა, ბუშის ლიდერობა ამერიკული მედიის უკმაყოფილებას იწვევდა. მედიას ხელს აძლევს და სჭირდება მჭიდრო რბოლა. მას არ მოსწონს, როდესაც რომელიმე კანდიდატი აშკარად უსწრებს მეორეს. ამერიკული მედია კომერციულია, ხოლო მჭიდრო კამპანია ახდენს მაყურებლის და მკითხველის ინტერესის გენერაციას, რაც მედიის უფრო დიდ მოგებაში აისახება. ამით აიხსნება, რომ CNN მუდმივად "ასაბუთებს" ორი კანდიდატის თანაბარ მხარდაჭერას, მათ შორის, ისეთი გამოკითხვის კომენტირების დროსაც, სადაც ბუშს 4-5 პროცენტი უპირატესობა აქვს.

ამავე დროს, ამერიკული მედია ლიბერალურია და იგი თითქმის ყოველთვის დემოკრატებს უჭერს მხარს. ამით განსაკუთრებულად გამოირჩევიან უმთავრესი სატელევიზიო ქსელებისა და ნაციონალური მასშტაბის ჟურნალ-გაზეთების რეპორტიორები. ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში მომუშავე, 1-2 ათასი წამყვანი რეპორტიორის მრავალწლიანი, სხვადასხვა და დამოუკიდებელ გამოკითხვათა შედეგების მიხედვით, დაახლოებით ათიდან რვა მათგანი ხმას რეგულარულად ლიბერალ კანდიდატს აძლევს. ამერიკის თითქმის ყველა სატელევიზიო არხზე (Fox News-ის გარდა) დომინირებს ლიბერალური მოსაზრებები. მაგ.: ცენტრალური არხების "ნეიტრალურად" წოდებული, მთავარი პოლიტიკური ჟურნალისტები, ჯორჯ სტეპანოპოლისი (ABC), თიმ რასსერთი (NBC) და კრის მეთიუსი (MSNBC), წარსულში დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კამპანიათა გამოჩენილი სტრატეგები გახლდნენ. ამის მიუხედავად, მაუწყებელთა ხელდასხმით, დღეს ისინი "ნეიტრალურებად" გვევლინებიან. CNN-ის მიმომხილველმა კარლოს უოთსონმა, პოლიტიკური საქმიანობა წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალ წევრთან და უაღრესად ლიბერალ სენატორთან მუშაობით დაიწყო. შესაძლოა, ვინმემ ზედმეტ წვრილმანად მიიჩნიოს ლიბერალ ჟურნალისტთა "ნეიტრალურებად" "გადაქცევის" ფაქტებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ იბადება კითხვა, რომ, თუ ეს ასეა, იგივე მიზეზებით, რატომ არ მოხსენიებულან კონსერვატორი მიმომხილველები "ნეიტრალურად", ლიბერალი კოლეგების მსგავსად?

მედიის ლიბერალური ინსტინქტი გარდაუვლად აისახება საარჩევნო კამპანიისა და ბუშის იმიჯის გაშუქების პროცესზე. საზოგადოდ, რესპუბლიკელის პრეზიდენტობის დროს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უფრო ნეგატიური სახით იხატება მედიის მიერ, ვიდრე დემოკრატის შემთხვევაში. ასეა ამჯერადაც. მაგ.: დღეს უმუშევრობის პროცენტი ზუსტად ისეთივეა, როგორც 1996 წელს, როდესაც დემოკრატი პრეზიდენტი კლინტონი განმეორებით აირჩიეს. სამაგიეროდ, თუ პრესა ახლა გამუდმებით საუბრობს უმუშევრობის პრობლემაზე, კლინტონის დროს თავდაუზოგავად ავრცელებდა ცნობებს დიდი ეკონომიკური ბუმის შესახებ. ნავთობის ფასი დღეს ვერც კი უახლოვდება 70-იანი წლების მეორე ნახევრის, დემოკრატი კარტერის დროინდელ, მაღალ ფასებს (ინფლაციის გათვალისწინებით). პრესა ამ შემთხვევაშიც "მოწოდების სიმაღლეზეა". აშშ-ს ბიუჯეტის ამჟამინდელი დეფიციტი, როგორც ქვეყნის მშპ-ს პროცენტი, დემოკრატი რუზველტის პრეზიდენტობის, II მსოფლიო ომის პერიოდის, დეფიციტის დაახლოებით მესამედია. ცხადია, მედია ჩვეულებას არც ამ შემთხვევაში ღალატობს და გამუდმებით მოგვითხრობს "არნახული" დეფიციტის ამბებს. ამგვარი ნეგატიურობის ტვირთმა უდავოდ და მნიშვნელოვნად დააზარალა პრეზიდენტ ბუშის განმეორებითი არჩევის შანსი.

მედიის გადახრილობა განსაკუთრებით საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გამართული დებატების გაანალიზების დროს გამოაშკარავდა.

პრესამ მშვენივრად უწყოდა, რომ ძლიერი ზემოქმედება ამომრჩეველთან დამყარებულ კონტაქტს მოაქვს. ვინაიდან ბუში ამას ბევრად უკეთ ახერხებდა, ვიდრე ორატორი კერი, რომელსაც მედია ემხრობა, ეს გარემოება არ გაშუქებულა. ბუშის "მარცხმა" (რამდენიმე მომგებიანი მომენტის გამოუყენებლობა), მედიის სურვილმა მიხმარებოდა კერის და ბუშის ძლიერი მხარის არ მოხსენიების ერთდროულმა კომბინაციამ, დატოვა შთაბეჭდილება, რომ პირველ "რაუნდში" კერიმ გაიმარჯვა. სწორედ ეს აისახა გამოკითხვებში. პრესას უფრო მძიმე დრო, მეორე და მესამე დებატების დროს დაუდგა, რადგან ბუშმა ისინი უკეთ ჩაატარა. საბოლოოდ, რაშიც მედიამ მართლა მიაღწია წარმატებას, ისაა, რომ მოახერხა რბოლიდან ამოვარდნილის უკან დაბრუნება და ჩამორჩენილი კერი ბუშს თითქმის დააწია.

პრესის ძალისხმევის მიუხედავად, ბუშმა დებატები წარმატებით გამოიყენა იმისათვის, რათა კერი "ლიბერალობის კუთხეში" მიემწყვდია. სენატორი, ალბათ, ყველაზე უფრო ლიბერალი და პაციფისტი კანდიდატია, იმათგან, ვინც კი 1972 წლიდან დემოკრატიულ პარტიას დაუსხელებია. მას მერე, რაც პრეზიდენტობაზე დაიწყო ფიქრი (ბოლო ოთხი წელი) და აცნობიერებდა რა, რომ ზედმეტად პაციფისტურ-ლიბერალური პოზიციებით ვერ გაიმარჯვებდა, კერიმ ცენტრისაკენ დაიწყო გადანაცვლება. შედეგად, მან სენატში მხარი დაუჭირა ერაყის II ომის დაწყებას, მაშინ როცა I ომს, პირიქით, არ მიმხრობია. მართალია, ერაყის I ომს ხმა არ მისცა, მაგრამ მოგვიანებით, ეს ომი სისტემატურად მოჰყავს იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იწარმოებოდეს კამპანია ფართო კოალიციის მიერ (თანაც ამას II ომის გასაკრიტიკებლად იყენებს, რომელსაც ხმა მისცა). როდესაც ჰოვარდ დინმა, ომის ძლიერმა მოწინააღმდეგემ, დემოკრატთა "ფრაიმერის" ერთ მომენტში, სხვებზე მეტ წარმატებას მიაღწია, კერიმ მის კვალზე, ისევ უკან, ე.ი. მარცხნივ გადაინაცვლა, რათა შანსი გასჩენოდა. ივნისში, დინის დაძლევის შემდეგ, იგი ცდილობდა ისევ შუაში დაბრუნებას. ოღონდ, როდესაც დემოკრატების "ზომიერმა" კონვენციამ, იგი ვერ უზრუნველყო საგამოკითხვო პროცენტული უპირატესობით, კერიმ ისევ გადაინაცვლა მარცხნივ და განაცხადა, რომ ერაყის ომი (რომელსაც სენატში მხარი დაუჭირა) "არასწორ ადგილას, არასწორ დროს მიმდინარე, არასწორი ომია". პოზიციათა ამდენი შეცვლით, ბუშს საშუალება მიეცა, დიდი დამაჯერებლობით დაერქმია კერისათვის იქეთ-აქით მოხტუნავე.

ხტუნაობის მიუხედავად, სინამდვილეში, კერის გააჩნია საკუთარი მსოფლმხედველობა. იგი ნამდვილი ლიბერალია. რესპექტაბელურმა, დამოუკიდებელმა National Journal-მა, რომელიც სენატორთა თვალთახედვას ყოველწლიურად აანალიზებს, კერი სენატის ყველაზე ლიბერალ, ე.ი. ყველაზე მემარცხენე წევრად აღიარა. ამერიკელების 55-60 პროცენტი მიიჩნევს, რომ "მკაცრი" ან "გარკვეულ დონემდე" კონსერვატორია. ამიტომ, რადიკალი ლიბერალის პრეზიდენტობა მათთვის უფრო არასასურველია, ვიდრე იქეთ-აქეთ მოხტუნავისა.

კერის ასეთი წამოწევის მიუხედავად, დღეს ბუში ისევ ლიდერობს. ინტერნეტ სერვის, "Real Clear Politics"-ის მიერ 29 ოქტომბრისთვის გამოქვეყნებულ ყველა ნაციონალური პოულის გასაშუალებული შედეგის მიხედვით, ბუში 3 პროცენტით ლიდერობს (49.3-46.3). ცხადია, ეს ჩამორჩება იმ შედეგს, რომელიც ბუშს გააჩნდა დებატების დაწყების წინ.

წელს, საბოლოო შედეგი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული ამომრჩევლის აქტივობაზე. ამერიკის პრესაში ბევრი ცნობაა ამომრჩევლების "ახალი", მრავალრიცხოვანი ჯგუფის შესახებ. ეს ის ამომრჩევლებია, რომლებსაც ტრადიციული პოულინგ-მეთოდები ვერ ავლენს. თუ დემოკრატებს შესწევთ უნარი, რომ ხმის მისაცემად მასიურად გამოიყვანონ "ახლად" რეგისტრირებული ამომრჩეველი, მაშინ შედეგი მეტისმეტად მჭიდრო იქნება. თუმცა, რესპუბლიკელებს ამის ნეიტრალიზება შეუძლიათ. 2000 წელს, მათი ვარაუდით, დაახლოებით 4 მილიონ ქრისტიან-კონსერვატორმა ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა. თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით, ბუშმა ქრისტიანთა ამ ჯგუფს უკვე დაუმტკიცა, რომ კონსერვატიული მსოფლხედველობის ერთგულია. უამრავი მათგანი, ვინც მაშინ არ მონაწილეობდა, შესაძლოა, მოვიდეს ამ არჩევნებში პრეზიდენტისათვის ხმის მისაცემად. ეს საშუალებას მისცემს რესპუბლიკელებს, გაანეიტრალონ "ახალ" ამომრჩეველთა შესაძლო მაღალი აქტივობა.

თუ მავან დემოკრატთა პროგნოზი არ გამართლდა და ამომრჩეველთა აქტივობა ისტორიულ პრეცედენტს დაემთხვა, მაშინ, გამოკვლევათა უმეტესობის თანახმად, ბუში ძლიერ და დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს. თუმცა, ჯერ კიდევ შეიძლება ნებისმიერი რამ მოხდეს. ბუშის კამპანიამ, შესაძლოა, უკანასკნელ დღეებში დაუშვას შეცდომა, ანდა კერიმ წამოიწყოს შეტევა, რომელიც დააზარალებს პრეზიდენტს. ტერორისტთა შემოტევამ ან რაიმე ისეთმა მოვლენამ, რომლის გაკონტროლება არავის ძალუძს, ასევე, შესაძლოა, იქონიოს გავლენა (მაგ.: 29 ოქტომბერს ბინ-ლადენის მიერ გაკეთებული ვიდეოგაცხადება).

და მაინც, ამჟამად პრეზიდენტი წინაა, არჩევნები კი კარსაა მომდგარი.

რა ლამაზი დღეა...

ნინია კაკაბაძე

უკვე რამდენი ხანია, ჩვენი მეგობრის, ახლობლის, თანამშრომლის თუ, უბრალოდ, ნაცნობის დაბადების დღეზე, ასე ვთქვათ, სადღესასწაულო ჰიმნს უკვე ქართულ ენაზე ვმღერით. Happy Birthday to you - "რა ლამაზი დღეა" შეცვალა და მართალი გითხრათ, შინაარსობრივად ეს ქართული ვერსია უფრო მომწონს. ლამაზი დღეა იმიტომ, რომ დღეს, მაგალითად, თამუცია დაიბადა, ინგლისურ ვარიანტში კი სულ ერთი და იგივე სიტყვები ტრიალებს: გილოცავ, გილოცავ, გილოცავ ძვირფასო ჯეინ. ჩვენთან კი სულ სხვაა, რაც არ უნდა ცუდი და მოქუფრული ამინდი იყოს, ის მაინც ლამაზად გამოიყურება, ვინაიდან ამ დღეს ადამიანი გაჩნდა. მოკლედ, ასეა თუ ისე, ეს უცხოური ვერბალური მილოცვა, მგონი, საფუძვლიანად ავითვისეთ, აბა, ვინღა მღერის წრეში ჩამდგარი, და შუაში იუბილარმოთავსებული ამ სიმღერას: "დღეს ფაციკოს დღეობაა, გამოვაცხვეთ ხაჭაპური, აი, ამ სიმაღლისა, აი, ამ სიგანისა" ა.შ. და ა.შ. მოკლედ, ისიც მახსოვს, დაბადების დღეზე ვირტუალურ ხაჭაპურს რომ ვუცხობდით იუბილარს, და ამ ოდნავ გაუგებარ რიტუალსაც ვატარებდით. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, დღეს ლამაზი დღეა, დაბადების დღეს ფართი ჰქვია, ამასთან ერთად ჩვენც განვითარდით და ახლა ხაჭაპურის მაგივრად, დიდ ტორტს ვყიდულობთ, შიგ სანთლებს ვარჭობთ, და შემდეგ მონდომებით ვაქრობთ. ოჰ, ერთი ან ორი თუ დამრჩა ჩაუქრობელი, ცუდის მაუწყებელია, ჩაფიქრებული სურვილის ერთი მესამედი შეიძლება არ შესრულდეს. მოკლედ, გართულდა ცხოვრებაც და ცხოვრებასთან ერთად ხარჯებიც. ამგვარი რიტუალების შესრულებისას, სულ ზურაბ ჟვანიას სიტყვები მახსენდება, "ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი". ევროპელიც ვარ და ამერიკელიც, ეს მუდმივად მახარებს და ცხოვრებას მიხალისებს.

ახლა, ბოლო დროს, კიდევ ერთი დღესასწაული შემომემატა, მგონი, დაბადების დღეს სჯობია და ესეც ძალიან ლამაზი დღეა, თუმცა ამჯერად არავის დაბადების დღე არ არის. უკანასკნელ "შაბათ-კვირებზე", თუ weekend-ებზე რომელიმე კლუბთან დისკოთეკასთან, კაფესთან თუ ჩაივლიდით, გამოშიგნულ და შიგნიდან სანთლებით განათებულ გოგრას დაინახავდით. თუკი არსად ასეთ ადგილას არ ჩაგივლიათ, საკუთარი ან ახლობლის ბავშვი აუცილებლად შეგაწუხებდათ ამგვარი თხოვნით: "რამე საშიში კოსტიუმი მომიფიქრე რაა"... მოკლედ, გასული კვირის ბოლო დღეებში სრულიად თბილისი (ჯერ საქართველოში მთლიანად არ გავრცელებულა) Halloween-ის (ჰელოვინი) დღეს აღნიშნავდა. მგონი, არავინ და მათ შორის მეც, რომელსაც ამჯერად ეს დღეობა არ მიზეიმია, არ ვიცოდი, რასთან დაკავშირებით იცვამს ხალხი საშიშ კოსტიუმს, ეს გოგრა რაღა არის და საერთოდ, რატომ ვაფრთხობთ ერთმანეთს?

რა არის Halloween Day? დავიწყე გამოკვლევა და მართალი გითხრათ, მაინც გამიჭირდა, მისი ვინაობის თუ რაობის გაგება, ვინაიდან არსებობს უამრავი ვერსია იმისა, თუ საიდან გაჩნდა ეს, ასე ვთქვათ, "ჰელოვინობა"? ბოლოს და ბოლოს, ასეთია ერთ-ერთი ვერსია: პირველ რიგში, სიტყვა Halloween Night ნიშნავს წმინდანის ღამეს. და რატომ ღამე და არა დღე? ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ითვლებოდა, რომ წელიწადი 31 ოქტომბერს სრულდებოდა, და ამასთანავე ზაფხულის ბოლო დღე იყო. ეს იყო უკანასკნელი ღამე, ცივი და საშიში, უკვე დამდგარი ზამთრის წინაშე. არსებობდა ასეთი თქმულება, რომ 31 ოქტომბრის ღამით, უკანასკნელ წელს გარდაცვლილი ადამიანების სულები ხელმეორედ მოდიოდნენ მიწაზე და ცოცხალი ადამიანების სულებს ეუფლებოდნენ. ამისათვის, ხალხმა ასეთი გამოსავალი მონახა, ისინი უკვე 1 ნოემბრის ღამეს იცმევდნენ საშიშ ტანსაცმელს და ასე დადიოდნენ ქუჩაში იმისათვის, რომ ბოროტი სულები დაეფრთხოთ.

ყველაზე აქტიურად ეს დღესასწაული თუ რიტუალი 1840 წლიდან დამკვიდრდა და ითვლება, რომ ეს ტრადიცია ირლანდიელებმა ჩაიტანეს ამერიკაში, ამიტომაც ამერიკა, როგორც მწირი ტრადიციების პატრონი, ყველაზე აქტიურად და დიდი სიხარულით იტაცებს მათთვის ამ ახალ თარიღს. თორემ, აქამდე შეთითხნილი და ყალბი დღესასწაულების მქონე ქვეყანა, მხოლოდ მადლიერების დღეს აღნიშნავდა, იხვს კლავდა და კეთილი მასპინძლობისთვის ინდიელებს (რომელნიც მთლიანად გაწყვიტეს და ისე მიისაკუთრეს მათი მიწები, რომ არავის ჰკითხეს, უღებდნენ თუ არა კარს) მადლობას უხდიდა ყოველწლიურად. მაგრამ, ეს იქით იყოს, ახლა ევროპა და, განსაკუთრებული მონდომებით, ამერიკა მკვდარ სულებს აფრთხობენ.

ალბათ, ყველას აინტერესებს, რას ნიშნავს ეს გამოშიგნული გოგრა? ეს ირლანდიელი ჯეკია (ეს ვერსიაც ირლანდიული ფოლკლორიდან მოდის). იყო და არა, იყო რა, იყო ერთი აღვირახსნილი ირლანდიელი ბიჭი ჯეკი, რომელიც გარდა იმისა, რომ აღვირახსნილი იყო, საკმაოდ ეშმაკიც ყოფილა, მხოლოდ მან მოახერხა ეშმაკის თუ მკვდარი სულის მოტყუება (გაცურება). ამისათვის საცოდავი ჯეკი არც მიწის ყოფილა და არც ცისა, სიკვდილის შემდეგ, იგი არც სამოთხემ მიიღო, რადგან აღვირახსნილი იყო და არც ჯოჯოხეთმა, რადგან ეშმაკი მოატყუა. ამის შემდეგ ჯეკის სული, ყოველი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ჩვენთან არის. ამიერიდან მეც მეცოდინება და ყველამ იცოდეს - გოგრას რომ დავინახავთ - ის ჯეკია. ადრე ჯეკის თავში, ანუ გოგრაში ბევრ ნაკვერჩხალს ყრიდნენ, მთელი ღამე რომ განათებული ყოფილიყო და ისე აფრთხობდნენ "მკვდარ სულებს", დღესაც ასეა, მხოლოდ ცივილიზაციამ წინ წაიწია და ახლა სპეციალური სანთლები გვაქვს, რომელთაც ჯეკის თავში (გოგრაში) ვათავსებთ.

დამეთანხმებით, რომ ისტორია რიტუალად ღირს! მიხარია, რომ საქართველო როგორც ევროპა ამ რიტუალში უკვე თითქმის სრულყოფილად იღებს მონაწილეობას. არა მხოლოდ ზრდასრული ადამიანები, უკვე ბავშვები ბაგა-ბაღებში, სკოლებში - ყველანი დიდი ხანი ვემზადებით ყველაზე საშიში კოსტიუმის შესაკერად და შემდეგ ამ კოსტიუმით, მკვდარ სულებს არა, მაგრამ ერთმანეთს კი ვაფრთხობთ. მოკლედ, კიდევ ერთი საინტერესო რიტუალი ჩვენც შემოგვემატა.

არავინ იფიქროს, თითქოს მე ქართული, ტრადიციული რიტუალების სადარაჯოზე ვდგავარ და უცხოური გავლენის მეშინია ან ვეწინააღმდეგები. არა, უბრალოდ, ოდნავ სასაცილოდ გამოიყურება ეს ჩვენი "ჰელოვინობა" და ქართველი "საფრთხობელები". თუმცა, ყველა რიტუალი ოდესღაც საიდანღაც, რომელიმე ქვეყნიდან იღებს სათავეს და იგივე გზით შემოდის ჩვენთან. საქართველო კი არის უძველესი "კულტურისა და ტრადიციების" მატარებელი ქვეყანა, მაგრამ ახალი გასართობები ჩვენც გვიყვარს.

ჩემი დამოკიდებულება კი ზოგადად ყველანაირი რიტუალების, დღესასწაულების და თარიღების მიმართ არის სკეპტიკური და მოსაწყენი. ამიტომ ეს ჩემთვის აქამდე უცნობი თარიღის აღნიშვნაც გარკვეულ ირონიას და გაღიზიანებას იწვევდა, თანაც არც ამ გოგრის დანიშნულება ვიცოდი და არც მისი გამოშიგვნა, რასაც თურმე სკოლებში ავალებდნენ. მერწმუნეთ, ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა.

TV პროგრამა

1 ნოემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევრლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევრლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "კენედის მკვლელობა" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ნაძირალა" (18) (ლორენცო ლამასი) **02.10** პატრული

პირველი არხი

07.30 ალიონი არხის პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი თანამდებობის სახით" (გ)

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **13.10** გადაცემა: კოოკი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** სამოთხესთან უფრო ახლოს. მხ. ფილმი. რეჟისორი ტონი მარშალი 2003. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.15** ციხე-სიმაგრეების ისტორია. დოკ.ფილმი. **04.20** ამღვრეული წყალი. ტელესერიალი.

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი" (15) (ჯონ ლი მილერი)

იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **14.45, 02.35** იმედის მელოდიები **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** საქმე ტ **23.20** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "როგორც მაიკი" **11.00** მუსიკა **11.10** ისტორიული ფილმი "მეფეთა მეფე" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30** საინფორმაციო გამოშვება **12.50** მუსიკა **13.00** კომედია "სპორტლოტო" **14.45** ბოევიკი "სიკვდილით დაღდასმულნი" **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.00** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.15** მელოდრამა "დიდი ცუდი სიყვარული" **20.05** დოკ. ფილმი **21.00** კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "თავისუფალი წყვილი" **22.25** დოკ. ფილმი **00.00** თრილერი "არრდილთა ნიგნი"

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сергей Никоненко в боевике **"ШЕСТОЙ" 11.10** "Звучная фамилия Негода, или "Маленькая Вера" **15** лет спустя" **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Роуэн Аткинсон в комедии **"МИСТЕР БИН". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** "Эскадроны смерти против Пабло Эскобара". **23.40** Ночное "Время". **00.00** "Фабрика звезд". **00.20** Искатели. "Святыня Смутного времени". **00.50** Петр Марченко в программе "Русский экстрим". **01.20** Брекин Мейер в комедии **"ДОРОЖНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ". 02.50** Морган Фримэн в фильме **"МОЛЛ ФЛЭНДЕРС" 04.50** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".**

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: МАТЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.55** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: Я УБИЛ СВОЮ ЖЕНУ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Наталья Антонова в сериале **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 22.00** "Страна и мир". **22.40** "Школа злословия". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.10** Особо опасен! **01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.30** Совершенно секретно **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: жажда жизни".

სკანვორდი

პირველად საზოგადოების წინაშე

ლუსიან ფროიდს ბრიტანეთის უდიდეს თანამედროვე მხატვარს უწოდებენ. შესაბამისად, მისი ყოველი ნაწარმოები უდიდეს რეზონანსს იწვევს. თუმცა, ის აჟიოტაჟი, რაც ტილოს "შიშველი პორტრეტი 2002" მოჰყვა თან, მხოლოდ ფროიდის ბრალი არ ყოფილა. მასზე ხომ შიშველი, ორსული კეიტ მოსია აღბეჭდილი და მისი პირველად ნახვის საშუალება პუბლიკას წინა კვირას, ლონდონში, "კრისტის" აუქციონის სახლში მიეცა. მანამდე ფროიდის ქმნილება ინახებოდა კერძო კოლექციონერის გალერეაში, რომელმაც ტილო თითქმის დასრულებისთანავე დაუსახელებელ, სავარაუდოდ, საკმაოდ ძვირ ფასად შეიძინა.

და ახლა, კეიტ მოსი "კრისტიში" პირველად გამოფინეს. აუქციონის სახლის ექსპერტი პილარ ორდოვასი ტილოს მნიშვნელობას ასე ხსნის: "ეს პორტრეტი ფროიდის შემოქმედებაში განსაკუთრებულია, რადგან მხატვარს ძალიან იშვიათად შეუქმნია ცნობილი ადამიანების პორტრეტები". და მართლაც, ფროიდს წინათ უთქვამს კიდეც, რომ არ უყვარს მოდელების დახატვა, რადგან: "მათ კანის ახალი, სქელი ფენა აქვთ ამოზრდილი, იმდენად ხშირად უყურებენ ხოლმე სხვები".

ამ პორტრეტის დახატვის იდეა კი თავად კეიტ მოსს ეკუთვნოდა. სურვილი, რომ ფროიდის წინაშე გაშიშვლებულიყო, ბრიტანელმა სუპერ-მოდელმა ერთ-ერთ საჟურნალო ინტერვიუში გაამჟღავნა. კეიტი წერდა, რომ მისი ერთადერთი განუხორციელებელი ამბიცია იყო ის, რომ ფროიდს მისი პორტრეტი შეექმნა. მოსმა კარგად იცოდა, რომ ხატვის პროცესი დაახლოებით ექვსი თვიდან ერთ წლამდე გაგრძელდებოდა, მაგრამ არც ეს ანაღვლებდა.

ფროიდმა ხატვა 2001 წელს დაიწყო და დასრულებისთანავე გაყიდა ნაწარმოები. ახლა პორტრეტს აუქციონზე 9 თებერვალს გაიტანენ. წინასწარი ვარაუდით, რომ მისი ფასი 6.4 მილიონ დოლარს მიაღწევს. ზიგმუნდ ფროიდის შვილიშვილს ასევე დახატული ჰყავს დედოფალი ელისაბედი და მიკ ჯაგერის ყოფილი მეუღლე ჯერი ჰოლი. ყველაზე დიდი თანხა, რაც მის ტილოებში გადაუხდიათ 5.8 მილიონი დოლარია. თუმცა, იმის გამო, რომ ფროიდის ნახატები აუქციონზე იშვიათად გაქვთ, 9 თებერვალს დაგეგმილი ვაჭრობა დიდ რეზონანსს იწვევს.

თსეც-კლინიკა „პროფესიონალი"
გრანდიოზული პროექტი
„ჯანმრთელი ოჯახი"

წელიწადში მხოლოდ 25 ლარად

გთავაზობთ საოჯახო მრავალჯერადი მომსახურების სამედიცინო ბარათს
დიაგნოსტიკური გამოკვლევები (ექოსკოპია, ლაბორატორია, ეკგ);
ამბულატორული მკურნალობა, რეაბილიტაცია;
საკონსულტაციო მომსახურება.

იხდით ერთხელ, გემსახურებით მთელი წელი!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ბარათის შესაძენად დარეკეთ: 30.64.44; 899.17.30.60
მისამართი: ქავთარაძის ქ.21ა, მესამე სართული (სისხლის პრეპარატების ცენტრის შენობა)

თსეც-კლინიკა "პროფესიონალი"

სახალხო დამცველის აპარატი აცხადებს კონკურსს აჭარის რეგიონული წარმომადგენლობის მთავარი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტის თანამდებობებზე, კონკურსში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება (სასურველია, იურიდიული);
ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
სრულყოფილად ფლობდეს ქართულ ენას;
ფლობდეს კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს;
სასურველია, უცხო ენების ცოდნა;

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

განცხადება;
პირადობის მოწმობის ასლი;
ავტობიოგრაფია;
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საბუთები მიიღება მისამართზე: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №11
საკონტაქტო პირი: ნინო კედია, ტელეფონი (995 32) 93 92 18
Fax: (995 32) 92 34 94; ელ-ფოსტა: ninokedia@yahoo.com

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ბაჩო ახალაია

განცხადებები მიიღება 2004 წლის 20 ნოემბრამდე;

კონკურსი ჩატარდება 26 ნოემბერს 2004 წ. აჭარაში სახალხო დამცველის წარმომადგენლობაში.



აფრინდით ბრიტანეთის ავიახაზებთან ერთად

ბათუმი

-დან ლონდონი ჰითროუ ორი გზა

ბილეთის დაჯავშნისთვის და სხვა ინფორმაციისთვის ეწვიეთ ინტერნეტ-გვერდს ba.com, დაგვიკავშირდით: 94 07 19/20 ან მიმართეთ სამოგზაურო სააგენტოებს

BRITISH AIRWAYS

თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბოლო გაფრენა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

შევიძენ საოფისე ფართს ძალაძის ცენტრალურ უბნებში ან დიღმის ტრასის გასწვრივ.
ტელ: 893 102 109 ნიკა

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის მემსწავლეო კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ცხრილებისა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ც.ქუხნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: **WWW.mziuri.ge**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.